

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

გაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)

სამართლის დოქტორი (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის
სახელობის უნივერსიტეტი), პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

დანაშაული საქუთრების წინააღმდეგ



Institute of Georgian, German and
International Criminal Law
კახიძე, გუბანიძე და სახელმწიფო
სისხლის სამართლის ინსტიტუტი

თბილისი, 2024

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



BIBLIOTHEK DES INSTITUTS FÜR GEORGISCHES, DEUTSCHES
UND INTERNATIONALES STRAFRECHT

Dr. jur. BACHANA JISHKARIANI, LL.M. (München)

Professor
The University of Georgia

STRAFRECHT BESONDERER TEIL

Eigentums- und Vermögensdelikte



Institute of Georgian, German and
International Criminal Law
ქართული, გერმანული და საერთაშორისო
სამართლის საბირთვო ინსტიტუტი

TBILISI, 2024

Publishing House „Lawyers World“



დამკავალმონებელი თამარ ქიტუაშვილი

ყდის დიზაინი გვანცა მახათაძე

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, 2024



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<http://www.facebook.com/lawyers.world>

ISBN 978-9941-9875-6-4

წინასიტყვა

საქართველოში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სფეროში, ჯერ-ჯერობით, თანამედროვე სახელმძღვანელოები შედარებით ისევ დეფიციტურია, რაც ხელს უშლის ხარისხიან უმაღლეს განათლებასა და ასევე უკეთესი პრაქტიკის განვითარებას. ამ ნაშრომის მიზანია სწორედ ამ დეფიციტის მცირედით მაინც შევსება, რათა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცალკეული საკითხები ახლებურად იქნას გააზრებული. მისი მიზანი არ არის დეტალურად და სიღრმისეულად ყველა პრობლემაზე მსჯელობა. სახელმძღვანელო უფრო ორიენტირებულია ძირითადი მნიშვნელოვანი საკითხების შედარებით მარტივ აღქმადობაზე სტუდენტებისა და პრაქტიკოსების მხრიდან.

ის წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სხვა სახელმძღვანელოს - დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ავტორი ბაჩანა ჯიშკარიანი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, 2022 - ერთგვარ გაგრძელებას და შესაბამისად, მის სტილში არის აწყობილი, დანაშაულის თითოეული ელემენტის განხილვისა და თანდართული კაზუსის ამოხსნის სქემების სახით.

ქართული სასამართლო პრაქტიკის და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომების ანალიზის გარდა, გამოყენებულია გერმანულენოვანი წყაროებიც, რაც მნიშვნელოვანია, ზოგადად, ქართული სამართლის განსხვავებულად გააზრებისთვის. **ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის** ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ქართული სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაა.

ნაშრომი მომზადდა **საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში**, რაც კვლევებთან ერთად ორმხრივ მივლინებებსაც ითვალისწინებდა საქართველოსა და გერმანიაში. პროექტში ექსპერტის სახით ჩართული იყო კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვიცე-დეკანი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, საპატიო დოქტორი, **მარტინ პაულ ვასმერი**. როგორც საქართველოს უნივერსიტეტს, ასევე პროფესორ ვასმერს, მადლობა მინდა გადავუხადო განუყოფელი მხარდაჭერისთვის.

მოცემულ გამოცემას, რა თქმა უნდა, არ აქვს პრეტენზია სრულყოფილებაზე, ამიტომ მოხარული ვიქნებოდი, თუ მკითხველის მხრიდან იქნება

შესაბამისი გამოხმაურება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: bachanajishkariani@gmail.com.

გამოყენებული საკანონმდებლო მასალა გათვალისწინებულია 2024 წლის მარტის მდგომარეობით.

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)

სამართლის დოქტორი

პროფესორი

ქართული, გერმანული და საერთაშორისო

სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

თბილისი, მაისი, 2024

VORWORT

In der juristischen Ausbildung in Georgien sind moderne Lehrbücher im Bereich des Besonderen Teils des Strafrechts nach wie vor selten. Diese Situation trägt nicht gerade zur Verbesserung der Juristenausbildung und zur Entwicklung der Rechtspraxis bei. Ziel dieses Lehrbuchs ist es, diese Lücke im Bereich der Vermögensdelikte zumindest teilweise zu schließen.

Es ist nicht die Aufgabe dieses Lehrbuchs, sämtliche Vermögensdelikte erschöpfend zu behandeln. Vielmehr geht es darum, die wichtigsten Vorschriften zu erfassen und in einfacher Form darzustellen. Damit soll deren Anwendung in Lehre und Praxis erleichtert werden.

Neben georgischen Veröffentlichungen und Gerichtsentscheidungen wurden auch deutsche Rechtsquellen aufgenommen, um das georgische Strafrecht aus einer anderen Perspektive betrachten zu können. Gerade die Internationalisierung des georgischen Rechts ist eines der Ziele des **Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht**.

Die Publikation wurde im Rahmen der **Forschungsförderung der University of Georgia** erstellt. Die Förderung umfasste auch wechselseitige Forschungsaufenthalte in Deutschland und Georgien. Berater des Projekts war der Prodekan der Rechtswissenschaftlichen Fakultät der Universität zu Köln und Direktor des dortigen Instituts für Strafrecht und Strafprozessrecht, **Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Waßmer**. Sowohl der University of Georgia als auch Herrn Prof. Waßmer möchte ich ganz herzlich danken.

Dieses neue Lehrbuch ist die Fortsetzung eines bereits veröffentlichten Lehrbuchs (Bachana Jishkariani, Strafrecht Besonderer Teil, Straftaten gegen die Person, 2. Auflage, Verlag World of Lawyers, Tbilissi 2022). Dementsprechend ist es ähnlich aufgebaut, mit Straftatbeständen und Aufbauschemata.

Das Werk erhebt selbstverständlich keinen Anspruch auf Vollständigkeit und kann Fehler enthalten. Ich freue mich über Anmerkungen und Kommentare, die Sie mir sehr gerne unter bachanajishkariani@gmail.com zukommen lassen können.

Die Gesetzgebung wurde bis März 2024 berücksichtigt.

Prof. Dr. jur. Bachana Jishkariani, LL.M. (München)

Leiter des Instituts für georgisches, deutsches
und internationales Strafrecht

The University of Georgia

Tbilissi, Mai 2024

სარჩავი

წინათქმა 5

Vorwort 7

1. ქურდობა (სსკ მუხ. 177) 11

1. კაზუსის ამოხსნის სქემა 11

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა..... 11

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა..... 41

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი 44

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა 45

6. მიმართება სხვა მუხლებთან 46

2. ქარცვა (სსკ მუხ. 178) 49

1. კაზუსის ამოხსნის სქემა..... 49

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა..... 49

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა..... 53

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი 55

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა 55

6. მიმართება სხვა მუხლებთან 55

3. ყაჩაღობა (სსკ მუხ. 179)..... 58

1. კაზუსის ამოხსნის სქემა..... 58

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა..... 58

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა..... 67

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი 68

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა 68

6. მიმართება სხვა მუხლებთან 69

4. თაღლითობა (სსკ მუხ. 180) 71

1. კაზუსის ამოხსნის სქემა..... 71

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა..... 71

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა..... 83

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	85
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	86
6. მიმართება სხვა მუხლებთან	86

5. გამოქალაქა (სსკ მუხ. 181) 89

1. კაზუსის ამოხსნის სქემა.....	89
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა.....	89
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	95
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	96
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	96
6. მიმართება სხვა მუხლებთან	97

6. მითვისება ან გაფლანგვა (სსკ მუხ. 182)..... 98

1. კაზუსის ამოხსნის სქემა.....	98
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა.....	98
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	104
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	104
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	105
6. მიმართება სხვა მუხლებთან	105

7. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (სსკ მუხ. 185)..... 107

1. კაზუსის ამოხსნის სქემა.....	107
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა.....	107
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	110
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	112
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	112
6. მიმართება სხვა მუხლებთან	112

8. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექცევა ან გასაღება (სსკ მუხ. 186) 114

1. კაზუსის ამოხსნის სქემა.....	114
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა.....	114

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა	120
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	121
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	121
6. მიმართება სხვა მუხლებთან	121

9. ნივთის დაზიანება ან განადგურება (სსკ მუხ. 187, 188)..... 123

1. ქმედების შემადგენლობა	123
2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა.....	123
3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	131
4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	131
5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა	132
6. მიმართება სხვა მუხლებთან	133

გამოყენებული ლიტერატურა 134

1. ქურდობა (სსკ მუხ. 177)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

<p>1. ქმედების შემადგენლობა</p> <p>ა) ობიექტური შემადგენლობა</p> <ul style="list-style-type: none"> - სუბიექტი - ობიექტი <p>სხვისი საკუთრება, კერძოდ, მოძრავი ნივთი (დანაშაულის საგანი)</p> <ul style="list-style-type: none"> - ქმედება <p>ფარული დაუფლება</p> <ul style="list-style-type: none"> - შედეგი - მიზეზობრივი კავშირი - ობიექტური შერაცხვა - დამამძიმებელი გარემოება <p>ბ) სუბიექტური შემადგენლობა</p> <ul style="list-style-type: none"> - განზრახვა - მიზანი <p>2. მართლწინააღმდეგობა</p> <p>3. ბრალი</p>	1
---	----------

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის **ამსრულებელი** შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი. მართალია, სსკ-ის 177-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალში ნახსენებია არაერთგზისობა (ნან. 3, ქვეპ. ბ) და პირის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლობა (ნან. 4, ქვეპ. გ), თუმცა ეს მხოლოდ პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძვლებია. **2**

დაცული სამართლებრივი სიკეთეა **სხვისი საკუთრება**. კერძოდ, ნორმაში დაკონკრეტებულია დანაშაულის საგანი **მოძრავი ნივთის** სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. შესაბამისად, ყველა დანარჩენი ნივთი მოძრავად შეგვიძლია ჩავთვალოთ.¹ **3**

მართალია, სისხლის სამართალი დანაშაულის ცალკეულ ელემენტებთან დაკავშირებით ორიენტირებულია სამოქალაქო სამართლებრივ წესებზე, თუმცა, ეს ყოველთვის არ ნიშნავს ერთი ერთში სხვა დარგის სტანდარ- **4**

¹ *თოთლაძე*, კომენტარებში: ქანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხ. 148, აბზ. 3.

ტების გაზიარებას. გარკვეულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ცალკეული სამართლებრივი მიდგომების კორექტურა და სისხლის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე განმარტება, რაც ნიშნავს იმას, რომ საწყისი განმარტებისთვის ვეყრდნობით სამოქალაქო სამართალს, მაგრამ კონკრეტულ პრობლემატურ შემთხვევებზე მსჯელობისას გადახვევებიც არ არის დაუშვებელი.²

- 5 მაგალითად, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები ითვლება უძრავ ნივთებად, თუმცა, ხეები მოჭრის შედეგად გადაიქცევა მოძრავ ნივთებად, ანუ ქურდობის ობიექტად. მიწისგან მოშორების შედეგად ისინი მოძრავი ნივთები ხდებიან.³
- 6 ანალოგიურად იგივეს თქმა შეიძლება უშუალოდ მიწასთან დაკავშირებითაც. მიწის მასის მოხსნა სხვისი ეზოდან და ფარულად გატანა უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობად. შეიძლებოდა გვეფიქრა სსკ-ის 187-ე მუხლით კვალიფიკაციაზე სხვისი ნივთის დაზიანების გამო, მაგრამ ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა სსკ-ის 177-ე და 187-ე მუხლების გამიჯვნასთან. როდესაც ხდება სხვის ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნება და მერე მისი განკარგვა (მაგ. გატანილი მიწის ვინმესთვის მიყიდვა), ეს შეესაბამება ქურდობის კონსტრუქციას. ხოლო ნივთის დაზიანების ან განადგურების დროს ამსრულებელს საერთოდ არ სურს ვინმეს ქონებრივი ფონდისთვის სხვისი ქონების მიერთება. სხვანაირი მიდგომის შემთხვევაში წაიშლებოდა ზღვარი ამ ორ ნორმას შორის.
- 7 ერთ-ერთ საქმეში,⁴ დამნაშავემ მეორე პირი მოატყუა, რომ სხვის ეზოში მდგარი კაკლის ხეები მისი იყო, მოჭრა რამდენიმე ძირი და ამ დაინტერესებულ პირს მიყიდა. სამივე ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული ქმედება ქურდობად დააკვალიფიცირა, მათ შორის დამამძიმებელი გარემოებით, მიყენებული ზიანის ოდენობიდან გამომდინარე.⁵
- 8 ზემოთთქმულიდან გამომდინარე, თუნდაც სახლის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც, მართალია, უშუალოდ ნაგებობის შემადგენელი ნაწილია (ფანჯარა, კარები და ა.შ.), მოხსნის შედეგად მოძრავ ნივთებად გადაიქცევა. მაშასადამე, მოძრავ ნივთად შეფასებისთვის საკმარისია წინარე ქმედების საფუძველზე უძრავი ნივთის მოძრავ ნივთად გადაქცევა.⁶
- 9 ნივთს უნდა გააჩნდეს **ფიზიკური პარამეტრები** (წონა, რაოდენობა, მო-

² *Kretschmer*, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, *AnwaltKommentar StGB*, § 242, Rn. 4; *Wittig*, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, *BeckOK StGB*, § 242 Rn. 4.

³ *Schmitz*, კომენტარებში: *Münchener Kommentar zum StGB*, § 242, Rn. 45.

⁴ სუსგ №220აპ-23.

⁵ საბოლოო ჯამში, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხეების რეალური ღირებულება ვერ შეფასდა შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის გამო და დიდი ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დადგინდა.

⁶ დაწვრ. იხ. *Schramm*, *Strafrecht BT II*, § 2 Rn. 14.

ცულობა და ა.შ.).⁷ შესაბამისად, ელექტრო ენერგია ვერ ჩაითვლება ნივთად. შედარებისთვის, სწორედ ამიტომ, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, სსკ-ის 248c პარაგრაფის სახით სპეციალური ნორმა შეიქმნა ელექტრო ენერგიის ქურდობასთან დაკავშირებით.⁸ ქართულ სისხლის სამართალში მსგავსი ნორმა არ გვხვდება და ელექტრო ენერგიის უკანონო მოპარვისას ქმედების ქურდობით კვალიფიკაციას ვერ მოვახდენთ, მაგრამ დასჯა მოხდება სსკ-ის 185-ე მუხლით (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით), ვინაიდან მასში დაზარალებულის მხრიდან ქონებრივი სარგებლის მიუღებლობაზეა საუბარი და ნივთი, როგორც ასეთი, ნორმაში საერთოდ არ არის ნახსენები.

ნივთად ვერ ჩაითვლება ასევე, მაგალითად, სადმე შენახული ელექტრონული ინფორმაცია, თუმცა, უშუალოდ ამ ინფორმაციის მატარებელი (მაგ. USB) ნივთად ითვლება და მასზე გავრცელდება სსკ-ის 177-ე მუხლი.⁹ **10**

ცხოველებიც, გაბატონებული შეხედულებით, გათანაბრებულია ნივთებთან.¹⁰ შესაბამისად, მათი მოპარვა სსკ-ის 177-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.¹¹ თუმცა, ასეთი მიდგომა წმინდა ფორმალურ-სამართლებრივ ხასიათს ატარებს და არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ დაშვებულია ცხოველებისადმი ნებისმიერი სახის მოპყრობა. არ უნდა დაგვაინტერესოს სსკ-ის 259-ე მუხლი, რომელიც ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას დასჯადად აცხადებს. ცხოველების ნივთებად მიჩნევა წარმოადგენს მხოლოდ იურიდიულ ფიქციას, ვინაიდან მათ შესახებ ერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი მონესრიგება სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება.¹² **11**

ქმედების ობიექტური შემადგენლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ მოძრავი ნივთი უნდა იყოს **სხვისი**, ანუ, ის უნდა იმყოფებოდეს ვინმეს საკუთრებაში ან მფლობელობაში.¹³ ამაში იგულისხმება, რომ ნივთი არ არის დამნაშავეს ერთპიროვნულ საკუთრებაში ან მფლობელობაში.¹⁴ თანასაკუთრების შემთხვევაშიც ნივთი სხვისად ჩაითვლება. **12**

სხვის ნივთად ვერ მიიჩნევა **უპატრონო ნივთები**, ვინაიდან მათზე უკვე არავინ ბატონობს. საკუთრებიდან ნივთის ამორიცხვა შესაძლებელია **13**

⁷ *ოთლაძე*, კომენტარებში: ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, მუხ. 148, აბზ. 4; *თოდუა*, ნიგნი: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 18.

⁸ *Heinrich*, ნიგნი: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 13 Rn. 32.

⁹ *Schramm*, Strafrecht BT II, § 2 Rn. 11.

¹⁰ *ოთლაძე*, ნიგნი: ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, მუხ. 148, აბზ. 41.

¹¹ იხ. მაგ. ძროხების ქურდობასთან დაკავშირებული საქმეები: სუსგ №984აპ.-22 12; №151აპ.-20; №370აპ.-17.

¹² *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 143.

¹³ *თოდუა*, ნიგნი: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 21.

¹⁴ *Heinrich*, ნიგნი: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 13 Rn. 33.

მობდეს როგორც უშუალოდ მესაკუთრის ნების საფუძველზე (მაგ. ნივთის სანაგვეში გადაგდება, რითაც ის უარს ამბობს მასზე), ასევე მისი ნების გარეშე (მაგ. დაკარგვა). სხვისთვის ნივთის შეცდომით გადაცემაც (მაგ. ზედმეტი თანხის), რომელსაც მერე დაიტოვებს პირი, ვერ შეფასდება ქურდობად.¹⁵

14 განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ა-მ გადაწყვიტა, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გადაეცა თავისი ტანსაცმლის ნაწილი. მან ტანსაცმელი ჩაალაგა ჩანთაში და ჭიშკართან დატოვა, სადაც რამდენიმე ხანში უნდა ჩამოეფლო იმ ორგანიზაციის მანქანას მის წასაღებად. ამ სიტუაციით ისარგებლა ბ-მ და მანქანის მოსვლამდე ჩანთას ფარულად დაეუფლა.

15 მოცემული კაზუსი დაკვალიფიცირდება როგორც ქურდობა, ვინაიდან ნივთების წაღებამდე ა ჯერ კიდევ მესაკუთრედ შეიძლება ჩაითვალოს. წაღების შემდეგ კი მესაკუთრედ საქველმოქმედო ორგანიზაცია გადაიქცეოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ტანსაცმელი არც დაკარგული ნივთებია და არც ნაგავში გადაუგდია ვინმეს, რაც თავისთავად საკუთრებაზე უარის თქმად შეფასდებოდა.¹⁶

16 კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, შეიცვლებოდა და ბ საერთოდ არ დაისჯებოდა იმ შემთხვევაში, თუ ა იმ მიზნით დადებდა ჭიშკართან ნივთებს, რომ ნებისმიერ გამვლელს შეძლებოდა მისი წაღება და ის ამის წინააღმდეგი არ იქნებოდა. ასეთი ქცევით ის უარს ამბობს თავის საკუთრებაზე, განსხვავებით წინა შემთხვევისგან, რომელშიც ის უარს მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციის სასარგებლოდ ამბობს.¹⁷

17 საინტერესოა კიოლნის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაც,¹⁸ რომელმაც სხვის საკუთრებად ჩათვალა სიმბოლურად ხიდზე დამაგრებული ე.წ. სასიყვარულო ბოქლომები. საუბარია პირის მიერ წაღებულ 53 ცალ, ხიდზე მიმაგრებულ ბოქლომზე, რომლის წონაც 15 კგ-ს შეადგენდა და რომლების ჩაბარებასაც ის ჯართში აპირებდა. სასამართლოს მოსაზრებით, ბოქლომის ბედი მათი დამმაგრებლებისთვის სულ ერთი არ ყოფილა. პირიქით, როგორც მარადიული სიყვარულის სიმბოლო, მათ ეს ბოქლომი კონკრეტულ ადგილას განათავსეს და ეს ქმედება სულაც არ ნიშნავდა საკუთრებაზე უარის თქმას. ამაზე ისიც მიუთითებდა, რომ მოგვიანებით, ინფორმაციის პრესაში გავრცე-

¹⁵ *თოდუა*, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 22.

¹⁶ *Kretschmer*, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, *AnwaltKommentar StGB*, § 242, Rn. 4; *Wittig*, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, *BeckOK StGB*, § 242 Rn. 11.

¹⁷ *Kretschmer*, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, *AnwaltKommentar StGB*, § 242, Rn. 4; *Wittig*, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, *BeckOK StGB*, § 242 Rn. 11.

¹⁸ AG Köln, Beck RS 2012, 20013.

ლების შემდეგ, რამდენიმე პირმა თავისი ბოქლომი იცნო და უკან დაბრუნებას მოითხოვდა. მართალია, ბოქლომების რეალური მფლობელი ქალაქი კიოლნი იყო, როგორც ხიდის მესაკუთრე, მაგრამ, საერთო სურათს ეს არ ცვლიდა.

რაც შეეხება **დაკარგვას**, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს დიფერენცირება. **18** კერძოდ, თუ ნივთი დაიკარგა დაუცველ ადგილას და მისი პატრონი აღარ იმყოფება იქ (მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია), მაშინ ასეთი ნივთის დაუფლება არ ჩაითვლება ქურდობად.¹⁹ ნივთის დაგინყების შემთხვევაში კი, როდესაც პირმა იცის, თუ სად დარჩა ეს ნივთი, მაშინ წინასწარი განზრახვით ასეთი ნივთის დაუფლება სსკ-ის 177-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.²⁰

არავის საკუთრებად არ ითვლება *ჰაერი, მდინარეები, მიცვალებული*²¹ **19** (მიცვალებულის უპატივცემლობა ცალკე დანაშაულია, სსკ მუხ. 258), გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მიცვალებული რამე კვლევის ობიექტი არ არის, როგორც გვამი შესაბამის ლაბორატორიაში და იქიდან იქნება მოპარული.²²

საინტერესოა *იმპლანტების* საკითხიც, რომლებიც ოპერაციის შედეგად ადამიანის სხეულის შემადგენელი ნაწილი ხდება. რა თქმა უნდა, ადამიანისთვის ოპერაციის გზით, მისი ნების საწინააღმდეგოდ იმპლანტის ამოღება სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა შეფასდეს. მაგრამ, სხეულიდან გამოცალკეების შემდეგ, ისინი ისევ ნივთის ფუნქციას იძენენ და შესაძლოა გახდნენ ქურდობის საგანი.²³ **20**

რაც შეეხება ადამიანის *ბუნებრივ სხეულის ნაწილებს* (მაგ. კბილები), ისინი სხეულისგან განცალკეების შემდეგ იძენენ მოძრავი ნივთის თვისებებს და ითვლებიან სხეულის მეპატრონის საკუთრებად.²⁴ რა თქმა უნდა, თუ ისინი ამ საკუთრებაზე თვითონვე არ ამბობენ უარს. კბილის ამოღების დროს, როგორც წესი, ადამიანს ამ კბილის მოშორება სურს. თუმცა, სულაც არ არის გამორიცხული, რაღაც სხვა მიზნებისთვის უნდოდეს თავისი ამოღებული კბილის გამოყენება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მის ამ საკუთრებას სისხლისსამართლებრივად დაუცველად ვერ დავტოვებთ. **21**

ნივთებთან მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასჯადობისთვის არ აქვს მნიშვნელობა, სხვისი ნივთი თუნდაც ნაქურდალი რომ იყოს („ქურ- **22**

¹⁹ *თოდუა*, წიგნი: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 23.

²⁰ *Wittig*, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB, § 242 Rn. 17.

²¹ *Schramm*, Strafrecht BT II, § 2 Rn. 16.

²² *თოდუაძე*, კომენტარებში: ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხ. 148, აბზ. 13.

²³ *Bosch*, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, § 242 Rn. 20.

²⁴ *Bosch*, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, § 242 Rn. 20.

დის ქურდი“). ასეთი ნივთების დაუფლებაც ქურდობად ჩაითვლება. მართალია, ამ დროს, გარკვეულწილად, უცნაური სიტუაცია იქმნება, ვინაიდან, გამოდის, რომ კანონი მსხვერპლის, ანუ პირველი ქურდობის ჩამდენი პირის, „საკუთრებას“ იცავს, თუმცა, დასჯადობის ამოსავალი ნერტილი მაინც უფრო მეორე ქურდის მხრიდან მომდინარე საფრთხეა (მისი მხრიდან სხვისი ნივთის დაუფლება).²⁵

- 23** სხვისი ნივთის დაუფლება უნდა განხორციელდეს ფარულად (ქმედება). დაუფლება ნიშნავს სხვის მოძრავ ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნებას. ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ამას განკარგვის შესაძლებლობასაც უწოდებენ.²⁶ როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ამსრულებელი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს (თავისთვის აფუძნებს სხვის ნივთზე ბატონობას), მაგრამ პასუხისმგებლობისთვის სრულიად საკმარისია მესამე პირის მიერ ბატონობის დაფუძნებაც. მაგალითად, როდესაც ამსრულებელი ქურდობისას პირდაპირ სხვას გადასცემს ადგილზევე ნივთს (დაუშვავთ, აჩუქებს). მართალია, სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ეს პირდაპირ არ იკითხება, თუმცა, აზრობრივად არის ნაგულისხმევი.
- 24** ნივთზე ობიექტური ბატონობის დანყება სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირად უნდა შეფასდეს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ერთმანეთისგან გასამიჯნად. მაგალითად, ბინაში შეღწევით ქურდობისას, პირს რომც ქონდეს აღებული ნივთები კარადიდან, ბინის დატოვებამდე მისი ქმედება ვერ შეფასდება დამთავრებულ დანაშაულად, ვინაიდან ის ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, წინა მფლობელის ბატონობის ქვეშ იმყოფება და არსებობს თუნდაც მცირედი შანსი, რომ ქურდს მიუსწრებენ.²⁷
- 25** ერთიანი სტანდარტის შემუშავება ახალი ბატონობის დაფუძნებასთან დაკავშირებით რთულია და მისი შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიფერენცირებულად უნდა მოხდეს. მაგ. ავტობუსში სხვისთვის ჯიბიდან საფულის ამოცლა და საკუთარ ჯიბეში ჩადება დამთავრებულ დანაშაულად უნდა შეფასდეს, თუნდაც ამსრულებლის ავტობუსიდან ჩასვლამდე, მაგრამ თუ მას საფულის ჯიბიდან ამოცლისთანავე შეამჩნევენ, ეს მცდელობა იქნება, ვინაიდან ის ვერ ასწრებს ახალი ბატონობის დაფუძნებას სხვის მოძრავ ნივთზე.²⁸
- 26** რაც შეეხება ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც ამსრულებელი საერთოდ ვერ

²⁵ შეად. Fischer, Strafgesetzbuch, § 242 Rn. 11a.

²⁶ შეად. თოდუა, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 27.

²⁷ Heinrich, ნიგნში: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 13 Rn. 59.

²⁸ შეად. გამყრელიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 10 და შემდეგი.

ასწრებს ქმედების ბოლომდე მიყვანას, კერძოდ, ნივთს ვერც კი დაეუფლება, მაშინ ამის შეფასება მცდელობად მარტივია. მაგალითად, ორი პირი ცდილობდა სხვისი მანქანიდან ორი დენის წყაროს მოპარვას, რა დროსაც ისინი პოლიციამ შეამჩნია და დააკავეს.²⁹ ასევე, ქურდობის მცდელობად შეფასდა კომპანიის ეზოდან ელექტრო სადენების წაღების მცდელობა, როდესაც დამნაშავეები პოლიციამ ადგილზევე დააკავა.³⁰

საინტერესოა შემდეგი კაზუსი:

27

ბინის მეპატრონე დაეჭვდა, რომ მის სახლში მომუშავე დამხმარე მუშა ქურდობდა, ამიტომ მან კარადის თავზე, ჭერში მოათავსა ვითომ ნამდვილი ფული და იმ ოთახშივე ფარულად დააყენა კამერები. მართლაც, მალევე, მუშამ კიბის გამოყენებით ჭერიდან შეკვრა ჩამოიღო და მეორე ოთახში გაიტანა, თუმცა მალევე უკან დააბრუნა, ვინაიდან მიხვდა, რომ ეს არ იყო ნამდვილი ფული.

მუშა პასუხისგებაში მიეცემა ქურდობის მცდელობისთვის. კერძოდ, საქმე გვაქვს ე.წ. უვარგის მცდელობასთან. ფული ნამდვილი რომ ყოფილიყო, ის დანყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. მუშა არც ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლებში მოქმედებდა (სსკ მუხ. 21). ის უბრალოდ იძულებული გახდა, შეეწყვიტა თავისი ქმედება და არ ამოძრავებდა სურვილი, ნამდვილი ფული საკუთარი ნებით დაებრუნებინა.

28

მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის ერთმანეთისგან გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგი კაზუსიც:³¹

29

პირი შეიპარა სხვის სააგარაკე სახლში, ოთახში და აიღო ფარულად ელექტრო სიგარეტი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თუმცა, სახლის მაცხოვრებელმა, რომელიც მეგობართან ერთად აივანზე იმყოფებოდა, ეს პირი ოთახში ყოფნისთანავე შეამჩნია და დაუყვირა კიდეც. მერე კი გაქცეულს გაეკიდა. გარეთ შემოვლამე მყოფმა პოლიციელებმა გაქცეული პირი დააკავეს.

უზენაესმა სასამართლომ სწორი კვალიფიკაცია მისცა აღნიშნულ ქმედებას და ის ქურდობის მცდელობად შეაფასა შედეგი არგუმენტაციით: მართალია, პირმა მოახერხა სააგარაკე სახლის ეზოს დატოვება, თუმცა, მის მიმართ უწყვეტად ხორციელდებოდა დევნა, რის გამოც მან ვერ მოახერხა სრულფასოვნად დაუფლებოდა სხვის საკუთრებას. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სახეზეა დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან თავდამსხმელის მიერ სააგარაკე სახლში ფარული შეღწევა უშუალოდ იყო მიმართული სხვისი საკუთრების დასაუფ-

30

²⁹ სუსგ №73აპ-23.
³⁰ სუსგ №952აპ-22.
³¹ სუსგ №528აპ-22.

ლებლად, თუმცა იმის გამო, რომ მესაკუთრემ შენიშნა, დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანა.

- 31** აღსანიშნავია, რომ ქურდობის ობიექტური შემადგენლობის დასრულება შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში უკავშირდებოდეს დამნაშავის მიერ ბინის ან სხვა მფლობელობის დატოვებას, თუმცა, გადამწყვეტი კრიტერიუმი არის არა კონკრეტული ადგილმდებარეობის დატოვება, არამედ - დამნაშავის მიერ ყველა იმ ბარიერის გადალახვა, რაც აბრკოლებს სხვისი მოძრავი ნივთის თავისუფალ განკარგვას. საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სახლში შეპარული პირის ქმედებით წარმოშობილია სხვისი საკუთრების ხელყოფის რეალური საფრთხე, მაგრამ მესაკუთრის მიერ დამნაშავის დევნისას ჯერ კიდევ არსებობდა ქმედების დასრულების აღკვეთის შესაძლებლობა.
- 32** ქურდობაზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავინწყდეს ისიც, რომ პირის თანხმობა თავისი ნივთზე ბატონობის დათმობასთან დაკავშირებით გამოირიცხავს ქმედების შემადგენლობას. მაგალითად, პატრონი თუ თანახმაა თავისი ნივთი სხვამ რომ აიღოს, ეს საკითხი არ გადავა განსახილველად მართლწინააღმდეგობის ეტაპზე (მუხ. 32). მსგავსი თანხმობა არის ქმედების შემადგენლობის გამომრიცხავი გარემოება სსკ-ის 177-ე მუხლთან მიმართებით და კაზუსზე მსჯელობაც იქვე უნდა შეწყდეს.
- 33** ამასთანავე, მაგალითად, ძილი ან ძლიერი სიმთვრალე არ ნიშნავს იმას, რომ პირი თანახმაა მისი საკუთრების ხელყოფაზე. ლატენტურად, მისი მხრიდან ნივთზე ბატონობის ნება ისევ ძალაშია და დროებით უგონო მდგომარეობაში ყოფნა ამ თვალსაზრისით არაფერს ცვლის.³² იგივე ვრცელდება ბავშვებსა და ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე ქმედუუნარო პირებზე. მთავარია, რომ მათ გააჩნიათ ბუნებრივი (და არა მაინცდამაინც სამართლებრივი), ნივთზე ბატონობის პოტენციური სურვილის ქონის უნარი.³³ ის, რომ მათ, შესაძლოა, პირადად არ შეეძლოთ ნივთების განკარგვა, ამ თვალსაზრისით არაფერს ცვლის და მათთვის ნივთის მოპარვაც ქურდობად შეფასდება.
- 34** გარდა ამისა, სამართლებრივად დაუცველი ვერ დარჩება კომაში ან სხვა უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელსაც სამედიცინო მაჩვენებლებიდან გამომდინარე არც კი აქვს გადარჩენის შანსი. მაგალითად, მძიმედ დაჭრილი და მომაკვდავი ადამიანის ნივთის ფარულად დაუფლება, რომელიც დაჭრიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვლება და არც კი მოსულა საერთოდ გონებაზე, მაინც ქურდობად შეფასდება.³⁴

³² Heger, კომენტარებში: Lackner/Kühl/Heger, StGB, § 242 Rn. 10.

³³ Bosch, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, § 242 Rn. 29.

³⁴ შეად. BGH NJW 1985, 1911.

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ერთმა პირმა სასტიკად ცემა მეორე პირი. ნაქცეულზეც გამეიტებით ურტყამდა ფეხებს მთელს სხეულზე. დაზარალებულმა საბოლოოდ იმდენი ნეკნის მოტეხილობა მიიღო, რომ მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. თავდამსხმელი სიკვდილის მიმართ განზრახ მოქმედებდა. გარდა ამისა, მსხვერპლის მიერ გონების დაკარგვის შემდეგ, მან იქვე მისი ჯიბიდან ამოვარდნილი ფულის რამდენიმე კუპიურა შეამჩნია და ჯიბეში ჩაიღო.³⁵

35

ჩვენთვის საინტერესოა კვალიფიკაცია ფულის დაუფლების ეპიზოდთან მიმართებით. თავიდან თავდამსხმელს საერთოდ არ ქონია მისი დაუფლების განზრახვა. ამიტომ, მის მიერ ქმედების მსხვერპლის მიერ გონების დაკარგვის შემდეგ განხორციელება ფარულ დაუფლებად შეფასდება. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ის რომ, მსხვერპლს არ შეეძლო გონების დაკარგვის შემდეგ, თავისი ფულის დაცვა, კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს.

36

ნივთზე ბატონობასთან მიმართებით არ არის საჭირო დეტალური ცოდნა. მაგალითად, შესაძლოა, პირს მაღაზია ქონდეს და სულაც არ იცოდეს დეტალურად, კონკრეტულად რა წვრილმანი ნივთები დევს იქ, ვინაიდან, ის ყოველდღიურად იღებს სხვადასხვა სახის გასაყიდ მასალას, თუმცა, მთავარია, რომ მას აქვს, ზოგადად, ყველა ნივთზე ბატონობის სურვილი.³⁶ შესაბამისად, ითვლება, რომ ამ ნივთებზე ის ბატონობს და მათი ფარულად წაღება მისი ნების საწინააღმდეგო ქმედება იქნება.

37

დიფერენცირებული მიდგომა არის საჭირო ამსრულებლის მხრიდან სხვის ნივთის *გადამალვის* შემთხვევაში:

38

ა იმყოფებოდა სტუმრად მეგობარ ბ-ს სახლში და კარადაში შეამჩნია ოქროს ბეჭედი. მან შეუმჩნევლად აიღო ეს ბეჭედი და ვინაიდან იმ წუთას მის თან წაღებას შეუმჩნევლად ვერ მოახერხებდა, ეს ბეჭედი იქვე, მასპინძლის სახლში, ერთ-ერთი ნიგნის უკან შეაგდო, შემდეგ მოსვლაზე გავიყოლებო.

აღნიშნული ქმედება დამთავრებულ ქმედებად ვერ შეფასდება, ვინაიდან ბეჭედზე ახალი ბატონობა არ დაფუძნებულა ა-ს მხრიდან. მართალია, სახლის მეპატრონემ არ იცის თავისი ნივთის კონკრეტული ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ნივთი მაინც მის სახლშია და ითვლება, რომ მისი მხრიდან ნივთზე ბატონობა არ შეწყვეტილა.³⁷

39

თუმცა, ამ კაზუსთან მიმართებით სადავოა საკითხი, ა-ს ქმედება ქურდობის მომზადებაა თუ ქურდობის მცდელობა. მომზადების სასარგებ-

40

³⁵ კაზუსი გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან - BGH NJW 1985, 1911.

³⁶ *Tofahrn*, Strafrecht BT II, Rn. 38.

³⁷ *Rengier*, Strafrecht BT I, § 2 Rn. 58.

ლოდ შეიძლება ის არგუმენტი იქნას მოყვანილი, რომ დროისა და სივრცის თვალსაზრისით სხვისი ნივთის საბოლოოდ დაუფლებამდე ბევრი საფეხურია გასავლელი. ა ისევ უნდა მივიდეს სტუმრად ბ-ს სახლში და აილოს ეს ნივთი სამალავიდან, რათა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. თუმცა, მეორე მხრივ თუ შევხედავთ, ა-მ უკვე დაინყო თავდასხმა სხვის მოძრავ ნივთზე (ის გადამალა). უშუალოდ სხვისი ნივთის ხელყოფის დანყება კი უფრო მცდელობის კონსტრუქციას შეესაბამება. მომზადება იქნებოდა გადამალვამდე განხორციელებული ქმედებები, მაგ. სამალავის მომზადება პოტენციურად წასაღები ნივთებისთვის, რომლებისთვისაც პირს ჯერ ხელიც კი არ მოუკიდია.

- 41 როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დაუფლება, ანუ მოძრავ ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნება, ფარულად უნდა განხორციელდეს. ფარულობის სტანდარტული შემთხვევაა, როდესაც ვერც ნივთის პატრონი ან სხვა პირი ვერ ამჩნევს სხვისი ნივთის დაუფლების ფაქტს და დამნაშავეც სწორედ ამით სარგებლობს (**ფარულობის ობიექტური ნიშანი**). თუმცა, მსჯელობა და შესაბამისი დასაბუთება ჭირდება შემდეგ შემთხვევას:

ა-მ ავტობუსში ბ-ს ჩანთიდან ამოაცალა საფულე. ის ფიქრობდა, რომ მას ვერავინ ხედავდა. ა-მ მართლაც ვერ შეამჩნია ნივთის დაკარგვა. მაგრამ, ეს ფაქტი დაინახა სხვა მგზავრმა, ვინმე გ-მ.

- 42 აღნიშნული ქმედება მაინც ფარულ დაუფლებად შეფასდება, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად ის ფარული არ ყოფილა, თავისი გადმოსახედიდან დამნაშავე მაინც ფარულად მოქმედებდა (**ფარულობის სუბიექტური ნიშანი**). სუბიექტური ელემენტისთვის უპირატესობის მინიჭების არსი შემდეგში მდგომარეობს: კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან შედარებით, ქურდის ქმედებას ნაკლებად საფრთხის შემცველად მიიჩნევს და შესაბამისად, უფრო ნაკლებ სანქციებს უწესებს, ვიდრე, მაგალითად, ძარცვის ან ყაჩაღობის შემთხვევაში. ქურდობის ჩამდენი პირი არ არის იმდენად სახიფათო, რომ აშკარად სხვისი ნივთის დაუფლება განახორციელოს, ანუ მას ნაკლები კრიმინალური ენერგია ამოძრავებს. სწორედ ამიტომ არის კვალიფიკაციისას ამსრულებლის აღქმა გადამწყვეტი.³⁸

- 43 ა-ს დასარეკი თანხა არ ქონდა თავის ტელეფონზე, ამიტომ ფარულად აილო ბ-ს ტელეფონი და რამდენიმე ზარი განახორციელა, მათ შორის უცხოეთშიც. ამის შედეგად ბ-ს ბალანზე არსებული თანხა 50 ლარით შემცირდა. 20 წუთში ა-მ ტელეფონი ისევ თავის ადგილას დააბრუნა.

- 44 ა-ს, მართალია, არ ქონია უშუალოდ ტელეფონის მართლსაწინააღმდე-

³⁸ შეად. ლეკვეიშვილი/თოდუა, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 33.

გო მისაკუთრების მიზანი და მალევე უკან დააბრუნა კიდეც, მაგრამ, მან მაინც განახორციელა სხვისი ქონების დაუფლება 50 ლარის გახარჯვის სახით. ის დაისჯება სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. ე.წ. ული-მიტო პაკეტის გამოყენების შემთხვევაში, რა დროსაც შესაძლებელია უფასოდ ყველასთან დარეკვა, დასჯადობა გამოირიცხება. ტელეფონის დროებითი გამოყენების შედეგად ასეთ დროს სხვისი ქონების შემცირება არ ხდება.³⁹

გადაცმული პოლიციელი ა ავიდა ავტობუსში, რათა გამოევიდინა ჯიბის ქურდობები. ამ მიზნით მან გამოსაჩენ ადგილას ჩაიდო საფულე შარვლის უკანა ჯიბეში. როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე წუთში, მას საფულე ამოაცალა ბ-მ. ა-მ ეს ვითომ ვერ შეამჩნია. ბ შემდეგ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა. ა მას ფარულად უკან მიყვა, ვინაიდან არ უნდოდა ავტობუსში სხვა მგზავრებისთვის დაკავებისას დისკომფორტი შეექმნა. გაჩერებიდან რამდენიმე ათეულ მეტრში მან ბ დააკავა.

45

ბ-ს მიერ განხორციელებული ქმედება შეფასდება როგორც ქურდობის მცდელობა (მუხ. 19, 177 ნაწ. 1). მართალია, მან თავისი გადმოსახედიდან სხვის საფულეზე ავტობუსიდან ჩასვლით საბოლოოდ ახალი ბატონობა დაამყარა, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე მხარეც. კერძოდ, აღნიშნული უნდა ხდებოდეს ნივთის მფლობელის/მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ. მოცემულ კაზუსში კი პოლიციელი სულაც არ ყოფილა წინააღმდეგი მისი საფულის მიმართ განხორციელებული ქმედების. პირიქით, მას სურდა მოვლენების მსგავსი განვითარება. გარდა ამისა, ის მთელი ამ დროის განმავლობაში, სრულად აკონტროლებდა სიტუაციას და ნებისმიერ დროს შეეძლო ბატონობის დაბრუნება საფულეზე. ჯიბეში ხელის ჩაყოფიდან დაკავების მომენტამდე ის სულ თვალს ადევნებდა ბ-ს. ანუ, მას არ დაუკარგავს ბატონობა თავის საფულეზე.⁴⁰

46

მართალია, ფარულობის ელემენტთან მიმართებით, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამსრულებლის აღქმას ვანიჭებთ უპირატესობას, მაგრამ ეს არ ეხება დაუფლებას. დაუფლება ობიექტურად ახალი ბატონობის დაფუძნებას გულისხმობს, რაც ამ კაზუსში არ მომხდარა. ახალი ბატონობა იყო მხოლოდ მოჩვენებითი. ბ-ს ეგონა, რომ საბოლოოდ დაეფლა სხვის ნივთს. ობიექტურად კი ეს არ მომხდარა, რაც სავსებით შეესაბამება მცდელობის კონსტრუქციას.⁴¹

47

საინტერესოა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს თუნდაც გერმანულ სისხლის სამართალში **საბანკო ბარათების** გამოყენებით ჩადენილი სხვისი თანხის დაუფლება. ამის სტანდარტული შემთხვევაა პირის მიერ სხვისი

48

³⁹ Schramm, Strafrecht BT II, § 2 Rn. 50; დანვრ. იხ. ასევე Schnabel, NSTz 2005, 18 ff.

⁴⁰ შეად. BGHSt 4, 199.

⁴¹ მცდელობის საკითხთან დაკავშირებით დანვრ. იხ. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 308 და შემდეგი.

ბარათის უნებართვოდ გამოყენება და ბანკომატიდან თანხის მოხსნა.

- 49** ერთი შეხედვით, მარტივად შეიძლება სხვისი ფულის ამ გზით დაუფლების ქურდობად კვალიფიკაცია, მაგრამ პრობლემას ის ქმნის, რომ ბანკომატის, ანუ რეალურად ბანკის და მის მიერ გამოყენებადი კომპიუტერული სისტემის მოცუება ხდება, რის შედეგადაც გაიცემა ეს თანხა ნებაყოფლობით. ეს კი ქურდობის კონსტრუქციას არ შეესაბამება. მოცუებით სხვის ქონების დაუფლება თაღლითობაა. ბანკმა საკუთარი „ნებით“ გასცა ეს თანხა, ვინაიდან ბანკომატს ბარათის გამტარებელი პირი უფლებამოსილი პირი „ეგონა“. თუმცა, არც თაღლითობით კვალიფიკაცია არის მარტივი, ვინაიდან თაღლითობის დროს სხვა ადამიანის მოცუება ხდება, მოცემულ შემთხვევაში კი მოხდა საბანკო სისტემის მოცუება. კვალიფიკაციისას მსგავსი პრობლემის თავიდან ასარიდებლად გერმანულ სისხლის სამართალში ცალკე ნორმის სახით არსებობს კომპიუტერული თაღლითობის შემადგენლობა (სსკ § 263a), რომლის გამოსაყენებლადაც არ არის საჭირო მაინცდამაინც ადამიანის მოცუება.⁴² იგივე პრობლემის წინაშე ვდგებით თუნდაც გაყალბებული საბანკო ბარათის გამოყენებისას.
- 50** გამოდის, რომ ქართულ სისხლის სამართალში ვერც 177-ე და ვერც 180-ე (თაღლითობა) მუხლებს გამოვიყენებთ. გამოსავალი შეიძლება დავინახოთ სსკ-ის 180-ე მუხლის ფართოდ განმარტებაში, ვინაიდან იქ ზოგადად მოცუება არის ნახსენები და არა კონკრეტულად ადამიანის მოცუება.
- 51** სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევების კვალიფიკაცია მაინც ქურდობით ხდება, თუმცა, სამწუხაროდ, შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ადრე, სსკ-ის 177-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 284-ე მუხლიც გამოიყენებოდა ერთობლიობით, ვინაიდან ბანკის კომპიუტერულ სისტემაში ხდებოდა შეღწევა.⁴³ სისხლის სამართლის კოდექსში, დღეისათვის უფრო სპეციალური, 286¹ მუხლიც არსებობს - კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. მაგრამ ამ მუხლების გამოყენებაც სადავოა, ვინაიდან მათში საუბარია „უნებართვოდ“ შეღწევაზე. საბანკო სისტემა კი იმ ადამიანს აძლევს ბანკომატის გამოყენების უფლებას, რომელსაც აქვს საბანკო ბარათი და შესაბამისი კოდი. კონკრეტულად თუ ვის ხელშია ეს ბარათი, ამას ბანკომატი არ და ვერ ამოწმებს. ანუ გამოდის, რომ თუნდაც უცხო პირი სხვისი ბარათის გამოყენებისას საბანკო სისტემაში მაინც ბანკის „ნებართვით“ შედის. ამ საკითხის სხვა მხრიდანაც დანახვა შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სასურველი იქნებოდა მეტად სიღრმისეულად ანალიზი პრაქტიკაში მსგავსი საკითხების კვალიფიკაციისას.

⁴² შეად. Fischer, Strafgesetzbuch, § 242 Rn. 26 ასევე Schmitz, კომენტარებში: Münchener Kommentar zum StGB, § 242 Rn. 104.

⁴³ იხ. მაგ. სუსგ №334აპ.-17. ასევე სუსგ №575აპ.-09.

ქურდობა მატერიალური შემადგენლობაა და შესაბამისად, **შედეგის** დადგომაც უნდა შეფასდეს. სსკ-ის 177-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა ზიანის ოდენობას (ქვედა ზღვარს). 150 ლარამდე ოდენობით ზიანის მიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირდება. თუნდაც, ერთი ლარის ფარულად დაუფლება გვაძლევს ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას, ვინაიდან კანონმდებელს არანაირი ქვედა ზღვარი არ დაუდგენია, თუმცა, აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილს, რომლითაც შესაძლებელია პირის საერთოდ არდასჯა, ვინაიდან მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი მცირე მნიშვნელობისაა.

ზიანის შეფასების საკითხი მხოლოდ მატერიალურ ასპექტში არ უნდა გადაწყდეს. შესაძლებელია, მოპარული ნივთი, საბაზრო ღირებულებით ძალიან იაფია, მაგრამ მისი მეპატრონისთვის ის, როგორც საყვარელი ადამიანისგან დატოვებული მემკვიდრეობა, ძალიან ძვირფასი იყოს. შესაბამისად, საკითხის შეფასებისას მსგავსი ასპექტებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ამასთანავე, არც ის არის დასაშვები, რომ ნივთის მნიშვნელობა მთლიანად პირადი შეხედულებებით და ემოციებით განისაზღვროს. შეფასებისთვის შეგვიძლია ობიექტური მესამე პირის სტანდარტი ავილოთ (რა მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის მსხვერპლის ადგილას დაკარგულ ნივთს?).

შესაძლოა გვეთქვას, რომ სამართლებრივი უსაფრთხოებისა და უკეთესი განჭვრეტადობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა წმინდა ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება, მაგრამ მეორე მხრივ, უსამართლობაა სოციალურად დაუცველი ადამიანის, რომლისთვისაც თითოეული ლარი ძალიან მნიშვნელოვანია, სისხლისსამართლებრივად დაუცველად დატოვება. თუმცა, როგორც ვთქვით, ეს არ ნიშნავს რამდენიმე ლარის ქურდობისთვის ვინმეს დასჯადობის გამართლებას.

2018 წლის 2 მაისს, ღამით, დაახლოებით 03:20 საათზე, თბილისში მდებარე ინდივიდუალური მენარმის საცხოვრებელი ნაყინის შესანახი მაცივრიდან, ქურდობის მცდელობისათვის ნასამართლევი ა ცდილობდა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვადასხვა დასახელების ნაყინის ფარულად დაუფლებას, რა დროსაც მისი ქმედება შეამჩნიეს პოლიციის თანამშრომლებმა და ის შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.⁴⁴

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, აღნიშნული პირი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. მისგან ამოღებული ნაყინის რაოდენობის ერთობლივი ანალიზის შედეგად დადგინდა ის ფაქტი, რომ იმ ნაყინების საერთო ღირებულება, რომელთა საბოლოო დაუფ-

⁴⁴ სუსგ №312აპ-20.

ლებაც პირმა პოლიციის თანამშრომელთა გამოჩენის გამო ვერ შეძლო, შეადგენდა 5 ლარს და 10 თეთრს. სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ მაცივარში კიდევ იყო სხვა ნაყინები. ამასთან, ის გარემოება, რომ ა-ს ქმედება არ იყო მიმართული დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისაკენ, დასტურდებოდა უშუალოდ ქმედების დროს მისი ქცევითაც. კერძოდ, მაცივრის მინის გატეხვის შემდეგ ა დაეუფლა რამდენიმე ნაყინს და ერთ-ერთი მათგანის მირთმევა დაიწყო შემთხვევის ადგილზევე, რაც ნათლად წარმოაჩინს ა-ს განზრახვას, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს. არცერთი მტკიცებულებიდან გამომდინარე არ დგინდებოდა, რომ ა ყველა ნაყინის მოპარვას აპირებდა, რაც კი მაცივარში იყო. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზიანი არ იქნებოდა მცირე მნიშვნელობის.⁴⁵

57 უზენაესი სასამართლო იქვე აღნიშნავს, რომ მე-7 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად - ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დანაშაულის პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.⁴⁶

58 ეს მიდგომა თანხვედრაშია ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასთან, როგორც ობიექტური (ღირებულება), ასევე სხვა დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

59 საინტერესოა სხვა საქმეც,⁴⁷ რომელიც მართალია, ძარცვას ეხება, მაგრამ მასშიც სწორედ მცირე მნიშვნელობაზე არის ნამსჯელი:

ადრე ნასამართლევა პირმა, დაზარალებულს, რომელიც მეუღლესთან ერთად, კორპუსის მიმდებარედ, ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობდა, გასტაცა კოლოფი, რომელშიც ის ხურდა ფულს ინახავდა. მოგვიანებით, მსჯავრდებულს, დაკავებისას აღმოაჩნდა 10 ლარამდე ოდენობით თანხა, რაც დაცვის მხარის პოზიციით, მცირე მნიშვნელობის იყო და არ უნდა გამოენვია პირის პასუხისმგებლობა.

60 სასამართლომ აღნიშნული შეხედულება არ გაიზიარა. ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულების ჩვენებით, ეს

⁴⁵ დანვრ. იხ. სუსგ №312აპ-20, აბზ. 9 და შემდეგი.

⁴⁶ სუსგ №312აპ-20, აბზ. 10.

⁴⁷ სუსგ №654აპ-17.

თანხა მათთვის მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, აღინიშნა პირის ადრე ნასამართლობის ფაქტიც.⁴⁸

შედეგში არ მოიაზრება ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნება. ეს საკითხი ქმედებაშივე მოწმდება. შედეგი არის სწორედ ამ ქმედების საფუძველზე მიყენებული ზიანი.⁴⁹ დოგმატურად გამართული და თანმიმდევრული შეფასებისთვის ეს გამიჯვნა მნიშვნელოვანია. **61**

სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება - **მნიშვნელოვანი ზიანის** მიყენება - შედეგშივე შეიძლება შემონმდეს და არ არის აუცილებელი ცალკე მისი განხილვა დანაშაულის აგებულებაში. ამავე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ზიანად ითვლება, თუ ნივთის ღირებულება არის 150 ლარს ზევით. მაშასადამე, 150 ლარის ჩათვლით ნივთს ღირებულების მოპარვა სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით დაისჯება. **62**

ღირებულების დადგენა ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც საორჭოფოა მიყენებული ზიანის ოდენობა, ინიშნება ექსპერტიზა.⁵⁰ შესაძლოა პირმა ერთდროულად რამდენიმე ნივთი მოიპაროს, მაგრამ თითოეული მათგანი 150 ლარზე ნაკლები ღირდეს. დამნაშავე მანც აღნიშნული გარემოებით დაისჯება, თუ ჯამში საერთო ღირებულება 150 ლარს აჭარბებს, მაგრამ არ აღემატება 10 000 ლარს.⁵¹ ეს უკვე დიდ ოდენობას მოგვცემდა სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილიდან გამომდინარე და მეოთხე ნაწილის ბ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდებოდა. **63**

არის შემთხვევები, როდესაც ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე (მაგალითად, შესაბამისი ექსპერტიზის არარსებობა) საერთოდ ვერ ხერხდება ნივთის ღირებულების დადგენა. ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება. სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მომხდარია და მას რალაც ღირებულება ყოველთვის ექნება. კონკრეტული ღირებულების დაუდგენლობა ღირებულების საერთოდ არარსებობას არ ნიშნავს. **64**

აქვე განვიხილოთ **დიდი ოდენობით** ზიანის მიყენების საკითხიც (მუხ. 177, ნაწ. 4, ქვეპ. ბ). წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი: **65**

⁴⁸ სუსგ №654აპ-17, აბზ. 4.

⁴⁹ ქართულ დოქტრინაში აღნიშნული საკითხი ბოლომდე ნათლად არ არის გამიჯნული და დაუფლება და შედეგი ნაწილობრივ ერთად არის მოხსენიებული - იხ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 33.

⁵⁰ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 35.

⁵¹ იხ. მაგ. სუსგ №1280აპ-22.

ა-მ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე საძოვრიდან მოიპარა რამდენიმე ძროხა, რომლებიც ეკუთვნოდა სამ სხვადასხვა დაზარალებულს. თითოეულ მათგანს მიადგა 4 000 ლარის ზიანი.

- 66** თუ მათი საერთო ღირებულება ჯამში 10 000 ლარს აღემატება (ჩვენს კაზუსში 12 000 ლარი) და დამნაშავე ერთიანი განზრახვით მოქმედებდა, მაშინ ის დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთების დაუფლებისთვის აგებს პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე აღებული, თითოეულ პირს ამ ოდენობით არ განუცდია ზარალი.⁵²
- 67** იგივე მიდგომა უნდა გავრცელდეს მნიშვნელოვანი ზიანის დადგენასთან მიმართებაშიც. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტში ნაგულისხმევია თითოეული დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა.⁵³ ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა ნორმის ერთიან გაგებასთან. არასწორია კანონის სხვადასხვა ნაწილში ნაგულისხმევი ზიანის ოდენობა სხვადასხვა სტანდარტით განისაზღვროს. სსკ-ის 177-ე მუხლით დასჯადობის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ხდება ფარულად და არ აქვს მნიშვნელობა, თუ კონკრეტულად ვისი ნივთია ეს. მთავარია, ამსრულებელმა იცოდეს, რომ სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მოქმედებს.
- 68** სამსახურში მყოფი ა შეიპარა კოლეგების სამუშაო ოთახში და იქიდან რამდენიმე ნივთი ფარულად წამოიღო, რომლებიც მათ ეკუთვნოდა. თითოეულ მათგანს 100 ლარის ზიანი მიადგა. ჯამში ა 200 ლარის ღირებულების ნივთებს დაეუფლა.
- 69** ა-ს ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ის შესაბამისად, აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით აგებს პასუხს. ის ერთიანი განზრახვით მოქმედებდა ამ ნივთების მიმართ. ცალ-ცალკე კვალიფიკაცია მოხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განზრახვის არსებობის შემთხვევაში ყველა დაზარალებულის მიმართ.
- 70** საინტერესოა ამ თვალსაზრისით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებაც,⁵⁴ რომელიც, მართალია, დიდი ოდენობის დადგენას ეხება, მაგრამ მისი დასაბუთების შინაარსის გადატანა აზრობრივად მნიშვნელოვან ზიანზეც არის შესაძლებელი.
- 71** დიდი პალატა მართებულად აღნიშნავს შემდეგს:
- როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანა-

⁵² შეად. *ლექციები/თოდუა*, წიგნში: *ლექციები/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 47; სუსგ №1148აპ-22.

⁵³ ამ მიდგომას ავითარებენ *ლექციები/თოდუა*, წიგნში: *ლექციები/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 35.

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №236აპ-12.

შაულთა ცნებების განმარტებისას შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ძირითად შემადგენლობებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა თუ მისაკუთრების მიზანზე, ძალიან მაღალი ალბათობითაა სავარაუდო, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას – ეს სხვისი ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის, თუ ორს ან მეტს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე (ფული, ქონება), რომელსაც ეუფლება და ისაკუთრებს დამნაშავე, ამ უკანასკნელს არავითარი უფლება არ გააჩნია. ამიტომ, განხილულ შემთხვევაში, ერთიანი განზრახვითა და მიზნით ჩადენილი ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის (ფულის, ქონების) საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული, კონკრეტული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას.

მიზეზობრივი კავშირის შემონმების დროს შემდეგი კითხვა უნდა დაისვას - რომ არ დაუფლებოდა პირი სხვის მოძრავ ნივთს, მიადგებოდა თუ არა მსხვერპლს ზიანი?⁵⁵ **ობიექტურ შერაცხვაზეც** იგივე მიდგომა ვრცელდება. მასში მოწმდება პირის მიერ თავისი ქმედებით (დაუფლებით) სხვისი საკუთრებისთვის სამართლებრივად გასაკიცხი საფრთხის შექმნა და ამ საფრთხის შესაბამისი შედეგის დადგომა.⁵⁶

72

ქურდობა, ჩადენილი სადგომში ან საცავში უკანონო შელწევით დამამძიმებელი გარემოებაა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დამნაშავე უფრო მეტ კრიმინალურ ენერგიას ავლენს, დამატებით ბარიერებს ლახავს და შესაბამისად, უფრო მეტ სასჯელსაც იმსახურებს. აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება არ უნდა აგვერიოს ბინაში. ბინაში შელწევით ქურდობა კიდევ უფრო მკაცრად ისჯება ამავე მუხლის მესამე ნაწილის 6 ქვეპუნქტით, ვინაიდან ქურდობა ადამიანის საცხოვრებელ ადგილას ხდება.

73

თუმცა, სადგომი ან საცავი არ გამორიცხავს მთლიანად ადამიანის ადგილსამყოფელს. მაგ. მაღაზია, მუზეუმი ან ბანკი საცავია, სადაც ადამიანებიც იმყოფებიან და შესაბამისად, იქ უკანონოდ შელწევის შემთხვევაში პირი მეორე ნაწილის 2 ქვეპუნქტით აგებს პასუხს.

74

განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:⁵⁷

75

მუზეუმის დაცვის თანამშრომელმა, რომელსაც მუზეუმის საცავებსა და ოთახებში შესვლის უფლება ქონდა, თავისი მორიგეობის დროს, წამოიღო ფარულად რამდენიმე ნახატი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. შეფასდება თუ არა მისი ქმედება საცავში უკანონო შელწევად?

⁵⁵ ტურავა, ზოგადი ნაწილი, 90.

⁵⁶ ტურავა, ზოგადი ნაწილი, 105 და შემდეგი.

⁵⁷ სუსგ №412აპ-16.

- 76** ვინაიდან პირი დაცვის თანამშრომელი იყო და მას კანონიერად ქონდა მუზეუმის ყველა ოთახში თუ საცავში შესვლის უფლება, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტით. მაგალითად, თუ მას მხოლოდ შენობის გარედან დაცვის ფუნქცია ექნებოდა შიგნით შესვლის უფლების გარეშე, მაშინ ის დაისჯებოდა აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით.
- 77** იგივე წესი გავრცელდება ღია მაღაზიასთან მიმართებაშიც, საიდანაც კლიენტმა შეიძლება რაღაც ნივთი გამოაყოლოს ხელს ფარულად, მისაკუთრების მიზნით. ის დაისჯება ნივთის ღირებულების მიხედვით და არა საცავში უკანონო შეღწევის გამო. მაღაზია ისედაც ღია იყო და ყველას ქონდა შიგნით შესვლის უფლება. დამნაშავეს რამე დამატებითი ბარიერი არ გადაუღახავს საკუთარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მაშასადამე, შეღწევა უნდა მოხდეს დაკეტილ მაღაზიაში.⁵⁸
- 78** შესაძლოა სადგომი ან საცავი არ იყოს ჩაკეტილი (მაგ. დაცვას დაავიწყდა), მაგრამ არაუფლებამოსილი პირის იქ შესვლა და ქურდობა მაინც მოგვცემს დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციას.
- 79** დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებით, სადგომი ან საცავი უნდა იმყოფებოდეს უძრავ მდგომარეობაში.⁵⁹ მაგ. ღია სივრცეში დადგმული სეიფის წაღება, რომელიც არსად არ არის მიმაგრებული ან თუნდაც შემოღობილ სივრცეში, ვერ შეფასდება საცავში შეღწევად. მაგრამ, პრაქტიკაში, ავტომანქანიდან ნივთის მოპარვა ითვლება საცავში შეღწევად, მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანა, ზოგადად, მოძრავი ნივთია.⁶⁰ აღნიშნულის დასაბუთება შესაძლებელია იმით, რომ მანქანა დახურულ სივრცეს წარმოადგენს და მასში შეღწევა მეტი კრიმინალური ენერჯის გამოვლენაა დამნაშავის მხრიდან. ის, როგორც პირადი ნივთი, არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ ნებისმიერ პირს შეეძლოს მასში თავისუფლად ჩაჯდომა. შესაბამისად, იქიდან ქურდობაც უფრო მეტ სისხლისსამართლებრივ დაცვას იმსახურებს, ვიდრე ეს მარტივი ქურდობის შემთხვევაში ხდება.⁶¹
- 80** ა-მ სპეციალური ხელსაწყო გამოყენებით გააღო მანქანის კარი და შიგნით ჩაჯდა, ისე, რომ არაფერი დაზიანებულა. მას მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, ვინაიდან ძალიან აინტერესებდა ამ მანქანის შიდა მოწყობილობები. თუმცა, მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ, შეამჩნია საფულე, რომელიც მანქანიდან გადმოსვლისას ხელს გამოაყოლა.
- 81** ა არ დაისჯება საცავში შეღწევისთვის, ვინაიდან, მას მანქანაში ჩაჯდომის

⁵⁸ სუსგ №339აპ-22.

⁵⁹ *ლეკვიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 36.

⁶⁰ სუსგ №1280აპ-22; სუსგ №184აპ-22.

⁶¹ ამ მოსაზრებას ავითარებს გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოც - BGHSt 2, 214.

დროს არ ამოძრავებდა სხვისი ნივთის ფარული დაუფლების განზრახვა. განზრახვის წარმოშობის მომენტში ის უკვე მანქანაში იჯდა. შესაბამისად, ის დაისჯება სსკ-ის 177-ე მუხლის მხოლოდ პირველი ნაწილით.

საცავად ითვლება ქუჩაში დაყენებული სალარო ფულის ჩასარიცხი აპარატებიც, კერძოდ, მათი გატეხვა და იქიდან ფულის გამოტანა.⁶² მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქუჩაში დგას, ღია სივრცეში, აპარატი მაინც სპეციალურად დაცული საცავია და მასში ფული ინახება. არა აქვს მნიშვნელობა, ეს უშუალოდ ბანკის წინ მოხდება თუ სხვაგან. **82**

სხვისი შემოღობილი ეზოდან ნივთების წაღებაც სადგომში ან საცავში შეღწევად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ამსრულებელი მეტ კრიმინალურ ენერგიას ავლენს და მზად არის, გადალახოს დამატებითი ბარიერი მიზნის მისაღწევად.⁶³ სრულად ღია ეზოს შემთხვევაში (არ აქვს ღობე საერთოდ) ეს წესი არ გავრცელდება. **83**

შედარებისთვის, გერმანულ დოქტრინასა და პრაქტიკაში საკითხის გადამწყვეტა იმისდა მიხედვით ხდება, თუ რა სახის ბარიერის გადალახვა უნევს დამნაშავეს. მაგალითად, თუ ღობე ძალიან დაბალია, ან საერთოდაც რაღაც ადგილას გამორღვეულია და პირს არც კი უნევს დიდად რამე სირთულის გადალახვა ეზოში შესასვლელად, ეს არ შეფასდება დამამძიმებელ გარემოებად.⁶⁴ ამის დასაბუთება ხდება იმით, რომ „შელწევა“ გარკვეულ ძალისხმევას უნდა მოითხოვდეს და არა უბრალოდ ნებისმიერი ფორმით შესვლას.⁶⁵ დაბალ ღობეზე ფეხის გადაბიჯება კი ვერ ჩაითვლება მსგავს ქმედებად. მაშინ ნებისმიერი ფეხის გადადგმაც შელწევა გამოვიდოდა. **84**

შენობებში შეღწევასთან მიმართებით სხვანაირი მიდგომა არის საჭირო, ვინაიდან ისინი ისედაც კედლებისგან, კარებისგან და ა.შ. შედგება და შიგნით თუნდაც მარტივად შესვლა მეტი კრიმინალური ენერგიის გამოვლენას გულისხმობს. **85**

განვიხილოთ შემდეგი კაზუსი: **86**

ა-მ გატეხა მაღაზიის კარის საკეტი, გამოალო კარი და შიგნით რომც არ შესულა ისე, ჯოხის გამოყენებით, გარეთ გამოიტანა რამდენიმე ცალი ტანსაცმელი. შეფასდება თუ არა ეს ქმედება საცავში შეღწევად?

ა საცავში შეღწევისთვის აგებს პასუხს. მართალია, ის შენობაში არც კი შესულა, მაგრამ სხვისი ნივთები დაცულ სივრცეში იმყოფებოდა და მათი გამოტანაც იქიდან მოხდა. **87**

⁶² სუსგ №1161აპ-22; სუსგ №718აპ-22.

⁶³ ამავე მოსაზრებას ავითარებს *გამყრელიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 26.

⁶⁴ *Rengier*, *Strafrecht* BT I, § 3 Rn. 11.

⁶⁵ BGH NStZ 2000. 143.

- 88** შედარებისთვის აქვე განვიხილოთ **ბინაში შეღწევა**, როგორც ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება (ნან. 3, ქვეპ. გ). კანონმდებელმა ასეთი ფორმით ჩადენილი ქურდობისთვის კიდევ უფრო გაამკაცრა სასჯელი და დაწესებული სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილში მოაქცია. ამის დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე სხვის პირად, ძალიან ინტიმურ სივრცეში იჭრება, რაც ბინაში მაცხოვრებელ პირს კიდევ უფრო მეტ დისკომფორტს უქმნის და მას დაუცველობის შეგრძნება უჩინდება საკუთარ სახლშივე.⁶⁶
- 89** იმნუთას ვინმე იყენებს თუ არა ბინას საცხოვრებლად (მაგ. პატრონი სხვა ბინაში ცხოვრობს), არ აქვს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა. მთავარია, რომ ის ადამიანების საცხოვრებლად არის განკუთვნილი. თუ სახლი საერთოდ მიტოვებულია, დავუშვათ ძველი ნაგებობაა და საერთოდ არ იძებნება წლებია მეპატრონე, მაშინ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების გამოყენება არ იქნებოდა მართებული. ამ დროს პოტენციურადაც კი არ ხდება ვინმეს პირადი სივრცის დარღვევა იქ შეღწევის შემთხვევაში, ამიტომ კვალიფიკაცია სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა მოხდეს.
- 90** რაც შეეხება უშუალოდ ბინის დეფინიციას, დოქტრინასა და პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებით, ადამიანთა მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად განკუთვნილი უძრავი ნივთები მიიჩნევა.⁶⁷ თუმცა, ასეთი ხისტი მიდგომა ნივთის უძრავობასთან დაკავშირებით არ არის გასაზიარებელი. ავტომანქანაც და კარავიც შეიძლება იყოს ბინა, თუ მას ადამიანი საცხოვრებლად იყენებს და დამნაშავემაც იცის, რომ სხვის საცხოვრებელ სივრცეში იჭრება. კაზუსის შეფასებისთვის თვითონ ნივთის სამოქალაქოსამართლებრივი ბუნება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ კვალიფიკაციის დამძიმების არსი, ანუ, უნდა დავფიქრდეთ - რას იცავს აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით კანონმდებელი? როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, პასუხისმგებლობის გამკაცრების საფუძველი სხვის პირად სივრცეში უხეში ფორმით შეჭრაა.
- 91** ა ცხოვრობდა რკინიგზის დეპოს სარემონტო ეზოში, ხის ფიცრულში, რომელსაც ქონდა ერთფართიანი კარი, გასაღების გარეშე, ფანჯარა მინების გარეშე და ასევე - დაუდგენელი იყო საკუთრების საკითხი.⁶⁸ ჩაითვლება თუ არა ასეთი საცხოვრებელიდან ნივთების წაღება ბინაში შეღწევად?
- 92** მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახლი ფარდულივითაა და კეთილმოუწყობელია,

⁶⁶ მსგავსი მიდგომა არის გერმანიაშიც - *Rengier, Strafrecht BT I, § 3 Rn. 82.*

⁶⁷ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 44; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები, 2007, 15.

⁶⁸ სუსგ №757აპ-22.

ვერ გამოორიცხავს დამამძიმებელ გარემოებას - სხვის ბინაში შეღწევას. თუ ფაქტებით დგინდება ადამიანის იქ ცხოვრება, მაშინ კვალიფიკაცია მესამე ნაწილის გ ქვეუნიქტით მოხდება. არც საკუთრების სტატუსი არის შეფასებისთვის გადამწყვეტი. მთავარია, რომ დამნაშავე იჭრება სხვის პირად სივრცეში. კონკრეტულად თუ ვის სახელზეა ბინა, ამ გადმოსახედიდან არარელევანტურია.

კვალიფიკაციის დროს, კაზუსის მიხედვით, შესაძლებელია პირმა პასუხი აგოს როგორც ბინაში შეღწევით, ასევე სადგომში ან საცავში შეღწევისთვის. ორივე დამამძიმებელი გარემოება ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და მოგვცემს დანაშაულის ერთობლიობას. მაგალითად, ამსრულებელი, ჯერ შედის სხვის სახლში და ფარულად ეუფლება ნივთებს, შემდეგ კი ეზოში მდგარი სათავსოდანაც მიაქვს ნივთები.⁶⁹

93

რა თქმა უნდა, იგივე წესი ვრცელდება სხვა დამამძიმებელ გარემოებებზეც. ფარულად დაუფლებული ნივთების ღირებულება 150 ლარს როდესაც აჭარბებს, საბოლოო კვალიფიკაციაში ესეც ცალკე უნდა აღინიშნოს (ნაწ. 2 ქვეპ. ა).

94

კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობდა ა-ს კუთვნილი რესტორანი, რომელიც შიდა კიბით უკავშირდებოდა ამავე რესტორნის მეპატრონის საცხოვრებელ ბინას. სალამოს ბ-მ შეაღწია დაკეტილ რესტორანში, საიდანაც გადავიდა შიდა კიბით ბინაში და იქიდან წამოიღო 5000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობა.

95

ბ-ს მიერ განხორციელებული ქმედება შეფასდება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ა (მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა) და მესამე ნაწილის გ ქვეუნიქტებით. მართალია, ის თავდაპირველად რესტორანში შევიდა, თუმცა, საცავში შეღწევად (ნაწ. 2, ქვეპ. ბ) მისი ქმედება ვერ შეფასდება. ბ-ს საბოლოო სამიზნე იყო ბინა და სწორედ იქიდან მოხდა ნივთების წაღება. ხოლო რესტორანი კი უბრალოდ შუალედურ საფეხურს წარმოადგენდა მიზნის მიღწევის გზაზე.⁷⁰

96

კაზუსის შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სამივე დამამძიმებელი გარემოების გამოყენება. ანუ, როდესაც ბ რესტორნიდანაც წაი-

97

⁶⁹ სუსგ №947აპ-21.

⁷⁰ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ეს ქმედება არ შეფასდა ბინაში შეღწევად, ვინაიდან შეღწევა თავდაპირველად რესტორანში მოხდა და მერე დამატებითი ბარიერები დამნაშავეს არ გადაულახავს. ის შიდა კიბით მოხვდა ბინაში კარების ძალით გახსნის გარეშე - იხ. BGH NStZ 2008, 514. მსგავსი მიდგომის გაზიარება არ იქნებოდა თანხვედრაში ქართულ პრაქტიკასთან. გერმანულ სისხლის სამართალში ბინაში შეღწევად ითვლება მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც პირს მნიშვნელოვანი ბარიერის გადალახვა უნევს. შესაბამისად, დაუკეტავ ბინაში შესვლა საერთოდ არ ფასდება ბინაში შეღწევად. ქართულ დოქტრინასა და პრატიკაში კი ჩაკეტვა-არჩაკეტვა არ არის რელევანტური, რაც გასაზიარებელია, ვინაიდან გადამწყვეტი აქცენტი მაინც ბინაში უკანონო მოხვედრაზე, როგორც ფაქტზე, კეთდება.

ლებდა გარკვეულ ნივთებს, მაშინ საცავში შელწევაც დაემატებოდა საბოლოო კვალიფიკაციას.

98

ა-მ გაიგო, რომ მისი სამეზობლოში მცხოვრები ბ გარდაიცვალა და მისი დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში, დაკეტილ ბინაში შეიპარა და ის გაქურდა. ბინაში ამ დროისთვის არავინ ცხოვრობდა და გარდაცვლილს არც მემკვიდრეები ყოლია.

99

პრობლემას ამ კაზუსის კვალიფიკაციასთან მიმართებით ბინის, ასე ვთქვათ, „უპატრონოდ“ დარჩენა ქმნის. შესაბამისად, მასში შელწევის დროს რთულია იმის დასაბუთება, რომ დამნაშავე სხვის პირად სივრცეში იჭრება და მის მეპატრონეს ან იქ მაცხოვრებელ პირს დამატებით დისკომფორტს უქმნის. სწორედ ეს არის ბინაში შელწევის, როგორც პასუხისმგებლობის დამძიმების ამოსავალი წერტილი. ქურდის მხრიდან ბინის „უპატრონობის“ არცოდნის შემთხვევაში მისი დასჯა ამ დამამძიმებელი გარემოებით მარტივად არის დასაბუთებადი. მას ამოძრავებს მომეტებული კრიმინალური ენერჯია და სხვის ბინაში შესვლასაც კი არ ერიდება. მოცემულ კაზუსში კი პირიქით არის სიტუაცია. ა-მ ზუსტად იცის ბინის სტატუსი.

100

მიუხედავად ამისა, ა მაინც ბინაში უკანონოდ შელწევის გზით ჩადენილი ქურდობისთვის აგებს პასუხს, ვინაიდან, ბინას, მეპატრონის გარდაცვალების მიუხედავად, როგორც ასეთი, არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია, სტატუსი.⁷¹ მართალია, უმართლობის ხარისხი შედარებით ნაკლებია, მაგრამ ამსრულებელი მაინც სხვის პირად სივრცეში იჭრება და თუნდაც პოტენციურ მემკვიდრეებს ან ბინაში მომავალში მაცხოვრებელ პირებს უქმნის თავისი ქმედებით დისკომფორტს.⁷² უმართლობის ნაკლები ხარისხის გათვალისწინება კი სასჯელის დანიშვნის ფარგლებში არის მოსამართლის მხრიდან შესაძლებელი.

101

ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - 177-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული მორიგი დამამძიმებელი გარემოებაა. ამის საფუძველი ჯგუფისთვის დამახასიათებელი მეტი კრიმინალური ენერჯიაა და შესაბამისად, 177-ე მუხლის ფარგლებშიც ჯგუფურობა განსაკუთრებული თავისებურებებით დასაბუთების თვალსაზრისით არ გამოირჩევა. თუმცა, ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ წინასწარი შეთანხმების მომენტს ორ ან მეტ ამსრულებელს შორის. წინასწარი შეთანხმების გარეშე ჩადენილი ჯგუფური ქურდობა საერთოდ არ მოგვცემს აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებას.

102

შეგვიძლია განსხვავება დავინახოთ შემდეგ მარტივ მაგალითებში:

⁷¹ BGH NJW 2020, 1750.

⁷² Rengier, Strafrecht BT I, § 4 Rn. 83c.

ა და ბ შეთანხმდა ერთმანეთში, რომ ავტობუსში ჯიბიდან საფულე ამოეცალათ ვინმე გ-სთვის. ამ მიზნით ისინი მგზავრებით სავესე ავტობუსში მიუახლოვდნენ მსხვერპლს. ა-მ გ-ს ვითომ შემთხვევით მხარი გაკრა, რათა მისი ყურადღება გაეფანტა, ბ-მ კი სიტუაციით ისარგებლა და გ-ს შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ფარულად ამოაცალა.⁷³

ეს იქნებოდა წინასწარი შეთანხმების ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ერთ-ერთი სტანდარტული მაგალითი. ორივე პირი ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე შეთანხმდა და სხვის საკუთრებაზე თავდასხმის პროცესშიც ორივე პარალელურად იღებდა მონაწილეობას. მართალია, უშუალოდ ა-ს არ აუღია საფულე, მაგრამ ის მაინც ამსრულებელია, ვინაიდან მის მიერ მსხვერპლის ყურადღების გაფანტვაც სხვის საკუთრებაზე თავდასხმის შემადგენელი ნაწილია.

103

შეცვალათ იგივე კაზუსი. ა და ბ არ ყოფილა ერთმანეთში შეთანხმებული. ავტობუსში ა-მ შეამჩნია, თუ როგორც ცდილობდა ბ გ-სთვის საფულის მოპარვას და ხელიც კი ჩაუყო ჯიბეში, მაგრამ ნივთის დაუფლება მაინც ვერ მოახერხა. ის აგრძელებდა გარკვეულ ქმედებებს, მაგრამ „წვალობდა.“ სპონტანურად ა-ს, თვითონაც როგორც ძველ ჯიბის ქურდს, გაუჩნდა იდეა, მას დახმარებოდა და მერე ფული გაეყოთ. მან თვალით ანიშნა ბ-ს და შემდეგ კი ვითომ შემთხვევით მხარი გაკრა ყურადღების გაფანტვის მიზნით გ-ს. ამით ისარგებლა ბ-მ და საფულე შეუმჩნევლად, როგორც იქნა, ამოიღო მსხვერპლის ჯიბიდან.

104

აღნიშნული ქმედება ვერ შეფასდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულად. ბ-ს უკვე დაწყებული ქონდა სხვის საკუთრებაზე თავდასხმის პროცესი. მიმდინარე პროცესში ა-ს ჩართვა კი არ გამოდის წინასწარი შეთანხმება. წინასწარი შეთანხმება გულისხმობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე ორი ან მეტი პირის შეთანხმებას, რაც ამ კაზუსში არ მომხდარა. ა შეიძლება დაისაჯოს როგორც ქურდობის დამხმარე, ხოლო ბ როგორც ამსრულებელი.

105

წინასწარი შეთანხმების ჯგუფთან დაკავშირებით საინტერესოა პრაქტიკაში ხშირად არსებული გამოწვევა, რომ ზუსტად ვერ დგინდება მეორე პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ასეთ შემთხვევებში უნდა გაიმიჯნოს ორი ვარიანტი: პირველი - წინასწარი შეთანხმების ჯგუფურობის კვალიფიკაცია გვექნება იმ შემთხვევაშიც, თუნდაც მეორე პირის

106

⁷³ შეად. სუსგ №283აპ.-14. ამ საქმეში ორი პირი მეტროში შორიდან უთვალთვალებდა პოტენციურ მსხვერპლებს და ერთმანეთთან მიმიკებით კომუნიციურდნენ. შემდეგ კი ერთ-ერთმა მათგანმა გამვლელს საფულე ამოაცალა და იქვე გადასცა თავის თანამზრახველს, რომელმაც მაშინათვე გზა გააგრძელა. ამ საქმიდან გამომდინარე, ორივე თანაამსრულებელია. მათ უბრალოდ როლები აქვთ გადანაწილებული. ისინი ორივენი უშუალოდ ახორციელებენ ქმედების შემადგენლობას. ამსრულებლობისთვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ორივეს ერთდროულად ჩაეყო სხვის ჩანთაში ხელი საფულის ამოსაღებად.

იდენტიფიცირება რომ ვერ მოხდეს. მთავარია, ზოგადად, მეორე პირის მონაწილეობის ფაქტის უტყუარი დადგენა (თანამსრულებლობის სახით). ასეთ შემთხვევაში, დაკავებული პირი სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტით აგებს პასუხს. მან სხვასთან ერთად ჩაიდინა დანაშაული და კანონმდებელს არ აინტერესებს მეორე პირის კონკრეტული ვინაობა. მეორე - მეორე პირის მონაწილეობის ფაქტი საორჭოფოა (მაგ. ბუნდოვნად ჩანს კამერების ჩანანერში). დაკავებული პირი არ აგებს პასუხს ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისთვის.⁷⁴ ყოველგვარ ეჭვი მის სასარგებლოდ გადაწყდება.

- 107** ერთ-ერთ საქმეში⁷⁵ ორმა პირმა, წინასწარი შეთანხმებით, ერთ-ერთი ობიექტის სახურავიდან, რამდენიმე დღიანი დროის ინტერვალით, ფარულად მოხსნა ჯერ 50, შემდეგ ჯერზე კი 58 ცალი თუნუქის ფირფიტა.
- 108** თავდაპირველად, კვალიფიკაცია ორ დამოუკიდებელ ქურდობის ეპიზოდად მოხდა. თუმცა, კაზუსი უზენაესმა სასამართლომ მართებულად შეაფასა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ერთ დანაშაულად, განხორციელებული განგრძობადი ფორმით. საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დგინდებოდა, რომ ორივე ეპიზოდი მოცული იყო მათ მიერ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებით. ესე იგი, თავიდანვე არსებობდა ერთიანი განზრახვა ობიექტის ნაწილ-ნაწილ ხელყოფის თაობაზე.
- 109** აქვე განვიხილოთ ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე ფორმა - ქურდობის ჩადენა **ორგანიზებული ჯგუფის** მიერ. სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილში კანონმდებლის მიერ მისი მოთავსება, ანუ სასჯელის კიდევ უფრო გამკაცრება, განპირობებულია მსგავსი ჯგუფებისგან მომდინარე განსაკუთრებით მომეტებული კრიმინალური ენერგიით. განსხვავებით უბრალოდ წინასწარ შეთანხმებული ჯგუფისგან, რომელიც შეიძლება სპონტანურადაც შეიქმნას ადგილზევე უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დაწყებამდე, ორგანიზებული ჯგუფი მომზადების უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა. შესაბამისად, სამართლებრივ სიკეთეს მეტი საფრთხე ექმნება. სწორედ ეს იკითხება სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილიდან, რომელშიც საუბარია სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფზე.
- 110** მართალია, კანონში ეს პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ განსხვავებით წინასწარი შეთანხმებით ჩამოყალიბებული ჯგუფისგან, ორგანიზებული ჯგუფი, როგორც წესი, ორზე მეტი ამსრულებლისგან შედგება. სხვა შემთხვევაში სტრუქტურულ ფორმაზე საუბარი, როგორც განმასხვავებელ ნიშანზე, რთული იქნებოდა. გარკვეული სტრუქტურა ისედაც ყველა ჯგუფს გააჩნია და ჯგუფის წევრებს თავიანთი ფუნქციებიც გადანაწილებული აქვთ.

⁷⁴ სუსგ №17აპ-19.

⁷⁵ სუსგ 548აპ.-09.

მიუხედავად ამისა, ორგანიზებული ჯგუფი მაინც შეიძლება იყოს ორი პირისგან შემდგარი ჯგუფი, თუ მათი ქმედებებიდან, გამონაკლის შემთხვევებში, იკითხება ქურდობის ჩადენის მომზადების განსაკუთრებული ხარისხი, რომელიც დროშია განვლილი და აშკარად ცდება „ჩვეულებრივ“ ფარგლებს. **111**

მაგალითად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურობა იქნება ორი პირის მიერ წინასწარი შეთანხმება, რათა გაქურდონ ვილაცის სახლი და ამისთვის მათ შეიძინეს კიბე, ხელთათმანები კვალის არდასატოვებლად და შესაბამისი როლებიც გადაინაწილეს. ერთს პირველი სართული უნდა გაექურდა, მეორეს - მეორე. ასევე, მოამზადეს მანქანა ნივთების წასაღებად. **112**

განსაკუთრებული მომზადების ხარისხი ან განსაკუთრებით მომეტებული საფრთხე ამ პირების ქმედებიდან არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ისინი მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტით აგებენ პასუხს ბინაში შეღწევასთან ერთად. ხოლო, თუ ისინი კვირების და თვეების განმავლობაში, კარგად დაცული სახლის გასაქურდად სპეციალურ ხელსაწყოებს შეიძენდნენ (მაგ. კოდის გამტეხავ მონყობილობას), თავიანთი ქმედებების დასაფარად რამდენიმე მანქანას მოამზადებდნენ, რათა გზადაგზა ისინი გამოეცვალათ სათვალთვალ კამერებისთვის თავის დაღწევის მიზნით და კიდევ სხვა კომპლექსურ ღონისძიებებს განახორციელებდნენ, მაშინ ეს უფრო ორგანიზებულ ჯგუფად შეფასდებოდა, ვინაიდან აშკარად გამოვლინდებოდა მათგან მომდინარე მეტი საფრთხე, ვიდრე უბრალოდ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურობის შემთხვევაში. **113**

არაერთგზის ჩადენილი ქურდობა სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. კვალიფიკაციის დროს სსკ-ის მე-15 მუხლის გამოყენება მოხდება. **114**

აქვე გასათვალისწინებელია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, არაერთგზისად ითვლება არა მხოლოდ ადრე ქურდობისთვის ნასამართლევი პირის მიერ იგივე დანაშაულის გამეორება. სსკ-ის 177-186-ე და 224-ე, 231-ე, 237-ე, 264-ე და 286¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის ნასამართლობის შემთხვევაშიც დადგება აღნიშნული საკითხი. **115**

მთლიანობაში, კანონმდებელი დამნაშავეს პიროვნებისგან მომდინარე მეტს საფრთხეს უსვამს ხაზს, როდესაც არაერთგზისობას ადგენს მაკვალიფიცირებელ გარემოებად. **116**

ქურდობა არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება მაშინაც, როცა პირი ადრე ნასამართლევი იყო დაუმთავრებელი დანაშაულისთვის (მაგ. ქურდობის მცდელობისთვის ან მომზადებისთვის) ან ამავე დანაშაულში თანამონაწი- **117**

ლეობისთვის (ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე).⁷⁶

118 კვალიფიკაციის დროს, სასამართლო გადანყვეტილებებში ხდება მითითება, რომ მაგალითად, პირი, ვის მიმართაც წყდება კვალიფიკაციის საკითხი, დაეუფლა არაერთგზის გარკვეული ოდენობით თანხას.

119 ნასამართლევი ა, 2016 წლის 9 მაისს, დაახლოებით 13:00 საათიდან - 14:00 საათამდე დროის მონაკვეთში, ბ-ს კუთვნილ სავაჭრო მაღაზიაში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად, არაერთგზის დაეუფლა მის კუთვნილ 1970 ლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია - ასე არის აღწერილი დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედება ერთ-ერთ სასამართლო გადანყვეტილებაში.⁷⁷

120 ენობრივი თვალსაზრისით, ასეთი ფორმულირება არ არის სასურველი. ტექსტიდან ისე იკითხება, თითქოს 1970 ლარის დაუფლება მოხდა არაერთგზის. როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო ქმედება კი არ გვაძლევს ცალკე აღებული არაერთგზისობას, არამედ წინა და ბოლო ქმედებების ჯამი. არაერთგზისობა არის ქმედების საბოლოო კვალიფიკაცია და არა ერთი კონკრეტული ეპიზოდის აღწერა. შესაბამისად, ტექსტის ფორმულირება სხვანაირად უნდა მოხდეს. მაგალითად, ადრე ნასამართლევა პირმა ჩაიდინა სხვისი ნივთის ფარული დაუფლება, რაც კვალიფიცირდება არაერთგზის ჩადენილ დანაშაულად.

121 კვალიფიკაციის დროს მნიშვნელოვანია არაერთგზისობისა და სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გ ქვეპუნქტის ერთმანეთისგან გამიჯვნა - **ქურდობა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ან გამოძალვისთვის.**

122 ა ნასამართლევი იყო სამჯერ ადრე ჩადენილი ქურდობისთვის. მან მოგვიანებით მეოთხეჯერაც ჩაიდინა იგივე დანაშაული. თუმცა, პირველი ორი დანაშაულისთვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ის სრულად გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან, რაც სსკ-ის 79-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, ნასამართლობის არქონას ნიშნავს.

123 სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით, ა-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გ ქვეპუნქტით. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ⁷⁸ ქმედება მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტზე (არაერთგზისობა) გადააკვალიფიცირა, ვინაიდან, პირველი ორი ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული იყო და ის ა-ს ვერ შეერაცხებოდა მა-

⁷⁶ *ლეკვიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 44.

⁷⁷ სუსგ №425აპ.-19.

⁷⁸ სუსგ №395აპ.-17.

კვალიფიცირებელ გარემოებად. შესაბამისად, ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის, მას მხოლოდ ერთი ნასამართლობა ქონდა, რომელიც არც გაქარწყლებული და არც მოხსნილი არ ყოფილა. მხოლოდ ერთხელ ნასამართლობის შემთხვევაში კი იგივე დანაშაულის გამეორებისას კვალიფიკაცია ხდება არაერთგზისობით.

რა განსხვავებაა, ზოგადად, სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტსა და მეოთხე ნაწილის გ ქვეპუნქტებს შორის? არაერთგზისობისას საჭიროა ადრე არსებული ერთი ნასამართლობა, რომელიც არაა მოხსნილი ან გაქარწყლებული, ხოლო მეოთხე ნაწილის გ ქვეპუნქტის შემთხვევაში კი აუცილებელია მინიმუმ ადრე ორჯერ ნასამართლობა. რა თქმა უნდა, ამაში არ იგულისხმება ყველა დანაშაულისთვის ნასამართლობა. საუბარია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილში არსებულ ჩამონათვალზე.

124

კვალიფიკაციის დროს, ჯგუფური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ ორივე დამამძიმებელი გარემოება დამნაშავის პიროვნებასთან არის დაკავშირებული (პერსონალური ნიშანი), რის გამოც ისინი ჯგუფის წევრებს მხოლოდ ინდივიდუალურად შეეარაცხება. თუ ერთი პირი იყო ნასამართლევნი და მეორე არა, მაშინ მეორე პირი მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისთვის დაისჯება.

125

ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ - აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს სატრანსპორტო საშუალების დროებითი დაუფლებისგან.

126

განვიხილოთ მარტივი კაზუსი:

127

ა-ს ძალიან მოსწონდა სპორტული მანქანები. მისმა მეზობელმა ბ-მ სწორედ ასეთი მანქანა შეიძინა, მაგრამ ა-ს მის თუნდაც ცოტა ხნით თხოვებაზე უარი განუცხადა. ერთხელაც ა-მ ისარგებლა სიტუაციით და კარებდაუქეტევად დატოვებულ ბ-ს მანქანაში ჩაჯდა, დაარტყა რამდენიმე წრე იქვე და უკანვე დააბრუნა თავის ადგილას.

ობიექტურად, მართალია, მანქანის ფარულად დაუფლება მოხდა, თუმცა, ა-ს მისი მისაკუთრების მიზანი არ ამოძრავებდა. დროებითი სარგებლობა ვერ ჩაითვლება განკარგვად ან ამის სურვილად. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივად ა საერთოდ არ აგებს პასუხს არანაირი დანაშაულისთვის.

128

სისხლის სამართლის კოდექსი ადრე იცნობდა ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებითი სარგებლობს მიზნით დაუფლების შემადგენლობას და შესაბამისად, ა-ს ქმედება დანაშაული იქნებოდა, თუმცა, მოგვიანებით

129

ამ ქმედების დეკრიმინალიზება მოხდა.⁷⁹

- 130** შედარებისთვის, გერმანიისა (სსკ § 248b) და ავსტრიის (§136) სისხლის სამართლის კოდექსები ასეთ ქმედებებს დანაშაულად მიიჩნევენ. დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევა ერთი მხრივ საზოგადოებრივი უსაფრთხოება, მეორე მხრივ კი უშუალოდ საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება.⁸⁰
- 131** რაც შეეხება უშუალოდ *სატრანსპორტო საშუალების ცნებას*, თვითონ სიტყვაც მიგვანიშნებს, რომ მასში ნაგულისხმევია ადამიანის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი საშუალება. საჰაერო ან წყლის ხომალდი ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა სსკ-ის 177-ე მუხლიდან ამოირიცხება, ვინაიდან სსკ-ის 227-ე მუხლის სახით ცალკე, სპეციალური შემადგენლობა არსებობს მათთან მიმართებით.
- 132** აქვს თუ არა სატრანსპორტო საშუალებას ძრავა, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ საკითხს ტრანსპორტირების ძრილში შევხვდავთ. აქედან გამომდინარე, ველოსიპედიც სატრანსპორტო საშუალებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ველოსიპედის ქურდობა არ ითვლება სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ ქურდობად.⁸¹
- 133** ამის დასაბუთება შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ ძრავის გარეშე სატრანსპორტო საშუალებას არ აქვს განსაკუთრებული საფრთხის შექმნის პოტენციალი. თუმცა, ეს არგუმენტაცია სუსტია, ვინაიდან სსკ-ის 177-ე მუხლი არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. კანონმდებელმა ცალკე დამამძიმებელ გარემოებად, 2006 წელს, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც დამამძიმებელი გარემოება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში იმიტომ ჩაამატა, რომ წინ აღდგომოდა მანქანების ქურდობების (და არა მხოლოდ) შემთხვევების გავრცელებას.⁸² თვითონ უშუალოდ დანაშავის პიროვნებას კანონის ცვლილების კონტექსტში არ ქონია მნიშვნელობა. შესაბამისად, საფრთხის ხარისხი, ვინმეს მანქანას მოპარავენ თუ ძვირფას სამკაულს, განსხვავებული არ არის.
- 134** ველოსიპედებთან მიმართებით არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ უკვე ელექტრო ძრავით აღჭურვილი ველოსიპედებიც არის მიმოქცევაში. შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, სატრანსპორტო

⁷⁹ დაწვრ. ამ შემადგენლობასთან დაკავშ. იხ. *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 197 და შემდეგი.

⁸⁰ *Fischer, Strafgesetzbuch*, § 248b Rn. 2.

⁸¹ იხ. მაგ. სუსგ №1156აპ-22; №385აპ-22; №182აპ-20.

⁸² *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნან. 2, 46.

საშუალებების დიფერენცირება სულ უფრო რთული ხდება. მართალია, ადრე შესაძლოა ველოსიპედი უფრო გართობის საშუალებად ითვლებოდა და ნაკლებად გამოიყენებოდა თუნდაც ავტომობილის მსგავსად მასიურად სატრანსპორტო საშუალებად, მაგრამ თანამედროვე სამყაროში, მისი გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე, მისი სატრანსპორტო საშუალებად არმიჩნევა და ამოღება ქურდობის დამამძიმებელი გარემოების დანაშაულთა საგნის წრიდან, აცდენილი იქნებოდა არსებულ ტენდენციებს. ბევრ ევროპულ ქალაქში ველოსიპედებით მოსარგებლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და ანაცვლებს ავტომანქანებს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას.

საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს კანონიც არ გვაძლევს ერთმნიშვნელოვან განმარტებას სატრანსპორტო საშუალების ცნებასთან დაკავშირებით. მასში საუბარია ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე და ბუნებრივია (მუხ. 1 ნან. 5), მასში ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებაა ხაზგასმული. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელი საუბრობს არა ავტოსატრანსპორტო, არამედ ზოგადად სატრანსპორტო საშუალებაზე, რაც სულაც არ გამორიცხავს ძრავის გარეშე სატრანსპორტო საშუალებასაც.⁸³ **135**

მთლიანობაში, უმჯობესი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსიდან აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების საერთოდ ამოღება. როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში, მანქანის ღირებულება ისედაც გადააჭარბებს 10 000 ლარს და დამნაშავე მაინც დამამძიმებელი გარემოებით აგებს პასუხს (დიდი ოდენობა). ხშირად, მანქანის გამოყვანა გარაჟიდანაც ხდება, რაც ასევე ცალკე დამამძიმებელი გარემოებაა. კრიმინალპოლიტიკური თვალსაზრისით, დანაშაულის პრევენციისთვის საკმარისია ისიც, რომ ნებისმიერმა დამნაშავემ აგოს პასუხი. სასჯელი შედარებით მეტი იქნება თუ ნაკლები, პოტენციური დამნაშავისთვის მაინც ნაკლებად შემაკავებელი ფაქტორი იქნება. მთავარია, რა სასჯელიც არის დადგენილი, თუნდაც კვალიფიციური შემადგენლობის მიღმა, ის იქნას რეალურად აღსრულებული. ამიტომ, დიფერენცირება სატრანსპორტო საშუალებასა და სხვა ნივთების ქურდობას შორის, ზედმეტია. **136**

სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული ქურდობა არ გულისხმობს მთლიანად მის მოპარვას. საკმარისია რომელიმე დეტალის მოპარვაც, რომელიც მანქანის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, იქნება ეს საბურავი, საქარე მინა თუ სხვა.⁸⁴ მაყურის კატალიზატორები თანა- **137**

⁸³ ხარანაული, კომენტარში: დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 56, აბზ. 232.

⁸⁴ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნი: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, ნან. 2, 46; სუსჯ №196აპ-21.

მედროვე მანქანების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელზეც ტექნიკური დათვალიერების გავლაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. მისი მოხსნაც უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.⁸⁵

- 138** დეკორატიული დანიშნულების ნივთები ვერ მოექცევა აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების ქვეშ. მაგალითად, დამატებით ე.წ. კანტების გაკეთება ან თუნდაც შიგნით მძივის დაკიდება საქარე მინასთან არ ნიშნავს, რომ ისინი მანქანის შემადგენელი დეტალებია. თუმცა, აქაც უნდა მოხდეს დიფერენცირებული მიდგომა. შესაძლოა, პირმა თავის მანქანაში მოახდინოს ახალი მონყობილობის, მაგალითად, კომპიუტერის, ინტეგრირება, რის შედეგადაც ის მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად გადაიქცა და მოხსნის შემთხვევაში მანქანა ვერც კი გადაადგილდება, ეს უკვე ვერ იქნება მხოლოდ დეკორატიული ფუნქციის მატარებელი დეტალი. ხოლო მანქანაზე ქარხნულად დაყენებული კანტი, თუნდაც დეკორატიული მნიშვნელობის რომ იყოს, მაინც მისი შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ის ქარხნულად მოყვება და კანტების გარეშე მანქანები, როგორც წესი, არც კი გამოდის.⁸⁶
- 139** ე.წ. აკუმულატორების (ავტომანქანის დენის წყარო) ქურდობაც სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება.⁸⁷ თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი - აკუმულატორები ან სხვა ნაწილები ცალკე თუ ინახება და საერთოდ არ არის დაყენებული მანქანაზე, თუნდაც მანქანის საბარგულში მისი შენახვა და შემდეგ იქიდან სხვის მიერ მოპარვა არ უნდა შეფასდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის დ ქვეპუნქტით. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ მალაზიის სანყობიდან ნაწილების მოპარვაც ასე უნდა შეგვეფასებინა, რაც არ იქნებოდა სწორი და კანონმდებლის მიზანს გაცდებოდა.
- 140** საინტერესოა სატრანსპორტო საშუალებიდან სანვავის მოპარვის საკითხიც. სანვავის გარეშე სატრანსპორტო საშუალებას გადაადგილება არ შეუძლია. ის მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რათა მან საერთოდ შეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება. შესაბამისად, კვალიფიკაცია სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის დ ქვეპუნქტით მოხდება.⁸⁸ იგივე ითქმის საავტომობილო ზეთზეც.
- 141** მაგალითად, მოპედის ტარებისთვის განკუთვნილი ჩაფხუტის ქურდობა არ ქმნის ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ჩაფხუტი არ არის მოპედის შემადგენელი ნაწილი (განსხვავებით მანქანის ღვედისგან). შესაბამისად,

⁸⁵ შეად. სუსგ №1010აპ-22; სუსგ №601აპ-19.

⁸⁶ შეად. №431-22.

⁸⁷ იხ. მაგ. №73აპ-23.

⁸⁸ იხ. მაგ. №355აპ-22.

კვალიფიკაციის დროს უბრალოდ მისი ღირებულება შეფასდება და ზიანის მიხედვით განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს **142**
განზრახვა და **მიზანი**. განზრახვა მიზანს თავის თავში არ მოიცავს. როგორც ვიცით, მასში მოიაზრება ცოდნისა და სურვილის ელემენტების შემონახვა ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ.

მაშასადამე, განზრახვის ეტაპზე ვამონმებთ იმას, იცოდა თუ არა ამსრულებელმა, რომ სხვის მოძრავ ნივთს ეუფლებოდა ფარულად. ამასთანავე, **143**
მას ამის სურვილიც უნდა გააჩნდეს. მაგალითად, როდესაც პირს შემთხვევით სხვისი ნივთი გაყვება სახლში ყველასგან შეუმჩნევლად, ქურდობის შემადგენლობა გამოირიცხება სხვისი ნივთის ფარულად დაუფლების სურვილის არქონის გამო.

გაბატონებული მოსაზრებით, ამსრულებელი ქურდობის დროს პირდაპირ **144**
განზრახვით მოქმედებს.⁸⁹ თუმცა, შედარებისთვის საინტერესოა გერმანული მიდგომა, რომლის მიხედვითაც სრულიად **საკმარისია არაპირდაპირი განზრახვის** არსებობაც, რისი გაზიარებაც ქართულ სამართალშიც უპრობლემოს არის შესაძლებელი.⁹⁰ აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ დიფერენცირება ხდება განზრახვასა და მიზანს შორის. კერძოდ, მთავარია, პირმა იცოდეს, რომ ეს ნივთი არ არის მისი და მას აქვს ამ ნივთის მისაკუთრების მიზანი. ანუ, მიზანი მიმართულია საკუთარი ქმედების შეფასებისკენ და არა ქმედების შემადგენლობის რომელიმე ობიექტური ნიშნის მიმართ.⁹¹ ობიექტურ ნიშნებს მხოლოდ განზრახვა მიემართება და ამ დროს არ არის აუცილებელი, პირმა ზუსტად იცოდეს, რომ მის მიერ დაუფლებული ნივთი სხვისია. მთავარია, ის ზოგადად უშვებდეს ამას და მისთვის სულ ერთი იყოს, მართლა სხვისია თუ არა ის.⁹²

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ სულაც არ არის აუცილებელი ამსრულებლის მხრიდან ნივთის სამართლებრივი სტატუსის დეტალებში ცოდნა (მოძრავია ის თუ უძრავი). ამის ცოდნა საშუალოსტატისტიკურ ადამიანს **145**

⁸⁹ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 34. ერთმნიშვნელოვანი მიდგომა არ ჩანს, მაგრამ უფრო თითქოს ამავე პოზიციისკენ იხრება ასევე *გამყრელიძე*, კომენტარებში: *გამყრელიძე*, *ეკონომიკური დანაშაული*, 6.

⁹⁰ *Kindhäuser/Hoven*, კომენტარებში: *Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger, Strafgesetzbuch*, § 242 Rn. 67; *Bosch*, კომენტარებში: *Schönke/Schröder, StGB*, § 242 Rn. 45.

⁹¹ *Schramm, Strafrecht BT II*, § 2 Rn. 44; *Rengier, Strafrecht BT I*, § 2 Rn. 86.

⁹² ამავე მოსაზრებას იზიარებენ *დვალიძე/ხარანაული*, კომენტარში: *დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, *საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები*, 39, აბზ. 164.

ისედაც არ მოეთხოვება. მთავარია, მან იცოდეს ფარულად დაუფლების პროცესში, რომ ეს სხვისი ნივთია.

146 გარდა ამისა, დაუფლების პროცესში არ არის საჭირო მაინცდამაინც კონკრეტულად რომელიმე ნივთის დაუფლების სურვილი.⁹³ ამის მარტივი მაგალითია სხვის სახლში ფარულად შესვლა. ამ დროს დამნაშავემ სულაც არ იცის, თუ რა ნივთები დახვდება იქ, მაგრამ მისი განზრახვაა, წამოიღოს ნებისმიერი გამოსადეგი ნივთი, რაც ხელში მოხვდება. იგივე მიდგომა გავრცელდება სხვისი საფულის მოპარვაზეც. დამნაშავეს წინასწარ ვერ ეცოდინება იმ თანხის ოდენობა, რაც შეიძლება საფულეში ქონდეს მსხვერპლს. მისი განზრახვა პოტენციურად მთლიან თანხას ეხება.⁹⁴

147 იგივეს ვერ ვიტყვით, მაგალითად, ნარკოტიკის დაუფლებაზე, თუ ის საფულეში აღმოჩნდება ფულთან ერთად და დამნაშავემ ამის თაობაზე არაფერი იცოდა. ეს ქურდობის სპეციალური შემადგენლობაა (სსკ მუხ. 264) და ამსრულებლის მხრიდან წინასწარ ცოდნას მოითხოვს.

148 განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ა-ს ვალების გასასტუმრებლად ჭირდებოდა 100 ლარი. მას ამ ოდენობის თანხა ეგულებოდა თავისი მეზობლის სახლში, სადაც შეიპარა და კომოდზე შემოდებული კუპიურაც დაინახა. მაგრამ, კომოდთან ახლოს მისულმა აღმოაჩინა რამდენიმე ათლარიანი კუპიურა, ჯამში 140 ლარის ოდენობით. ა-მ ადგილზევე მიიღო გადაწყვეტილება და მთლიანი თანხა წამოიღო.

149 ა-ს ქმედება ბინაში შეღწევით ჩადენილი 140 ლარის ქურდობად დაკვალიფიცირდება. დანაშაულის მიმდინარეობისას განზრახვის ცვლილება არ ახდენს გავლენას კვალიფიკაციაზე. ბუნებრივია, ასეთ დროს მოსალოდნელია მსგავსი გადახვევები თავდაპირველი განზრახვისგან.⁹⁵ დამნაშავემ პირიქით, შესაძლოა, უფრო ნაკლები თანხაც კი წაიღოს, მაგალითად 100 ლარის ნაცვლად გადაწყვიტოს მხოლოდ 50 ლარის წაღება. კვალიფიკაცია ზუსტად იგივე იქნება. მაგრამ, თუ ის ცდილობდა 500 ლარის წაღებას და ამის ნაცვლად მხოლოდ 100 ლარის თანხა დახვდა სახლში, ეს მოგვცემს 500 ლარის ქურდობის მცდელობის დასჯადობას.

150 ცალკე აღებული მხოლოდ განზრახვის არსებობა არ მოგვცემს ქურდობის შემადგენლობას. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

გამოცდის წერის პროცესში სტუდენტ ა-ს დაჭირდა კოდექსი, რომელიც მას თან არ ქონდა. მან იცოდა, რომ მის თანაკურსელ ბ-ს ედო კოდექსი ჩანთაში, მაგრამ ის არ ათხოვებდა, ვინაიდან ცუდი ერთიერთობა ქონდათ ერთმანეთთან. ა-მ ფარულად ამოიღო ბ-ს ჩანთიდან ეს კოდექსი, შეიტანა

⁹³ Fischer, Strafgesetzbuch, § 242 Rn. 30.

⁹⁴ გამყრელიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 7.

⁹⁵ შეად. BGHSt 22, 351.

გამოცდაზე და ერთ საათში უკან დააბრუნა. მას ამ კოდექსის დროებით სარგებლობის მიზანი ამოძრავებდა.

ამ მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით. მას ცოდნაც ქონდა და სურვილიც ამ კოდექსის დაუფლების. თუმცა, კაზუსიდან არ იკითხება სხვა სუბიექტური ელემენტი, მისაკუთრების მიზანი. სხვისი მოძრავი ნივთის დროებითი სარგებლობისთვის დასჯადობას კი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს.

151

სხვისი ნივთების დროებითი სარგებლობის დროს შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ხანგრძლივობის საკითხიც. ბუნებრივია, სხვისი ნივთის გამოყენება რამდენიმე დღის განმავლობაში და მერე ისევ დაბრუნება არ გამოორიციხავს ქურდობის შემადგენლობას. ასეთი ხანგრძლივობის შემთხვევაში პირი რეალურად საკუთარ ქონებრივ ფონდს უერთებს სხვის მოძრავ ნივთს და მას იყენებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. იმის გამო, რომ ერთმნიშვნელოვნად არ ჩანდა მისაკუთრების მიზანი, არ გამოორიციხება ქურდობისთვის დასჯადობა. პრაქტიკაში ისედაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოსამართლემ გაიზიაროს განსასჯელის ჩვენება მსგავსი მიზნის არქონის თაობაზე, მაგრამ ამის მიუხედავადაც, პირი მაინც დაისჯება. მისი მხრიდან სხვისი მოძრავი ნივთის ამდენი ხნის განმავლობაში გამოყენების მიზანი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს უტოლდება.

152

განსხვავებულად შეფასდება იგივე კაზუსი, თუ სტუდენტი კოდექსს გამოყენების შემდეგ სანაგვეში გადაადგებდა. თავიდანვე ასეთი განზრახვის არსებობის შემთხვევაში გამოდის, რომ ამსრულებელს ჯერ ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნებისა და შემდეგ მისი საბოლოო ბედის გადანყვეტაც ამოძრავებდა. იგივე სიტუაცია იქნება მაშინაც, თუ ამსრულებელი სხვის მანქანას გამოიყენებს უნებართვოდ და მერე გზის პირას მას სადღაც მიაგდებს.⁹⁶ ეს ჩვეულებრივ ქურდობაა, ვინაიდან პირმა ფაქტიურად მანქანის შემდგომი ბედის თაობაზე (განკარგვა) მიიღო გადანყვეტილება.⁹⁷

153

ასეთ შემთხვევებში, კვალიფიკაციისას სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა არ მოხდეს სხვის ნივთის განადგურებისა და ქურდობის კვალიფიკაციების ერთმანეთში აღრევა. როდესაც დამნაშავე თავიდანვე იმ განზრახვით მოქმედებს, რომ სხვისი ნივთი აიღოს და ის თავის ქონებრივ ფონდთან მიერთების გარეშე გაანადგუროს, მაშინ გვექნება სსკ-ის 187-ე მუხლის შემადგენლობა - სხვისი ნივთის განადგურება. ხოლო, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მანქანის შემთხვევაში, დამნაშავემ ჯერ გამოიყენა ეს მანქანა და შემდეგ მოიშორა, ანუ დააფუძნა მასზე სრული ბატონობა, გამოიყენა როგორც საკუთარი ნივთი (მიუერთა თავის ქონებრივ ფონდს) და

154

⁹⁶ Rengier, Strafrecht BT I, § 2 Rn. 141.

⁹⁷ Kretschmer, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB, § 242, Rn. 4; Wittig, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB, § 242 Rn. 50.

მხოლოდ ამის შემდეგ მოიშორა. მსგავსი შემთხვევები სსკ-ის 177-ე მუხლის ფარგლებში შეფასდება.

155 სუბიექტური ელემენტის შეფასებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ **შეცდომის** საკითხსაც. მაგალითად, როდესაც პირმა არ იცის, რომ თურმე სხვის ნივთს ეუფლება, განზრახვა გამოირიცხება ფაქტობრივი შეცდომის გამო (გაყვა სხვისი ნივთი სახლში).⁹⁸ გაუფრთხილებლობით ქურდობა კი საერთოდ არ ისჯება. იგივე სამართლებრივ შედეგზე გავდივართ სამართლებრივი შეცდომის დაშვების დროსაც (სსკ მუხ. 36).⁹⁹ ასეთია დაზარალებულის თანხმობასთან დაკავშირებული შეცდომა. ამსრულებელს გონია, რომ მას თანხმობა განუცხადეს, თუმცა, თურმე შეცდომა დაუშვია. ასეთ დროს მას არ გააჩნია მართლწინააღმდეგობის შეგნება და ქურდობისთვის ვერ დაისჯება, რაც არ უნდა მიუტევებელი იყოს ეს შეცდომა. სსკ-ის 36-ე მუხლიდან გამომდინარე, მისატევებელი შეცდომის დაშვება ისედაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას, მიუტევებელი შეცდომის დაშვებისას კი მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის რჩება სივრცე. ქურდობა კი გაუფრთხილებლობით არ არსებობს.

156 ა-მ თავისი მეგობრის, ბ-ს სახლში სტუმრად ყოფნისას მოიპარა სრულიად ახალი მაჯის საათი. სინამდვილეში ეს საათი მისთვის საჩუქრად ყოფილა განკუთვნილი. ა-ს მეორე დღეს დაბადების დღე ქონდა და ბ-ს ის ისედაც მისთვის ქონდა ნაყიდი. ა-ს იმნუთასვე რომ გამოეთქვა სურვილი ამ საათის ალების თაობაზე, ბ უპრობლემოდ გადასცემდა თუნდაც დაბადების დღის აღნიშვნამდე.

157 ეს კაზუსი შეიძლება ქურდობის მცდელობად დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ბ ისედაც არ ყოფილა ამ ნივთის ა-ს მიერ დაუფლების წინააღმდეგი. ა-ს ეგონა, რომ ბ-ს ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რაც სინამდვილეში ასე არ ყოფილა და დაზარალებულის თანხმობა არსებობდა, რის შესახებაც ა-მ არაფერი იცოდა.¹⁰⁰

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

158 მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები ქურდობასთან მიმართებით განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა. შესაბამისად, ისინი სტანდარტულად უნდა შემოწმდეს.

159 შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი:

⁹⁸ ტურავა, ზოგადი ნაწილი, 153.

⁹⁹ ტურავა, ზოგადი ნაწილი, 220 და შემდეგი.

¹⁰⁰ Kindhäuser/Hoven, კომენტარებში: Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger, Strafgesetzbuch, § 242 Rn. 67.

ა ძალიან კარგად ატარებს მანქანებს, რაც გაიგეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა და მისი შვილი მძევლად აიყვანეს. მერე კი ა-ს დაურეკეს და ის აიძულეს, ვინმე ბ-ს ძვირფასი მანქანა გაეტაცებინა და მათთან მოეყვანა. ა-ს სხვა გამოსავალი არ ქონდა შვილის გადასარჩენად, ამიტომ ბ-ს მანქანა მოიპარა.

ა-ს ქმედება გამართლდება უკიდურესი აუცილებლობით (სსკ მუხ. 30) და ის არ მიეცემა პასუხისგებაში სსკ-ის 177-ე მუხლით. მართალია, მან ქურდობის ქმედების შემადგენლობა განახორციელა როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური თვალსაზრისით, თუმცა, მისი ქმედება მართლზომიერი იყო. მსგავსი კაზუსების შეფასების დროს კარგად უნდა შემოწმდეს, ხომ არ ქონდა ა-ს შედარებით მსუბუქი ალტერნატივა თავისი შვილის გადასარჩენად (მაგ. პოლიციასთან დაკავშირება). ასეთის არსებობის შემთხვევაში დარღვეული იქნებოდა 30-ე მუხლის წინაპირობები და მისი ქმედებაც მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდებოდა.¹⁰¹

რაც შეეხება სსკ-ის 28-ე მუხლს (აუცილებელი მოგერიება), ქურდობასთან მიმართებით ის რელევანტური არ იქნება, ვინაიდან მომგერიებელს თავდაცვის დროს არ ამოძრავებს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. მან, დავუშვათ, თავდამსხმელს თუ შეუმჩნევლად ააცალა ჯიბიდან დანა, რომლის ამოღებასაც იმნუთას აპირებდა ის, ეს ისედაც არ გვაძლევს ქურდობის შემადგენლობას. კაზუსის განხილვა ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ეტაპზევე შეწყდება მისაკუთრების მიზნის არარსებობის გამო.¹⁰² თავდაცვის მდგომარეობაში მყოფი პირი დანას მისაკუთრების მიზნით კი არ დაუფლებია, არამედ მას უბრალოდ თავის დაცვა უნდოდა.

დაზარალებულის თანხმობასთან მიმართებით უკვე აღინიშნა დასაწყისშივე, რომ ის ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს და მართლსაწინააღმდეგობის ეტაპზე მისი განხილვა ზედმეტია. ეს მარტივი ლოგიკიდან გამომდინარეობს. როდესაც პირი თავისი ნებით თანახმაა სხვის მიერ მისი მოძრავი ნივთის დაუფლებაზე, ბუნებრივია, მეორე პირი საერთოდ არ ახორციელებს ქურდობის ქმედების შემადგენლობას.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

ჯგუფურობის საკითხზე ქმედების შემადგენლობის განხილვისას უკვე ვისაუბრეთ. შესაბამისად იმ საკითხებს აქ ისევ არ მივუბრუნდებით.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მომენტს, რომ მართლსაწინააღმდეგო

¹⁰¹ უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით დანვრ. იხ. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 196.

¹⁰² Heinrich, ნიგნში: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 13 Rn. 127.

მისაკუთრების მიზანი სუბიექტური ელემენტის შემადგენელი ნაწილია და კვალიფიკაციის დროს ჯგუფის ყველა წევრის მიმართ ის ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს.¹⁰³ თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანამსრულებელს მაინცდამაინც პირადი სარგებლის მიღების მიზანი ამოძრავებდეს. შეიძლება ისინი სხვა პირების სასარგებლოდაც მოქმედებდნენ (მაგ. გაქურდეს სხვისი სახლი, რათა თავიანთი მეგობრის მკურნალობის თანხა გადაეხადათ).

- 165** თანამსრულებლობისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ თანამონაწილესაც (მაგ. დამხმარეს) ამოძრავებდეს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. თანამონაწილის ქმედება ისედაც აქცესორულად არის დამოკიდებული ამსრულებლის ქმედებაზე და მისი პასუხისმგებლობა სწორედ ამსრულებლის ქმედების მიხედვით განისაზღვრება.¹⁰⁴ თანამონაწილის პასუხისმგებლობისთვის საკმარისია მხოლოდ განზრახვის არსებობა. ანუ, მან უნდა იცოდეს, თუ რას ჩადის ამსრულებელი და მის ქმედებაში თანამონაწილეობის სურვილიც უნდა გააჩნდეს.

6. მიმართება სხვა მუხლებთან

- 166** საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებზე (ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.) მომდევნო თავებში ვისაუბრეთ. შესაბამისად, ამ საკითხებს აქ არ შევხებით. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავებში შევხვდებით ისეთ ნორმებს, რომლებშიც საფრთხის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტებულია დანაშაულის საგანი და მათი მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის დასჯადობა ცდება სსკ-ის 177-ე მუხლის ფარგლებს. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის სხვისთვის მოპარვა დაკვალიფიცირდება სსკ-ის 237-ე მუხლით. სსკ-ის 177-ე მუხლის გამოყენება ასეთ შემთხვევაში უხეში შეცდომაა. 237-ე მუხლი სპეციალურ შემადგენლობას ქმნის.
- 167** იგივეს თქმა შეიძლება ნარკოტიკებთან დაკავშირებითაც. მათი მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (მაგ. საწყობიდან მორფინის ფარულად გატანა) სსკ-ის 264-ე მუხლით შეფასდება. ყოველივე ამის დასაბუთება შემდეგში მდგომარეობს: იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო დაუფლება უფრო მეტ საფრთხეს ქმნის, ვიდრე სხვა მოძრავი ნივთების დაუფლება. მათი მიმოქცევაში ყოფნა საკუთრებასთან ერთად სხვების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ უშიშროებასაც ექმნება პოტენციუ-

¹⁰³ Schmitz, კომენტარებში: Münchener Kommentar zum StGB, § 242 Rn. 189; Rengier, Strafrecht BT I, § 2 Rn. 198.

¹⁰⁴ Wittig, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOG StGB, § 242 Rn. 47.

რი საფრთხე. ამიტომ, კანონმდებელმა მსგავსი შემთხვევები სპეციალურ ნორმებში მოაწესრიგა.

სისხლის სამართლის კოდექსში მსგავს სპეციალურ სხვა ნორმებსაც შევხვდებით, თუმცა, მათი სსკ-ის 177-ე მუხლისგან გამიჯვნა ერთსა და იმავე პრინციპს ეფუძნება. შესაბამისად, მათზე დეტალურად საუბარი არ არის აუცილებელი. **168**

ქმედების შემადგენლობაზე საუბრისას შევხებით **თვითნებობისგან** გამიჯვნის საკითხსაც. თვითნებობის დროს პირი თვლის, რომ მას დაუფლებულ ქონებაზე კანონიერი უფლება გააჩნია. ანუ, მიჯნის გავლება ქურდობასა და სსკ-ის 360-ე მუხლს შორის ხდება სუბიექტური ელემენტის განხილვის ეტაპზე. ქურდობისას პირმა იცის, რომ სხვის მოძრავ ნივთს ეუფლება უნებართვოდ, ხოლო თვითნებობისას კი თვლის, რომ ეს ქონება მას ეკუთვნის კანონიერად და ამიტომ აქვს მისი დაუფლების უფლება. მის ქმედებაში უმართლობის ხარისხი უფრო ნაკლებია და კანონმდებელმა სსკ-ის 360-ე მუხლში შედარებით მსუბუქი სანქციები დაადგინა. **169**

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: **170**

ა-ს სამემკვიდრეო დავა ქონდა ბ-სთან ავტომანქანასთან დაკავშირებით. ის არ დაელოდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, მანქანა მაინც მე მეკუთვნისო, ისარგებლა ბ-ს არყოფნით, მივიდა მასთან სახლში და მანქანა ფარულად წამოიყვანა.

ობიექტური ნიშნების თვალსაზრისით ქურდობასა და თვითნებობას შორის ბევრი საერთო ნიშანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ა-ს ქმედება ვერ შეფასდება სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ ქურდობად. ქურდისგან განსხვავებით, ის მართლწესრიგისადმი არ არის იმდენად „ბოროტად“ განწყობილი. მას სჯერა, რომ მანქანა ისედაც მას ეკუთვნის და სულაც არ არღვევს კანონს. საბოლოო ჯამში, ასეთ შემთხვევებში, სსკ-ის 360 მუხლის გამოყენება საჯარო მმართველობის წესის დარღვევის გამო ხდება. არ შეიძლება ადამიანებმა თავიანთი შეხედულებისამებრ აღასრულონ სამართალი. ა უნდა დალოდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებას და აღსრულების შესაბამის ეტაპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა ქაოსი საზოგადოებაში. **171**

როგორც ვხედავთ, ქურდობის შემადგენლობას სულ სხვა მიზანი აქვს და ის შემოიფარგლება სხვის საკუთრების დაცვით. ხოლო თვითნებობა კი პრიორიტეტულად იცავს მმართველობის წესს. საკუთრების დაცვის ელემენტი მასში მეორეხარისხოვანია. **172**

განვიხილოთ შემდეგი კაზუსი: **173**

ა-მ შეამტვრია ბ-ს ბინის კარები და იქიდან წამოიღო 500 ლარის ღირებულების ნივთები. კარისთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 800 ლარი. ის მთლიანად უვარგისი გახდა დაზიანების გამო.

- 174** ამ კაზუსის კვალიფიკაციისას რამდენიმე ნორმაზე შეიძლება დავფიქრდეთ: სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვეპუნქტზე (ქურდობა ბინაში შეღწევით), სსკ-ის 187-ე მუხლზე (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება) და ასევე სსკ-ის მუხ. 160-ზე (ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა).
- 175** ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისთვის ა-ს პასუხისმგებლობა თავიდანვე გამოირიცხება და მისი ქმედება არ მოგვცემს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვეპუნქტთან ერთობლიობას. აღნიშნული ნაწილი და ქვეპუნქტი ისედაც ამკაცრებს ქურდობის დროს პასუხისმგებლობას სხვის ბინაში შეღწევისთვის (მოიცავს ბინაში შეღწევას) და ზუსტად იმავე ქმედებისთვის მეორეჯერ სხვა მუხლითაც დასჯა არ იქნებოდა სწორი.
- 176** რაც შეეხება სსკ-ის 187-ე მუხლს, მისი 177-ე მუხლთან ერთობლიობით კვალიფიკაცია შესაძლებელია. სხვის ბინაში უკანონო შეღწევა არ გულისხმობს მაინცდამაინც ქონების დაზიანებასაც. მითუმეტეს, ზოგჯერ, შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ქურდმა მთელი ავეჯი დალენოს სახლში ძვირფასეულობის ძეგნაში და საბოლოოდ მხოლოდ 100 ლარის ნივთები იპოვოს, დალენილი ავეჯი კი ათასობით ლარი ღირდეს. სხვისი ქონების დაზიანების იგნორირება კვალიფიკაციაში არ იქნებოდა სწორი.
- 177** ქურდობის დროს პირს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება სურს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხოლო 187-ე მუხლის შემთხვევაში ის მხოლოდ სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების მიზნით მოქმედებს მათზე ახალი ბატონობის დაფუძნების სურვილის გარეშე. ანუ, ეს ორი ნორმა არსობრივად სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. მაშასადამე, სრულყოფილი კვალიფიკაციისთვის, სადგომში, საცავში ან ბინაში უკანონოდ შეღწევისას ამავდროულად სხვისი ქონების დაზიანების დროს (არ დაგვაგინყდეს ისიც, რომ 187-ე მუხლით დასჯადობა იწყება სხვისი ქონებისთვის 150 ლარზე მეტი ოდენობით ზიანის მიყენებისას) საჭიროა ორივე მუხლზე მითითება.
- 178** დანაშაულის ერთობლიობა გვექნება ყოველ ახალ ჯერზე განზრახვის წარმოშობის შედეგად ჩადენილი ქურდობისას. მაგალითად, ერთი ბინის გაქურდვის დამთავრებისთანავე იქვე სპონტანურად მეორე ბინის გაქურდვის განზრახვის წარმოშობის შემთხვევაში წარმოიქმნება დანაშაულის ერთობლიობა (ორჯერ ქურდობა ბინაში შეღწევით). თავიდანვე ორი ბინის გაქურდვის განზრახვის არსებობისას კი მხოლოდ ერთი დანაშაული გვექნება.

2. ძარცვა (სსკ მუხ. 178)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

179

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი
- ობიექტი
- სხვისი საკუთრება, კერძოდ, მოძრავი ნივთი
- ქმედება
- აშკარა დაუფლება
- შედეგი
- მიზეზობრივი კავშირი
- ობიექტური შერაცხვა
- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა
- მიზანი

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქურდობისა და ძარცვის ძირითად ობიექტური ნიშნები ერთმანეთის იდენტურია. კერძოდ, ძარცვასაც არ ყავს სპეციალური ამსრულებელი, დაცული ობიექტი კი სხვისი საკუთრებაა. ორივე მატერიალურ შემადგენლობას წარმოადგენს და დასრულებულ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის სხვის მოძრავ ნივთზე ახალი ბატონობის დაფუძნება აუცილებელი. ამიტომ, უნდა შემოწმდეს მიზეზობრივი კავშირის და ობიექტური შერაცხვის კომპონენტებიც.

180

ამ ორ დანაშაულს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი **ქმედებაში** მდგომარეობს. ქურდობის ჩადენა ფარულად ხდება, ძარცვის კი **აშკარად**. შესაბამისად, დამნაშავე უფრო საშიშია, ის არ ერიდება სხვის თვალწინ დანაშაულის ჩადენას და სანქციაც ქურდობასთან შედარებით უფრო მა-

181

ღალია.¹⁰⁵ მართალია, ძარცვის დროს დამნაშავემ შესაძლოა გარკვეულ ძაღობასაც მიმართოს და ამით შექმნას ობიექტურად უფრო მეტი საშიშროება, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისია და სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილი, ანუ ძარცვის ძირითადი შემადგენლობა, უბრალოდ აშკარად დაუფლების ხერხით ხორციელდება. მაშასადამე, სასჯელების გამკაცრების საფუძველი მაინც უფრო დამნაშავის პიროვნებაში მდგომარეობას და ამიტომ, დანაშაულის ჩადენის დროს, მის სუბიექტურ აღქმას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა - მოქმედებდა თუ არა ის თავისი გადმოსახედინად აშკარად?

182

ა-მ დაინახა მაგიდაზე დადებული სხვისი მობილური ტელეფონი. მან უცებ სტაცა მას ხელი და გაიქცა. მართალია, ა ფიქრობდა, რომ მას სხვები ამ პროცესში აუცილებლად შეამჩნევდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, ობიექტურად ასე არ მოხდა. ოთახში მყოფი პირები საუბარში იყვნენ გართული და აქეთ არც კი გამოუხედავთ.

183

მოცემულ კაზუსში გვაქვს აცდენა ობიექტურ რეალობასა და სუბიექტურ ელემენტს შორის. შესაბამისად, დამთავრებული ძარცვის შემადგენლობით კვალიფიკაცია ვერ მოხდება. ა დაისჯება სსკ-ის 19, 178-ე მუხლის პირველი ნაწილით, მცდელობისთვის. მართალია, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძარცვისას მომეტებული საფრთხის არსი პიროვნებაში უფრო მდგომარეობს (მის პერსონალურ აღქმაში), მაგრამ ეს ეხება უფრო მკაცრი სასჯელების დანიშვნის საკითხს ქურდობასთან შედარებით და არა მთლიანად კვალიფიკაციას. კვალიფიკაციისას ობიექტური და სუბიექტური ნიშნები თანხვედრაში უნდა იყოს. ა-სგან მომდინარე მეტი საფრთხე მცდელობით კვალიფიკაციაშიც აისახება და მას სასჯელი დაენიშნება სწორედ სსკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით.

184

სსკ-ის 178-ე მუხლიც შეიცავს მთელ რიგ დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც იდენტურია სსკ-ის 177-ე მუხლის. ამიტომ, მათ ცალ-ცალკე, დეტალურად არ შევეხებით და პირდაპირ კაზუსების მაგალითებზე ვიმსჯელებთ.

185

მნიშვნელოვანია ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება - **ძარცვა, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (ნაწ. 2, ქვეპ. დ).** ასეთ დამამძიმებელ გარემოებას სსკ-ის 177-ე მუხლი, ბუნებრივია, არც კი იცნობს, ვინაიდან ის ფარულად სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებასთან აზრობრივად შეუთავსებელია.

¹⁰⁵ *ლეკვეიშვილი*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 48; *ტურავა*, კომენტარებში: *გამყრელიძე*, ეკონომიკური დანაშაული, 31.

2019 წლის 6 თებერვალს, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ა, ძალადობის გამოყენებით, რაც გამოიხატა მუცელში ფეხის დარტყმაში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად, დაეუფლა ბ-ს კუთვნილ ფულად თანხას - 500 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმა-
ლა.¹⁰⁶

186

ეს კაზუსი აერთიანებს ორ დამამძიმებელ გარემოებას: დაზარალებუ-
ლისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას (მუხ. 178, ნან. 2, ქვეპ. ა) და
ძალადობის გამოყენებას (ნან. 3, ქვეპ. დ). მუცელში ფეხის ჩარტყმა და
უბრალოდ ტკივილის მიყენება ვერ შეფასდება სიცოცხლისათვის ან
ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობად. თუ დარტყმა იმდენად ძლიე-
რი იქნებოდა, რომ აშკარად შექმნიდა მსგავს საფრთხეს, მაშინ ქმედების
კვალიფიკაცია ყაჩაღობაში გადავიდოდა. ეს დეტალები უკვე ექსპერტი-
ზის დონეზე უნდა შეფასდეს. სწორედ შესაბამისი სპეციალისტი ადგენს,
საერთოდ დადგა თუ არა რამე შედეგი, თუნდაც მსუბუქი დაზიანების
სახით. თუ არა, სწორედ მაშინ იქნება ძარცვა. მუცელში ფეხის ჩარტყმის
შედეგად ბ-სთვის რომელიმე ხარისხის დაზიანების მიყენება სსკ-ის 179-ე
მუხლით დაკვალიფიცირდებოდა. თუმცა, გავრცელებული მოსაზრებით,
მსუბუქი დაზიანების მიყენება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარად დაუფლე-
ბისას, მაინც 178-ე მუხლით ისჯება.¹⁰⁷

187

სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის დ ქვეპუნქტი აერთიანებს ძალადო-
ბის ორ სახეს - ფიზიკურს და ფსიქიკურს (მუქარა). ძალადობა შეიძლება
გამოყენებულ იქნას როგორც უშუალოდ მესაკუთრის/მფლობელის, ისე
მესამე პირის წინააღმდეგაც.¹⁰⁸

188

კვალიფიკაციის თვალსაზრისით სადავოა შემდეგი საქმე:

189

ადრე ნასამართლევი ა თანამზრახველთან ერთად შევიდა ბ-ს სახლში და
მას ლუდის ფული თხოვა. უარის მიღების შემდეგ ისინი წავიდნენ, მაგრამ
ცოტა ხანში მობრუნდნენ, ერთიორჯერ ჩაარტყეს ბ-ს თავში ხელები და
ფული მოსთხოვეს. ბ-მ მათ 800 ლარამდე თანხა მისცა.

სასამართლომ ა-ს ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩა-
დენილ ძარცვად შეაფასა ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც არ
არის საშიში სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. ასევე, კვალი-
ფიკაციაში აისახა არაერთგზისობაც. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია
სადავო, მაგრამ უზენაესი სასამართლოს განჩინებაში განხილულია სამე-
დიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ დაზარალე-
ბულს პირადი გასინჯვის მონაცემებით აღენიშნებოდა ქრილობა და

190

¹⁰⁶ სუსგ №72აპ-23.

¹⁰⁷ ტურავა, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 45.

¹⁰⁸ ლეკვეიშვილი, ნიგნო: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო
ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 50 და შემდეგი.

სისხლჩაქცევა - თხემზე მარჯვნივ, სისხლჩაქცევა - შუბლზე, მარცხნივ. დაზიანებები განვითარებული რაიმე მკვრივ-ბლავი საგნის მოქმედებით, მიკუთვნებული მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.¹⁰⁹

- 191** გამოდის, რომ მსხვერპლის ჯანმრთელობა ხელყოფილი იქნა. მსუბუქი დაზიანებაც, ზოგადად, ჯანმრთელობისთვის საშიშია. ამიტომ ეწოდება მას „დაზიანება“. აქედან გამომდინარე, სამსჯელი იყო ყაჩაღობის შემადგენლობაზეც. მოცემულ საქმეში კი არ ჩანს ერთმნიშვნელოვნად, თუ რატომ შემოიფარგლა სასამართლო სსკ-ის 178-ე მუხლით. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, მსუბუქი დაზიანება არ მიიჩნევა ჯანმრთელობისთვის საშიშად, რაც საკმაოდ საორჭოფო მიდგომაა.¹¹⁰
- 192** სადავოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილებაც, რომლითაც პირი საერთოდ გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მისაკუთრების მიზნის არარსებობის გამო.
- 193** ა-მ ბ-ს ხელიდან გასტაცა მობილური ტელეფონი და გაიქცა. ა-მ ეს ქმედება იმიტომ განახორციელა, რომ ბ ამ ტელეფონით პოლიციაში დარეკვას აპირებდა, რაც ა-ს არ სურდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან ტელეფონი დააბრუნა.¹¹¹
- 194** ყველა ინსტანციის სასამართლომ ა გაამართლა. უზენაესმა სასამართლომაც ეს იმის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ საქმის მასალებით ვერ დგინდებოდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რაც თუნდაც ტელეფონის უკან დაბრუნებაში გამოიხატა რამდენიმე დღის შემდეგ ა-ს ინიციატივით. თუმცა, სასამართლო თავის თავთანვე მოდის წინააღმდეგობაში, ვინაიდან იქვე აღნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი გულისხმობის დამნაშავის მხრიდან ნივთის მფლობელობას, სარგებლობას და განკარგვას.¹¹²
- 195** სხვისი ტელეფონი ა-ს ხელში იყო რამდენიმე (!) დღის განმავლობაში. ნივთის პატრონს არავითარი წვდომა არ ქონია მასზე. ა-ს ნებისმიერ დროს შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ამ ნივთის განკარგვის თაობაზე. შესაბამისად, იმის თქმა, რომ მას არ ქონდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ არის საკმარისად დასაბუთებული.

¹⁰⁹ სუსგ №72აპ-23 აბზ. 5.4.

¹¹⁰ ამავე მოსაზრებას იზიარებენ *ხარანაული/დვალიძე*, კომენტარში: *დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 81, აბზ. 30, რომელთა მოსაზრებითაც, ნებისმიერი ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება ცდება ძარცვის შემადგენლობას.

¹¹¹ სუსგ №916აპ-22.

¹¹² სუსგ №916აპ-22, აბზ. 8.

ასეთი მიდგომის შემთხვევაში, საკმაოდ სახიფათო პრაქტიკა შეიძლება განვითარდეს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ პირს შეეძლება, მაგალითად, წაიყვანოს სხვისი მანქანა რამდენიმე დღით და მერე დააბრუნოს – არ მქონია მისაკუთრების მიზანი, დროებით მყავდა წაყვანილიო. **196**

თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ნებისმიერი ხნით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ავტომატურად ქურდობად ან ძარცვად უნდა შეფასდეს და მიზნის იგნორირება მოხდეს. ა-ს რომ თუნდაც იმავე დღეს დაებრუნებინა ტელეფონი, მაშინ სხვის საკუთრებაში ჩარევის ხარისხი ნაკლებად ინტენსიური იქნებოდა და ის დროებით დაუფლების გამო არ დისჯებოდა. მაგრამ, როდესაც რამდენიმე დღეზეა საუბარი, მაშინ ის აშკარად თავის ქონებას უერთებს სხვის ქონებას. ამ დროს ჩვენ საერთოდ არ გვანტერესებს ამ ნივთის გამოყენება-არგამოყენება, ინახავდნენ მას კარადაში თუ დასარეკად იყენებდნენ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი გულისხმობს თუნდაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნივთზე მესაკუთრისმაგვარი ბატონობის დამყარების სურვილს, რაც აშკარად იკვეთებოდა ა-ს ქმედებაში. **197**

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქურდობის შემადგენლობის მსგავსად, ძარცვის სუბიექტურ მხარეშიც ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს **განზრახვისა და მიზნის** ელემენტები. ერთ-ერთი მთავარი საკითხი განზრახვის შემოწმებისას არის ის, რომ ამსრულებელმა უნდა იცოდეს, რომ მოქმედებს აშკარად და სხვები, არ აქვს მნიშვნელობა, უშუალოდ დაზარალებული იქნება ეს თუ შემთხვევითი გამვლელი, მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს აღიქვამენ. მაშასადამე, მოკლედ რომ შევაჯამოთ, მან იცის, რომ სხვის ნივთს ეუფლება აშკარად და გარდა ამისა, ამოძრავებს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. **198**

განზრახვა, როგორც წესი, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, თუმცა, თეორიულად, არაპირდაპირი განზრახვაც არ არის გამორიცხული. ამსრულებელმა, შესაძლოა, ზუსტად არ იცოდეს, რომ მის მიერ დაუფლებული ნივთი სხვისია, მაგრამ ეს დიდად არ აინტერესებდეს და მისთვის მთავარი იყოს ამ ნივთის მისაკუთრება. ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ მიზანი და განზრახვა. ეს ცალ-ცალკე სუბიექტური ელემენტებია და შესაბამისად, სხვადასხვა წინაპირობები აქვს თითოეულ მათგანს.¹¹³ მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შემოფარგვლის შემთხვევაში ცალკეული შემთხ-

¹¹³ გერმანულ დოქტრინაშიც მსგავსი დანაშაულების მიმართებით დაშვებულია არაპირდაპირი განზრახვის არსებობა. იხ. მაგ. *Tofahrn, Strafrecht BT II*, Rn. 288; *Habetha*, კომენტარებში: *Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB*, § 242, Rn. 4.

ვევები საერთოდ დაუსჯელი დაგვრჩებოდა.¹¹⁴

200

ა-მ სხვის ჭიშკართან სკამზე დატოვებული მობილური ტელეფონი დაინახა. მან ზუსტად არ იცოდა, ეს დაკარგული ტელეფონი იყო თუ ის რომელიმე იქვე ეზოში მდგომ პირს ეკუთვნოდა. მან დასტაცა ამ ტელეფონს ხელი მისაკუთრების მიზნით და გაიქცა. მისი ქმედება იქვე მყოფმა პირებმა დაინახეს და ეს ა-მ იცოდა. თუმცა, ის არ შეჩერებულა.

201

როგორც ვხედავთ, ა არ მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. მან ზუსტად არ იცის ამ ტელეფონის სტატუსი, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ისედაც გულგრილია. ეს კი არაპირდაპირი განზრახვაა. ის რომ, მას მისაკუთრების მიზანი ამოძრავებდა, ეს ცალკე ელემენტია და განზრახვაზე არ ახდენს გავლენას. ორივე ელემენტს სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს. მხოლოდ პირდაპირი განზრახვის სტანდარტით მიდგომის შემთხვევაში, ა-ს საერთოდ ვერ დავსჯიდით სისხლისსამართლებრივი წესით, რაც არ იქნებოდა მართებული.

202

რა თქმა უნდა, ა არ დაისჯებოდა, თუ ის მართლაც იფიქრებდა, რომ ეს ტელეფონი დაკარგული ნივთი იყო. ასეთ დროს განზრახვის ორივე ფორმა გამოირიცხებოდა. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ძარცვა კი არ ისჯება.

203

განვიხილოთ შემდეგი კაზუსიც:

ა-მ საყელოში ხელი სტაცა ბ-ს და მას საფულე წაართვა. მან იქვე ჩაიხედა საფულეში და დაინახა, რომ ის ცარიელი იყო, არადა იქ 100 ლარი ეგულეზოდა. ამასთანავე მას ბ-სთვის ხელი არ გაუშვია. ა-მ წამიერად ადგილზევე მიიღო გადაწყვეტილება და ბ-ს 1000 ლარის ღირებულების ყელსაბამი გასტაცა.

204

ამ შემთხვევაში გარკვეული აცდენა გვაქვს ა-ს წარმოდგენასა და მოვლენების განვითარებას შორის. მას თავდაპირველად საფულეში არსებული თანხის დაუფლება სურდა, მაგრამ შეცდა და თავდასხმის მიმდინარეობისას დანაშაულის სხვა საგანზე გადავიდა მისი ყურადღება. მიუხედავად ამისა, ეს არ ახდენს გავლენას კვალიფიკაციაზე, ვინაიდან არავითარი მნიშვნელოვანი გადახვევა არ მომხდარა საერთო სურათიდან. ა მაინც ერთი ძარცვისთვის აგებს პასუხს დამდგარი ზიანის მიხედვით (მნიშვნელოვანი ზიანი). ცხოვრებისეულად არაფერი მოულოდნელი მოვლენების მსგავს განვითარებაში არ არის.¹¹⁵

¹¹⁴ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ფორმით ამ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ემხრობა მაგ. ტურავა, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 41.

¹¹⁵ შეად. ასევე Rengier, Strafrecht BT I, § 7 Rn. 37.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები სსკ-ის 178-ე მუხლთან მიმართებით რამე განსაკუთრებული სპეციფიკით არ გამოირჩევა. შესაბამისად, ისინი მოწმდება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი სტანდარტებით და აქ დამატებით განხილვას არ საჭიროებს. **205**

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

სსკ-ის 178-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებად, ქურდობის მსგავსად, ჯგუფურობის მხოლოდ ორ სახეს მიიჩნევს - წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებულ ჯგუფს. შესაბამისად, ერთი პირის მიერ დაწყებული ძარცვის პროცესში მეორე პირის ჩართვა ვეღარ მოგვცემს ამ დამამძიმებელ გარემოებებს. **206**

ა და ბ ტაქსით მგზავრობდა. მანქანის გაჩერებისთანავე ა-მ სპონტანურად მიიღო გადაწყვეტილება, გაეტაცებინა მძღოლის საფულე და გაქცეულიყო. მან მართლად სტაცა ხელი საფულეს და მანქანიდან გადასვლას აპირებდა, თუმცა, მძღოლმა მას მკლავზე ხელი ჩაავლო და არ უშვებდა. ბ თავიდან გაოგნებული იყო ა-ს საქციელის გამო, მაგრამ ადგილზევე მიიღო უცებ გადაწყვეტილება, მძღოლს ხელი გააშვებინა ა-სთვის და თვითონაც მასთან ერთად გაიქცა. მერე კი ფული შუაში გაიყვეს. **207**

თანამსრულებლობად, ანუ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილ ჯგუფურ ძარცვად, ეს ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება. ა-მ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება და ბ-სთან შეთანხმების გარეშე დაიწყო ძარცვა. ბ მხოლოდ მერე ჩაერთო პროცესში. ბ-ს ქმედება, დასაბუთების მიხედვით, დახმარებად ან დამოუკიდებლად ძარცვის ამსრულებლობად შეფასდება. **208**

6. მიმართება სხვა მუხლებთან

ქურდობასა და ძარცვას შორის განსხვავებაზე უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ ამ საკითხს დეტალურად არ მივუბრუნდებით. თუმცა, გასათვალისწინებელია ქურდობის ძარცვაში გადაზრდის საკითხი. მიმდინარე ქურდობისას თუ დამნაშავეს შეამჩნევენ, ის ამას მიხვდება და მაინც დაეუფლება სხვის ნივთს, ეს უკვე ძარცვად დაკვალიფიცირდება.¹¹⁶ ამსრულებელი არ ერიდება ასეთ შემთხვევაში სხვის თვალწინ დანაშაულის ჩადენას. ანუ, ის უფრო საშიშია და სსკ-ის 178-ე მუხლით დასჯას იმსახურებს. **209**

¹¹⁶ ლეკვეიშვილი, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 49.

210 კვალიფიკაცია შეიცვლება სრულიად ახალი განზრახვის წარმოშობისას. ამ დროს გვექნება დანაშაულის ერთობლიობა ქურდობის მცდელობასა და დამთავრებულ დარცვას შორის. ამის მაგალითია ქვემოთ მოყვანილი კაზუსი.

211 ა-მ გადაწყვიტა ბ-სგან შეუმჩნეველად აეღო სკამზე გადაკიდებული მისი ხელჩანთა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ბ-მ ის შეამჩნია. ა-მ მაშინათვე შეწყვიტა ქმედება და ჩანთის აუღებლად გაიქცა. დაახლოებით ათ წუთში მან თავიდან მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაინც დაუფლებოდა სხვის ნივთს, დაბრუნდა უკან, დაავლო ხელი ჩანთას პატრონის თვალწინ და გაიქცა.

212 ამ კაზუსზე ველარ ვიტყვით, რომ ეს არის დარცვაში გადაზრდილი ქურდობა. ა-ს მიერ განხორციელებული პირველი და მეორე ქმედებები ორ დამოუკიდებელ განზრახვას ეფუძნება. შესაბამისად, ის ორი უმართლობისთვის აგებს პასუხს (მუხ. 19, 177, ნან. 1 და მუხ. 178, ნან. 1).

213 ასევე, ძალადობის ხერხით განხორციელებული დარცვა უნდა გაიმიჯნოს ყაჩაღობისგან, თუმცა, ამ საკითხს სსკ-ის 179-ე მუხლზე მსჯელობისას მივუბრუნდებით.

214 ძალადობის კონტექსტში საინტერესოა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისა და დარცვის შემადგენლობის ურთიერთმიმართება, რომელიც კარგად ჩანს ერთ-ერთ საქმეში:¹¹⁷

2021 წლის 13 აპრილს, დაახლოებით 21-22 საათის დროის შუალედში, ალკოჰოლით მთვრალმა ა-მ თავის საცხოვრებელ სახლსა და ეზოში, ურთიერთშელაპარაკების დროს, სცემა ბ-ს, კერძოდ, სახეში დაარტყა მუშტი, ხელებითა და ფეხებით რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა არეში და შემის ნაჭერი ჩაარტყა გვერდში, რა დროსაც ბ-მ მიიღო დაზიანებები, რომლებიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს.

ამავდროულად, ა აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ „ნოკიას“ ფირმის მობილურ ტელეფონს, კერძოდ, სცემა ბ-ს და ჯიბიდან ამოაცალა „ნოკიას“ ფირმის მობილურ ტელეფონი და მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, არ დაუბრუნა და მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა ის, რითაც დაზარალებულს მიაყენა 55 ლარის ქონებრივი ზიანი. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად, ცემის შემდეგ ბ-მ გონება დაკარგა და ტელეფონი სწორედ ამ დროს ამოაცალა მას თავდამსხმელმა. შემდეგ კი მალევე გონებაზე მოსულ მსხვერპლს მას არ უბრუნებდა.

¹¹⁷ სუსგ №697აპ-22.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სსკ-ის 117-ე მუხლის პირველ ნაწილთან (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) ერთად ეს დანაშაული სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით (ძარცვა, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის) შეაფასეს. უზენაესმა სასამართლომ სწორად ამორიცხა საბოლოო კვალიფიკაციიდან ძარცვის აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება, ვინაიდან ჯანმრთელობისთვის მძიმე დაზიანების მიყენება ცილდება სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტის ფარგლებს და მისი შეფასება ისედაც მოხდა სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.¹¹⁸

რატომ არ შეფასდა ეს თავდასხმა ყაჩაღობად (სსკ. მუხ. 179), რომელიც სწორედ ასეთი საშიში ძალადობის გამოყენებას გულისხმობს? იმიტომ რომ, თავდაპირველად, ცემის პროცესში დამნაშავეს სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვა არ ამოძრავებდა. ეს გადანყვეტილება მან მერე მიიღო მას შემდეგ, რაც მსხვერპლმა გონება დაკარგა.

დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს ამ საქმეში ძარცვისა და ქურდობის გამიჯვნა. უზენაესი სასამართლოს შეფასებით, ა მაშინ დაეუფლა ბ-ს ტელეფონს, როდესაც მას გონება ჰქონდა დაკარგული, მაგრამ მას შემდეგ, რაც გონება დაუბრუნდა, სთხოვდა მსჯავრდებულს, დაებრუნებინა მისი ტელეფონი, თუმცა - ამაოდ, რაც ცალსახად მიუთითებს დანაშაულის აშკარა ხასიათზე და ადასტურებს, რომ ა-ს ქმედებაში გამოკვეთილია არა ქურდობის, არამედ - ძარცვის შემადგენლობა.¹¹⁹

თუ პირს მაშინათვე მოვიდოდა გონებაზე და თავდამსხმელი არ იქნებოდა საბოლოოდ დაუფლებული სხვის ნივთს (მაგ. იქვე იმყოფებოდა), მაშინ ძარცვით კვალიფიკაცია სწორი იქნებოდა, რაც ამ საქმის მასალებიდან გამომდინარეც ასე იყო. ხოლო, სხვა სიტუაციის შემთხვევაში, როდესაც თავდამსხმელი უკვე ამყარებს ახალ ბატონობას ნივთზე, მსხვერპლი მოგვიანებით მოვა გონებაზე, იპოვის მას და უკან დაბრუნებას თხოვს ნაღებული ნივთის, რა თქმა უნდა, ეს ველარ შეფასდება ძარცვად. თავდამსხმელი, ნივთთან მიმართებით, ქურდობისთვის აგებს პასუხს. ის ფარულად დაეუფლა სხვის ნივთს, დანაშაული დამთავრდა და მერე აშკარად უკან არდაბრუნება ველარ შეფასდება სხვა დანაშაულად.

¹¹⁸ სუსგ №697აპ-22, აბზ. 18.

¹¹⁹ სუსგ №697აპ-22, აბზ. 14.

3. ყაჩაღობა (სსკ მუხ. 179)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

219

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი

- ობიექტი

სხვისი საკუთრება, კერძოდ, მოძრავი ნივთი (დანაშაულის საგანი)

- ქმედება

თავდასხმა, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

- მიზანი

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

220

ყაჩაღობის ჩადენა შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ (**ზოგადი სუბიექტი**). რაც შეეხება **დაცულ სამართლებრივ სიკეთეს**, აქაც სხვის საკუთრებაზე, კერძოდ მოძრავ ნივთზეა საუბარი. ქართულ დოქტრინაში გავრცელებულ მოსაზრებასთან მიმართებით, რომლითაც ყაჩაღობა ორობიექტიან დანაშაულად არის მიჩნეული,¹²⁰ გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. ეს გამომდინარეობს თუნდაც უშუალოდ ნორმის შინაარსიდან, რომლითაც სულაც არ არის აუცილებელი რეალურად რამე საფრთხის შემქნა სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. უბრალოდ მუქარაც კი საკმარისია დანაშაულის ჩასადენად. მუქარა კი არ არის ქართული სისხლის სამართლის გაგებით, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. გარდა ამისა, არ უნდა დაგვაინტერესებდეს,

¹²⁰ *ლექციები/თოდუა*, ნიგნში: *ლექციები/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 52; *ებრალიძე*, კომენტარებში: *გამყრელიძე*, ეკონომიკური დანაშაული, 73; იხ. ასევე *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 16, რომელიც ასეთ მიდგომას ასევე საკამათოდ მიიჩნევს.

რომ ყაჩაღობის დროს მსხვერპლის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის რეალურად ხელყოფის შემთხვევაში კვალიფიკაცია დანაშაულის ერთობლიობით მოხდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სსკ-ის 179-ე მუხლი იცავს სხვის საკუთრებას და არ ფარავს სხვა სიკეთეების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცულ სიკეთედ მიჩნევის შემთხვევაში გავგიჟირდებოდა სათამაშო იარაღით თავდასხმის შემთხვევების კვალიფიკაცია. თავდამსხმელი ამ დროს რეალურად არავის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას არ უქმნის საფრთხეს და მისი დასჯა სსკ-ის 179-ე მუხლით პრობლემატური გახდებოდა. მიუხედავად ამისა, მსგავსი ქმედებები მაინც ყაჩაღობად კვალიფიცირდება, ვანაიდან, ნორმით დაცული სიკეთე სწორედ სხვისი საკუთრებაა და აქცენტი ამ საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების ხერხზე კეთდება და არა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის შექმნილ საფრთხეზე. **221**

მაშასადამე, რომ შევაჯამოთ, სსკ-ის 179-ე მუხლი, ქურდობისა და ძარცვის შემადგენლობის მსგავსად, იცავს სხვის საკუთრების უფლებას. განსხვავება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ხერხში მდგომარეობს. **222**

ქმედება განხორციელების ორი ალტერნატივა არის ნორმაში მოცემული: თავდასხმა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. **223**

სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობს განსახორციელებლად, როგორც წესი, გამოიყენება იარაღი, იქნება ეს ცეცხლსასროლი იარაღი თუ ცივი იარაღი,¹²¹ მაგრამ ყაჩაღობის ჩადენა ყოველგვარი იარაღის გამოყენების გარეშეც არის შესაძლებელი. თავდამსხმელს შეუძლია თავისი ფიზიკური შესაძლებლობა გამოიყენოს და ისე იძალადოს მსხვერპლზე. მაგალითად, თავდამსხმელმა ჯერ ხელიდან გასტაცა საფულე და მერე ხელი ჰკრა აივანზე მდგომ მეორე პირს და ის გადააგდო მეორე სართულიდან. საბედნიეროდ, გადავარდნილ პირს არაფერი მოსვლია, ვინაიდან ბურჩქებში ჩავარდა. მიუხედავად ამისა, ეს შემთხვევა მაინც ყაჩაღობად შეფასდება. სულ მცირე, ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის შემქმნელი ძალადობა განხორციელებულია აივნიდან გადაგდების სახით, რაც საკმარისია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთვის. **224**

ყაჩაღობის დროს მუქარა შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ნივთის მესაკუთრის/მფლობელის, ასევე იმ პირის მიმართაც, რომლის ბედიც არის (მაგ. შვილი) დაზარალებული დაინტერესებული.¹²² აღნიშ- **225**

¹²¹ სუსგ №1164აპ-22.

¹²² ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის

ნული დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ თავდასხმის დროს გამოყენებული მუქარა უნდა წარმოადგენდეს დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის ნების დათრგუნვის საშუალებას. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, ყაჩაღობად არ უნდა შეფასდეს, მაგალითად, უცხო ადამიანის ან თუნდაც ნაცნობის მიმართ განხორციელებული მუქარა, ვინაიდან ასეთი მიდგომით, ემოციურად ყველა ადამიანზე განხორციელებული ძალადობის გამო შეიძლება ნივთის მეპატრონე დაითრგუნოს, რაც ძალიან გააფართოვებდა ყაჩაღობის შემადგენლობას. მაგრამ, თუ მესამე პირი (მაგ. გამვლელი) ჩაერთვება მსხვერპლის საკუთრების დაცვის პროცესში, ვინაიდან ის დაინახავს, თუ როგორ ეპარება დამნაშავე მას (ჯერ კიდევ მომზადების ეტაპზე) და შეჩერებას შეეცდება, მას თავდამსხმელი მოკვლით დაემუქრება და ამ ყველაფერს აღიქვამს ნივთის მესაკუთრე, ეს მაინც ყაჩაღობა იქნება. თავდამსხმელი ამ დროს იყენებს სიცოცხლისთვის საშიშ მუქარას და ამ გზით თრგუნავს ნივთის მესაკუთრის ნებასაც.¹²³

226 სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ თავდასხმად ვერ შეფასდება მსხვერპლისთვის უბრალოდ ხელების შეკვრა.

227 ა მივარდა ბ-ს და მისთვის მოულოდნელად გაუკავა ხელი, შემდეგ კი უცებ იქვე გათბობის მიღზე მიაბა. ამ დროს ა-ს მხრიდან არავითარ მუქარას ადგილი არ ქონია. მან ხელებშეკრულ ბ-ს ჯიბიდან საფულე და ტელეფონი ამოაცალა და შემდეგ წავიდა.

228 ა-ს ქმედება არ დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად. ეს იქნება ძარცვა, ჩადენილი ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.¹²⁴ კვალიფიკაცია მაშინათვე შეიცვლება, თუ ა თავდასხმის პროცესში ბ-ს დაემუქრებოდა მაგ. მოკვლით, ხელების დამტვრევით და ა.შ. ხმის ამოღების შემთხვევაში. მსგავსი მუქარა შეესაბამება სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას. გარდა ამისა, ზემოთ აღწერილი კაზუსიც ყაჩაღობად შეფასდებოდა, თუ ა ბ-ს ჩაკეტილ ბინაში დატოვებდა მიღზე მიბმულს, სადაც მსხვერპლის მხრიდან თავის დახსნა ძალიან რთული იქნებოდა და მეზობლებსაც ხმას ვერ მიაწვდენდა. მსგავსი სიტუაციაც საფრთხის შემქმნელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

229 საინტერესოა საკითხი სხვის საკუთრებაზე თავდასხმის დროს იარაღის თან ქონასთან დაკავშირებით, რომელსაც თავდამსხმელი არც კი იყენებს. დავუშვათ, ის მას უბრალოდ გამოსაჩენ ადგილას ქონდა ქამარზე სპეციალურ ჩასადებში დამაგრებული. მსხვერპლის დასაშინებლად იარაღის გამოჩენის შემთხვევაში, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნივთის

კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 53.

¹²³ შეად. *Wittig*, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB, § 249 Rn. 12.

¹²⁴ შეად. *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 77 და შემდეგი.

არდათმობისას მას გამოიყენებენ (თავდამსხმელმა ეს სიტყვიერად რომც არ გამოთქვას), გვექნება ყაჩაღობა.¹²⁵ ხოლო, თუ თავდამსხმელს სპონტანურად წარმოეშვა სხვისთვის ნივთის წართმევის განზრახვა, ხელიდან წაგლიჯა და ამ დროს თან ქონდა იარაღი, რომელზეც საერთოდ არც კი უფიქრია, მაშინ ქმედება მხოლოდ ძარცვად უნდა შეფასდეს.

230

2021 წლის 30 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, დანით შეიარაღებული ა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მობილური ტელეფონისა და სხვადასხვა ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დაესხა ბ-ს, რომელმაც თავდამსხმელს გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა. ვინაიდან ა-მ გააცნობიერა, რომ განუული წინააღმდეგობის გამო ვერ დაეუფლებოდა ბ-ს ქონებას და ამავე დროს, მას შეეძლო სამართალდამცველებთან მისი მხილება, ნივთების მისაკუთრების გაადვილებისა და ყაჩაღობის დაფარვის მიზნით, განიზრახა განსაკუთრებული სისასტიკით მისი მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ა-მ ხელთ ნაქონი დანით ცამეტი ჭრილობა მიაყენა ბ-ს სხეულის სხვადასხვა ადგილას. მანვე ხელები და ფეხები მოუჭირა ბ-ს კისრის არეში, რის შედეგადაც განვითარებული მექანიკური ასფიქსიით იგი გარდაიცვალა. ბ-ს მკვლელობის შემდეგ, ა დაეუფლა მის კუთვნილ მობილურ ტელეფონს, სხვა ნივთებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.¹²⁶

მიუხედავად იმისა, რომ ა ბ-ს ნივთებს მისი გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა, მისი დანაშაული მაინც სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირდა. მართალია, თავიდან, შესაძლოა, მას სულაც არ სურდა ვინმეს მოკვლა და მუქარის გზით იმედოვნებდა ყაჩაღობის ჩადენას, თუმცა, ყაჩაღობა **ფორმალური დანაშაულია** და დამუქრებისთანავე (როგორც კი ამ მუქარას მსხვერპლი აღიქვამს), დანაშაული დამთავრებულად ითვლება. ქმედების ყაჩაღობად შეფასებისთვის არც შედეგის (ანუ სხვის ნივთის დაუფლება) დადგომა არის აუცილებელი. ბ-ს რომც მოეხერხებინა ა-ს მოგერიება, ა მაინც დაისჯებოდა სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით.

231

გარდა ყაჩაღობისა, ა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისთვისაც დაისაჯა. კერძოდ, საუბარია განზრახ მკვლელობის ჩადენაზე სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და შესაბამისად, საკუთრების ხელყოფის მიღმა დამდგარი სხვა შედეგი, ამ შემთხვევაში სიცოცხლის ხელყოფა, დამატებით დაკვალიფიცირდება და

232

¹²⁵ შეად. ცქიტმვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 24.

¹²⁶ სუსგ №1073აპ-22.

დანაშაულის ერთობლიობა წარმოიქმნება.¹²⁷

233

2022 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 20:50 საათზე, ა, ხელყუმბარის ფორმის სანთებელით შეიარაღებული თავს დაესხა მოლარე-ოპერატორ ბ-ს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 10549 ლარის ეკვივალენტ ფულად თანხას - 3428 აშშ დოლარს, რის შედეგადაც დაზარალებულ კომპანიას მიაყენა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.¹²⁸

234

სასამართლომ აღნიშნული ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტით დააკვალიფიცირა, როგორც ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით. ამ კაზუსზე საუბრისას ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე საინტერესო არის ის, რომ რეალურად, დამნაშავე არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა მოლარე-ოპერატორს. მიუხედავად ამისა, კვალიფიკაცია მაინც სწორია. ყაჩაღობის შემადგენლობის განხორციელებისთვის, ზოგადად, სიტყვიერი მუქარაც კი საკმარისია და ამას თუნდაც მოჩვენებითი იარაღიც თუ ემატება საკუთარი ნათქვამის გასამყარებლად და მსხვერპლის ნების დასათრგუნად, მითუმეტეს განხორციელებულია სსკ-ის 179-ე მუხლის შემადგენლობა.¹²⁹

235

მსგავსი მიდგომა არის გავრცელებული გერმანულ სისხლის სამართალშიც. მართალია, ერთი-ერთში გერმანული და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ქრილში ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ შედარებისთვის გამოდგება გერმანიის სსკ-ის §250, რომელშიც იარაღის ან სხვა საშუალების გამოყენებაზე არის საუბარი მსხვერპლის დასაშინებლად.

236

ერთ-ერთ საქმეში გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ნასოსის გამოყენება ჩათვალა ამ მუხლის ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთვის საკმარისად, ვინაიდან, ობიექტური გადმოსახედიდან, მისი გამოყენებით შესაძლებელი იყო მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისეთი საშუალება იქნებოდა თავდასხმისას გამოყენებული, რომლითაც აშკარად ცხადი იქნებოდა, რომ მსხვერპლს არანაირი ზიანის საფრთხე არ წარმოექმნებოდა, მაშინ პირი

¹²⁷ *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 74.

¹²⁸ სუსგ №1249აპ-22.

¹²⁹ ამ კვალიფიკაციას ეთანხმება *ლეკვიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, ნაწ. 2, 57; ხოლო *საპირისპირო მოსაზრებას* ავითარებს *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 86. იხ. ასევე *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 35 და შემდეგი, რომელიც უვარგისი იარაღის გამოყენებისას ძარცვის კვალიფიკაციას ემხრობა. თუმცა, თუ ასეთი საშუალების გამოყენების დროს სიტყვიერი მუქარაც ხორციელდებოდა მსხვერპლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიმართ (მაგ. მას კისერზე აჭერდნენ იარაღის მაკეტის ლულას), მაშინ ავტორი ყაჩაღობის კვალიფიკაციას ასაბუთებს.

ამ ნორმით ვერ დაისჯებოდა.¹³⁰ ასეთ შემთხვევად ჩაითვალა მაგ. პომადის ან ცარიელი მასრის გამოყენებით მუქარა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან და გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გერმანულ დოქტრინასა და პრაქტიკაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.¹³¹

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს **სრულიად უვარგისი საშუალების** გამოყენების საკითხი ქართული კანონმდებლობით, რომელიც გარეგნულადაც კი არ ნარმოქმნის ობიექტურად საფრთხის შეგრძნებას? ცალმხრივი პოზიციის ჩამოყალიბება ამასთან დაკავშირებით რთულია. გააჩნია, თუ რომელი გადმოსახედიდან მივუდგებით საკითხს, მსხვერპლის თუ ობიექტური დამკვირვებლის? პირველ შემთხვევაში გვექნებოდა ყაჩაღობა (მსხვერპლი შეშინდა), მეორეში კი არა (ობიექტური მესამე პირი საერთოდ არ აღიქვამს საფრთხედ გამოყენებულ საშუალებას). **237**

ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში ყაჩაღობა ფორმალური დანაშაულია და მუქარაც კი საკმარისია დანაშაულის დამთავრებისთვის, შეიძლება გვეთქვას, რომ არ აქვს მნიშვნელობა გამოყენებული საშუალებისგან მომდინარე საფრთხეს და ის სრულიად უვარგისიც რომ იყოს ვინმეს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მისაყენებლად, მაინც სსკ-ის 179-ე მუხლით კვალიფიკაცია სწორი იქნებოდა (მსხვერპლი ამ საშუალებას საშიშად უნდა აღიქვამდეს).¹³² მაგრამ, ამასთანავე, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყაჩაღობისთვის გათვალისწინებული სასჯელი უფრო მაღალია, ვიდრე ძარცვისთვის და რამდენად სამართლიანი იქნებოდა სრულიად უვარგისი საშუალების გამოყენებით დამუქრებისას, რომელსაც არცერთი ობიექტური დამკვირვებელი საფრთხედ არ აღიქვამდა, თავდამსხმელის ასე მკაცრად დასჯა? ¹³³ **238**

დასაბუთების თვალსაზრისით მსგავს დისკუსიებს იწვევს უვარგისი იარაღის გამოყენებაც, მაგ. როდესაც მუქარა სათამაშო პისტოლეტის გამოყენებით ხდება და მსხვერპლი კი მას რეალურ იარაღად აღიქვამს. ერთი შეხედულებით, მსგავსი ქმედება არ უნდა შეფასდეს ყაჩაღობად.¹³⁴ საპირისპირო შეხედულებით კი კვალიფიკაციის გადამწყვეტია დაზარალებულის აღქმა, რომ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნიან იმნუთიერ საფრთხეს.¹³⁵ **239**

მიუხედავად დაზარალებულის შეგრძნებისა, მაინც ვერსად გავექცევით **240**

¹³⁰ BGH NStZ-RR 2023, 204.

¹³¹ დანერ. იხ. *Fischer*, Strafgesetzbuch, § 250 Rn. 10a.

¹³² შეად. *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 82.

¹³³ შეად. *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 26 და შემდეგი.

¹³⁴ *ებრალიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 86.

¹³⁵ *ხარანაული*, კომენტარში: დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 93, აბზ. 33.

იმ სამართლებრივ რეალობას, რომ ყაჩაღობისთვის დადგენილი სასჯელი საკმაოდ მაღალია და კვალიფიკაციის დასაბუთება მხოლოდ დაზარალებულის შიშით, მაშინ, როდესაც არანაირი რეალური საფრთხე არ არსებობს და თავდამსხმელი არც კი აპირებდა სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნას, საორჭოფოა. ცალკე აღებული მუქარა, არ არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი ქმედება (შეად. სსკ მუხ. 151) და დამნაშავეს მიერ დაზარალებულის უბრალოდ შეცდომაში შეყვანა სათამაშო იარაღის გამოყენებით და შემდეგ ასეთი ქმედების დაწყებისთანავე დამთავრებულ დანაშაულად, ყაჩაღობად კვალიფიკაცია, ბოლომდე დამაჯერებელი არ არის.

- 241** გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად ფასდება შემდეგი კაზუსი, რომელიც ქართული სისხლის სამართლის ჭრილშიც საინტერესოა:

ა-მ შურისძიების ნიადაგზე ჯერ მაგრად ცემა ბ და შემდეგ კი გაკოჭა, რათა ის ნახევრად გულწასული, იქვე მიეტოვებინა. გაკოჭვის შემდეგ, მას თვალში მოხვდა ბ-ს ოქროს ბეჭედი და სპონტანურად მიიღო გადანყვებილება, მას დაუფლებოდა, რაც სისრულეში მოიყვანა. თავდაპირველად, მას ბ-ს ნივთის დაუფლების განზრახვა საერთოდ არ ქონია. ეს აზრი მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, როცა ბ ასეთ უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. უნდა დაისაჯოს თუ არა ა ყაჩაღობისთვის?

- 242** გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით - კი, ვინაიდან თავისი წინარე ქმედებიდან გამომდინარე, თავდამსხმელი მსხვერპლის გარანტი გახდა და ვალდებული იყო, თავის მიერვე თავდაპირველად დაფუძნებული იძულებითი ზემოქმედება (გაკოჭვა), შეენწყვიტა. თუ ის ამას არ აკეთებს, გამოდის, რომ იყენებს მიმდინარე ძალადობას (გაკოჭვის მდგომარეობაში ყოფნას) სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დასაუფლებლად.¹³⁶

- 243** თუმცა, დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებით, ასეთი მიდგომა არასწორია და არ შეესაბამება ყაჩაღობის არსს, ვინაიდან არ შეიძლება აქტიური ძალადობის განმახორციელებელი პირის და სხვის უმწეო მდგომარეობაში ყოფნით მოსარგებლე დამნაშავეს ერთმანეთთან გათანაბრება.¹³⁷ თავდამსხმელი ამ დროს თავდასხმას არ ახორციელებს მსხვერპლზე მისი დაყაჩაღების მიზნით, არამედ იყენებს არსებულ მომენტს („ცდუნებას ვერ უძლებს“),¹³⁸ რაც არ შეესაბამება სსკ-ის 179-ე მუხლის რეალურ არსს.

¹³⁶ BGHSt 48, 365.

¹³⁷ Rengier, Strafrecht, Besonderer Teil I, § 7 Rn. 32;

¹³⁸ Habetha, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB, § 249 Rn. 22.

შედგის, მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის შემომ- 244
მება სსკ-ის 179-ე მუხლზე მსჯელობისას ზედმეტია. შედეგადრეშე დანა-
შაულებში ქმედების განხორციელებისთანავე დამთავრებულია. ამიტომ,
კაზუსის ამოხსნის დროს არ უნდა დაგვაბნიოს იმან, რომ უმეტეს შემთხ-
ვევაში, თავდამსხმელი მართლაც დაუფლებული იქნება სხვის ნივთს. ამა-
ზე ხაზგასმა მაინც არ უნდა მოხდეს, თორემ წარმოიქმნება ისეთი შთაბეჭ-
დილება, თითქოს ამ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის შედეგის დადგომა
იყო საჭირო.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ კაზუსში, 245
ჯერ ფორმალური დანაშაულის კრიტერიუმებით შემონმდება ა-ს მიერ
ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტი, მერე კი ცალკე ვიმსჯელებთ სსკ-ის 109-ე
მუხლის ფარგლებში მკვლელობასთან მიმართებით, მატერიალური დანა-
შაულის აგებულების შესაბამისად. ეს ორი დანაშაული თავისი არსით და
აგებულებით სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. მათი ერთმა-
ნეთში არევა დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა ფორმალური დანაშაულია, სრულიად 246
შესაძლებელია მისი **მცდელობაც**.¹³⁹ ფორმალური დანაშაული ნიშნავს
შედეგადრეშე დანაშაულს და არა მცდელობის ავტომატურად გამორიცხ-
ვას. მართალია, მუქარის დაწყებისთანავე, დანაშაული დამთავრებულად
ითვლება, მაგრამ შესაძლებელია, ისეთი სიტუაცია წარმოიქმნას, რომ
თავდამსხმელი მსხვერპლს ზურგიდან მიეპაროს და უყვიროდეს, მაგრამ
მსხვერპლს ეს მუქარა საერთოდ არ ესმოდეს, ვინაიდან ყურსასმენები
უკეთია და მუსიკას უსმენს. დამთავრებულ ყაჩაღობად ეს კაზუსი ვერ
შეფასდება. ძალადობის აღქმა პოტენციური მსხვერპლის მიერ საერთოდ
არ მომხდარა. დანაშაულის მომზადებად კვალიფიკაცია არ იქნებოდა
მართებული. თავდამსხმელი აშკარად გაცდა პირობების შექმნის ეტაპს
და გადავიდა ქმედების განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, მართე-
ბული იქნებოდა 19, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაცია - ყა-
ჩაღობის მცდელობა.¹⁴⁰

იგივე პარალელების გავლება შეიძლება სხვა მსგავს კაზუსთანაც, როდე- 247
საც პირი აპირებს სხვაზე თავდასხმა, მას მიეპარება დანით ხელში ზურ-
გიდან და ზუსტად ბოლო წამს წაიქცევა და ვერ მოიყვანს განზრახვას სის-
რულეში.

დამამძიმებელ გარემოებებზე სსკ-ის 177-178-ე მუხლების ფარგლებში 248
უკვე ვისაუბრეთ. სსკ-ის 179-ე მუხლი ამ თვალსაზრისით რამე თავისე-

¹³⁹ შეად. *ხარანაული*, კომენტარში: დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების
წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 94, აბზ. 48.

¹⁴⁰ მსგავს მოსაზრებას ავითარებს ასევე *ხარანაული*, კომენტარში: დვალიძე/ხარანაული/
თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 94, აბზ. 36.

ბურებებით არ გამოირჩევა. მათ ცალ-ცალკე და დეტალურად არ შევხვებით. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ცალკეულ ასპექტებზე კაზუსების მაგალითზე.

249 ყაჩაღობის დროს **ჯგუფურობა**, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ქურდობისა და ძარცვისგან განსხვავდება იმით, რომ არ არის აუცილებელი მაინცდამაინც წინასწარ შეთანხმება. სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტში მითითებულია ზოგადად ჯგუფურობაზე, რაც როგორც წინასწარი შეთანხმებით, ასევე მის გარეშე ჩადენილ ქმედებებს მოიცავს.

250 2020 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით 09:30 საათზე, თბილისში მდებარე ლომბარდში, დანიტ შეიარაღებული ა და ბ თავს დაესხნენ მოლარე-ოპერატორს, რა დროსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძაღადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვეს ფულადი თანხა, პოლიეთილენის ხუნდის გამოყენებით შეუკრეს ხელები და პირზე ააკრეს ნებოვანი ლენტი, რის შემდეგაც მარტივად შეძლეს სალაროდან თანხის დაუფლება და შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, ხოლო მოლარე-ოპერატორი დატოვეს დაბმული.¹⁴¹

251 ეს არის ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ერთ-ერთი სტანდარტული შემთხვევა. მართალია, ამ შემთხვევაში თავდამსხმელები წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, მაგრამ კვალიფიკაცია მაშინაც არ შეიცვლებოდა, თუ, მაგალითად, ჯერ ა დაიწყებდა მუქარას და ბ იქნებოდა იქვე მყოფი შემთხვევითი კლიენტი, რომელიც ჩაერთვებოდა სპონტანურად, ა-სთან შეთანხმებით, თავდასხმის პროცესში. თანამსრულებლის შემოერთება წინასწარი შეთანხმების გარეშე თავდასხმის დასრულებამდე არის შესაძლებელი.¹⁴²

252 სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევად ეს შემთხვევა ვერ დაკვალიფიცირდება. ლომბარდი ისედაც ღია იყო ყველა მომხმარებლისთვის და სარკმლიდან თანხის გადმონოდება თავდამსხმელისთვის ვერ ჩაითვლება შიგნით შეღწევად.

253 სპონტანურად განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი შემთხვევა:

2020 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 18:30 საათზე, თბილისში გადაადგილების დროს, ტაქსის მძღოლს, ა-ს ჯგუფურად, თავს დაესხა ორი მგზავრი - ბ და გ. ბ-მ ა-ს უკანა სავარძლიდან თავში ჩაარტყა ბოთლი, გ-მ კი ის გააკავა ავტომობილის ღვედით, რის შემდეგაც ა-ს დანისმაგვარი საგნის

¹⁴¹ სუსგ №664აპ-22.

¹⁴² *ცქიტისშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 59; *ებრაღიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 98.

დემონსტრირებითა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის, ყელის გამოჭრის მუქარით მოსთხოვა ფულის მიცემა. ა-ს მანქანიდან გადასვლის შემდეგ ბ და გ დაეუფლნენ ავტომობილში არსებულ ნივთებს-ოქროს ბეჭედს, ტელეფონს და თანხას.¹⁴³

ამ კაზუსში საინტერესო ფაქტი ის მომენტი, რომ მასში ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთება ბ-ს და გ-ს თავდაპირველი განზრახვა, ვინაიდან უშუალოდ დაზარალებულის ჩვენებითვე დგინდებოდა, რომ მანქანაში ჩასხდომის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ხელი დაადო მძღოლის გვერდით არსებულ ბარს, მძღოლმა კი მას ხელის აღება თხოვა, რადგან ხელს უშლიდა ავტომანქანის მართვაში. ამის გამო ბ და გ გახდნენ აგრესიულები და მერე განახორციელეს მასზე თავდასხმა. მაშასადამე, კაზუსიდან ზუსტად არ ჩანს, ეს ორი პირი დაგეგმილად მოქმედებდა თუ მერე წარმოეშვათ სპონტანური განზრახვა მძღოლისთვის ნივთების წართმევის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მათი ქმედება მაინც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობად დაკვალიფიცირდა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჯგუფურობისთვის წინასწარი შეთანხმება არ არის აუცილებელი.

254

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ყაჩაღობის სუბიექტური შემადგენლობაც ორი ელემენტისგან შედგება - განზრახვა და მიზანი. როგორც წესი, ამ დანაშაულის ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდება, მაგრამ არ არის გამორიცხული არაპირდაპირი განზრახვის არსებობაც (შეად. ქურდობის სუბიექტური შემადგენლობის კომენტარი). განზრახვა, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს. დამნაშავე, სულ მცირე, უნდა უშვებდეს იმის შესაძლებლობას და გულგრილად ეკიდებოდეს იმ ფაქტს, რომ სწორედ თავისი მუქარით შეაშინებს მსხვერპლს.¹⁴⁴ მიზანი კი ცალკე მონმდება დამნაშავის გადმოსახედიდან სხვისი ნივთის საბოლოო ბედთან დაკავშირებით.

255

ქურდობისა და ძარცვის მსგავსად, არც ყაჩაღობის შემთხვევაში წარმოიქმნება დანაშაულის ერთობლიობა მაშინ, როდესაც თავდამსხმელი დაგეგმილზე მეტ თანხას დაეუფლება (მაგ. საფულეს მიაყოლა მაჯის საათიც).¹⁴⁵ აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ საპირისპირო შემთხვევაშიც (ანუ ნაკლების ნაღებისას) კვალიფიკაცია არ შეიცვლება.

256

ა თავს დაესხა ბ-ს დანით 20 000 ლარის წართმევის მიზნით. ბ-ს თან არ აღმოაჩნდა ეს თანხა და ა-მ მხოლოდ 2000 ლარი მიიღო.

257

¹⁴³ სუსგ №382აპ-22.

¹⁴⁴ შეად. Wittig, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB, § 249 Rn. 19.

¹⁴⁵ შეად. Heger, კომენტარებში: Lackner/Kühl/Heger, StGB, § 249 Rn. 5.

258 ა-ს დანაშაული შეფასდება სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვე-პუნქტით. ის დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლების მიზნით მოქმედებდა. ვინაიდან ყაჩაღობა თავდასხმის დაწყებისთანავე დამთავრებული დანაშაულია, კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს საბოლოოდ მიყენებული ზიანის ოდენობა.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

259 მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ელემენტები განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა და ისინი სსკ-ის 179-ე მუხლის ფარგლებში სტანდარტულად მოწმდება.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

260 თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის შერაცხვის პრობლემატიკა წარმოიშობა დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დასრულებას შორის ეტაპზე. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

ა-მ ფიზიკურად იძალადა ბ-ზე, მას დანით ჭრილობა მიაყენა და ტელეფონი წაართვა. ბ-მ მაინც მოახერხა და გააგრძელა წინააღმდეგობის განწევა. ის ტელეფონის უკან დაბრუნებას ცდილობდა და ა-ს გაეკიდა. ამ დროს პროცესში, ა-სთან შეთანხმებით, სპონტანურად ჩაერთო იქვე მყოფი გ. მან ბ ფიზიკური ძალის გამოყენებით შეაკავა და არ მისცა ა-ზე თავდასხმის საშუალება. საბოლოოდ, ა-მ მოახერხა გაქცევა და ტელეფონის წაღება. გ-ც ასე მოიქცა.

261 ა-ს მიერ განხორციელებული ყაჩაღობა დამთავრებული დანაშაულია ბ-ზე თავდასხმის მომენტიდანვე. ანუ, როდესაც გ ჩაერთო პროცესებში, ყაჩაღობა ფორმალურად დამთავრებული დანაშაული იყო. სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს უკვე ფორმალურად დამთავრებული დანაშაულის თანაამსრულებლად ან დამხმარედ გ?

262 ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს განმარტება. კერძოდ, სასამართლოს აზრით, მესამე პირი მაინც შეიძლება დაისაჯოს როგორც თანაამსრულებელი ან თანამონაწილე, თუ ეს პირი გაცნობიერებულად ჩაერთო პროცესებში. ანუ, მან იცოდა მანამდე განხორციელებული ქმედებების შესახებ. მაშასადამე, მისი თანხმობა მანამდე განხორციელებულ თავდასხმასაც (ყაჩაღობას) მოიცავს თავიდან ბოლომდე, როგორც ერთიან უმართლობას.¹⁴⁶ ეს მიდგომა შეგვიძლია გადმოვიტანოთ ქართულ სისხლის სამართალზეც. მართალია,

¹⁴⁶ BGHSt 2, 346.

ფორმალურად, ა-ს უკვე განხორციელებული ქონდა სსკ-ის 179-ე მუხლის შემადგენლობა, მაგრამ საბოლოოდ, ის არ ბატონობდა ბ-ს ტელეფონზე. ნივთზე ბატონობის დაფუძნების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და სწორედ ამ პროცესში ჩაერთო გაცნობიერებულად და მასთან შეთანხმებით გ.¹⁴⁷

აღნიშნულ კაზუსთან მიმართებით აუცილებლად სამსჯელია ასევე ა-ს მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით. კერძოდ, უნდა შევრაცხოთ თუ არა ამ დანაშაულთან მიმართებითაც გ-ს თანაამსრულებლობა ან თანამონაწილეობა, ვინაიდან ჯანმრთელობის დაზიანება ცალკე უმართლობაა? ამას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. ფორმალურადაც და მატერიალურადაც ჯანმრთელობის დაზიანება უკვე დამთავრებული იყო. პროცესებში ჩართვა გ-ს მხრიდან არანაირ დამატებით გავლენას ახდენს დაზარალებულის ჯანმრთელობაზე. ყაჩაღობის დროს კი ნივთის დაუფლების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, გ მხოლოდ ყაჩაღობასთან მიმართებით დაისჯება როგორც თანაამსრულებელი ან დამხმარე.¹⁴⁸ საკითხი, ის კონკრეტულად დამხმარეა თუ თანაამსრულებელი, კაზუსის დამატებითი დეტალებიდან გამომდინარე და ასევე დასაბუთების მიხედვით, ინდივიდუალური გადაწყვეტის საგანია.

263

6. მიმართება სხვა მუხლებთან

ძარცვისა და ყაჩაღობის გამიჯვნაზე უკვე ვისაუბრეთ. ამიტომ, ამ საკითხს არ მივუბრუნდებით. ყურადღება უნდა მივაქციოთ სსკ-ის 181-ე მუხლისგან (გამოძალვა) განსხვავებას, ვინაიდან მასშიც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხერხად ძალადობაა ნახსენები. განსხვავება მუქარის რეალიზების საფრთხის მიხედვით ხდება. ყაჩაღობის დროს მუქარა იმნუთიერია,¹⁴⁹ ანუ მსხვერპლს იმნუთიერი საფრთხით თრგუნავს დამნაშავე, ხოლო გამოძალვის შემთხვევაში მუქარა მომავლისკენაა მიმართული.

264

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დანაშაულის ერთობლიობის საკითხი. მაგალითად, ყაჩაღობის დროს მკვლელობის ჩადენისას სსკ-ის 179-ე მუხლთან ერთად მოხდება სსკ-ის 109-ე მუხლის გამოყენება ერთობლიობით (დანაშაულის გაადვილების მიზანი, ანგარების მოტივი და სხვ.),

265

¹⁴⁷ მართალია, არა ზუსტად ამ კაზუსზე, მაგრამ მსგავს სიტუაციაზე განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს *მჭედლიშვილი-ჰედრისი*, რომელიც მეორე პირის ქმედებას ძარცვად აფასებს, ვინაიდან, მისი შეფასებით, ფორმალურად ყაჩაღობა უკვე დამთავრებული იყო ა-ს მიერ თავდასხმის დაწყებისთანავე - ზოგადი ნაწილი II, 168, 171.

¹⁴⁸ დაწვრ. იხ. *Rengier, Strafrecht* BT I, § 7 Rn. 44 ff.

¹⁴⁹ *ლეკვიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 56.

ვინაიდან სსკ-ის 179-ე მუხლი არ მოიცავს სხვისი სიცოცხლის ხელყოფას.

- 266** იგივეს თქმა შეიძლება ჯანმრთელობის დაზიანებასთან მიმართებითაც. მართალია, დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხერხი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ჩადენაა, მაგრამ ეს არ გულისხმობს მაინცდამაინც შედეგის დადგომას ჯანმრთელობის ხელყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, ნებისმიერი ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის დამნაშავე დამატებით შესაბამისი ნორმით უნდა მიეცეს პასუხისგებაში, იქნება ეს მსუბუქი, ნაკლებად მძიმე თუ მძიმე დაზიანება. ამით კვალიფიკაციაში განხორციელებული ორი სხვადასხვა უმართლობა, საკუთრების ხელყოფა და ჯანმრთელობის დაზიანება, ნათლად იქნება ასახული.
- 267** იგივეს თქმა შეიძლება გაუფრთხილებლობით დამდგარ შედეგთან მიმართებითაც. მაგალითად, ძალადობის პროცესში როდესაც თავდამსხმელს შემოაკვდება მსხვერპლი, წარმოიშობა დანაშაულის ერთობლიობა სსკ-ის 179-ე და 116-ე მუხლებს შორის. შემთხვევით მსხვერპლის ჯანმრთელობის მსუბუქად დაზიანებისას კი ასეთი ერთობლიობა არ გვექნება, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას საერთოდ არ ცნობს დანაშაულად. შესაბამისად, კვალიფიკაციისას მხოლოდ სსკ-ის 179-ე მუხლით შემოვიფარგლებით.
- 268** დანაშაულის ერთობლიობა წარმოიქმნება ყაჩაღობის ჩადენისას სხვისი ქონების დაზიანების დროსაც.¹⁵⁰ მაგალითად, ბინაში უკანონოდ შეღწევისას კარების შემტვრევა თუ მოხდება და მერე ბინის პატრონის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ფორმით დამუქრება, რათა მან თავდამსხმელს მისცეს ძვირფასი ნივთები, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობის კვალიფიკაციას სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების კვალიფიკაციაც დაემატება (სსკ მუხ. 187).

¹⁵⁰ *ებრალიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 97.*

4. თაღლითობა (სსკ მუხ. 180)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

269

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი

- ობიექტი

საკუთრება, კერძოდ სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება (დანაშაულის საგანი)

- ქმედება

მოტყუებით დაუფლება

- შედეგი

- მიზეზობრივი კავშირი

- ობიექტური შერაცხვა

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

- მიზანი

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, აქამდე განხილული, სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, თაღლითობა ისეთი დანაშაულია, რომლის დროსაც მსხვერპლი თავისივე შეცდომიდან გამომდინარე, საკუთარი ნებით გადასცემს დამნაშავეს ნივთს ან ქონებრივ უფლებას. ხშირ შემთხვევაში, ზიანის დადგომა უშუალოდ მსხვერპლის მხრიდან არარეალური მოლოდინებიდან და სიხარბიდან გამომდინარეობს, ვინაიდან მას სჯერა სხვისი დაპირების, რომ თუ მაგალითად, ჩადებს რაღაც სხვის ბიზნესში ინვესტიციას, უცებ დიდ თანხას მიიღებს მოგების სახით. ამიტომ, ჩნდება კითხვა, საერთოდ იმსახურებს თუ არა ასეთი მსხვერპლი სისხლისსამართლებრივ დაცვას?¹⁵¹ მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა სწორი, თუნდაც

270

¹⁵¹ Heinrich, წიგნში: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 20 Rn. 4.

ხარბი მსხვერპლის სისხლისსამართლებრივად დაუცველად დატოვება და მისი საკუთრების მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ანაზღაურების იმედად დატოვება. მსგავსი რეაგირება არ იქნებოდა საკმარისი მომავალი თაღლითობების პრევენციის თვალსაზრისით.¹⁵² გარდა ამისა, არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ყველა მსხვერპლი არ არის საკუთარი სიხარბის გამო დაზარალებული და სხვა პირი უბრალოდ მისი ნდობით სარგებლობს.

- 271** სსკ-ის 180-ე მუხლის დანიშნულება არ არის ზოგადად მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს გაცდებოდა სისხლის სამართლის მიზნებს, ვინაიდან სამართლის მიზანი არ არის მორალური სტანდარტების უზრუნველყოფა. ნორმა ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სწორედ მოტყუების შედეგად მოხდება სხვისი საკუთრების უფლების ხელყოფა.¹⁵³
- 272** დანაშაულის **ამსრულებელი** ზოგადია (საერთო სუბიექტი). კანონი არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმას, გარდა მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტისა (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება). **ობიექტი** კი არის საკუთრება, კერძოდ სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება. ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის შემადგენლობაში საუბარი არის სხვის მოძრავ ნივთზე, აქ კი ასეთი დაკონკრეტება არ გვხვდება. თაღლითობის გზით შესაძლებელია როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთების დაუფლება. მაგალითად, ერთმა პირმა შეიძლება მეორე პირს მოტყუების გზით თავის სახელზე გადმოაფორმებინოს ბინა, ანუ ამ გზით მან მიიღოს სხვის უძრავი ნივთზე უფლება.¹⁵⁴
- 273** თაღლითობისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანია მოტყუება, როგორც სხვისი ქონების დაუფლების ხერხი. **ქმედება** სწორედ **მოტყუებაში** გამოიხატება, იქნება ეს აქტიური თუ პასიური ფორმით. სწორედ ამ მოტყუების საფუძველზე გადასცემს დაზარალებული თავის ქონებას ან ქონებრივ უფლებას დამნაშავეს. სსკ-ის 177-179-ე მუხლების შემთხვევაში კი საკუთრების ხელყოფა მისი ნების სანინააღმდეგოდ ხდება.
- 274** კანონმდებელი არ აკონკრეტებს, მაინცდამაინც ადამიანი უნდა იქნას მოტყუებული თუ თუნდაც მაგალითად, რამე ავტომატური მონყობილობა (ბანკომატი და ა.შ.), მაგრამ, აზრობრივად, მაინც უფრო ადამიანი მოიაზრება მოტყუების ადრესატად,¹⁵⁵ რომელიც სწორედ ტყუილის საფუძველზე, საკუთარი გაცნობიერებული ნებით გაცემს ქონებას ან მასზე უფლებას. ბანკომატიდან ან სხვა აპარატიდან მოტყუებით სხვისი ქონების დაუფლების დროს სხვა შემადგენლობებზე მოგვიწევს მსჯელო-

¹⁵² Heinrich, წიგნში: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT, § 20 Rn. 4.

¹⁵³ შეად. Schramm, Strafrecht BT II, § 7 Rn. 1.

¹⁵⁴ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 64.

¹⁵⁵ ცქიტიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 174.

ბა (ქურდობა, საკრედიტო ბარათის უკანონოდ გამოყენება და ა.შ.).¹⁵⁶

აქტიური მოტყუება გულისხმობს გაცნობიერებულად მსხვერპლისთვის ცრუ ან დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო პასიური კი ინფორმაციის დამალვას, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო.¹⁵⁷ თუმცა, პასიური მოტყუება, ფაქტიურად უმოქმედობით ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს, რაც კვალიფიკაციის დროს აუცილებლად გვაყენებს იმ საჭიროების წინაშე, რომ პირი, სსკ-ის მერვე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, მსხვერპლის სამართლებრივი გარანტი უნდა იყოს და მას ასევე უნდა შეეძლოს მოქმედების განხორციელება.¹⁵⁸ სხვა შემთხვევაში უმოქმედობით ჩადენილი თაღლითობისთვის დასჯა გამორიცხულია.

275

მაგალითად, შეცდომით გადარიცხული თანხის გატანა ანგარიშიდან ვერ მოგვცემს თაღლითობის შემადგენლობას, ვინაიდან ამ დროს პირს არავინ შეყავს შეცდომაში.¹⁵⁹ მას ვერც უმოქმედობაში დავდებთ ბრალს (შეუტყობინებლობა ბანკისთვის), ვინაიდან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მაშინ ის უნდა ყოფილიყო მსხვერპლის მიმართ სამართლებრივი გარანტი, რაც მოცემული კაზუსიდან არ ჩანს. შესაბამისად, თანხის ამოღება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი წესების საფუძველზე.

276

აქტიური მოტყუების გზით ჩადენილი თაღლითობის მაგალითები შეგვიძლია განვიხილოთ ქვემოთ სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითების სახით:

277

2020 წლის აგვისტო-სექტემბერში, ა სხვისი კუთვნილი ნივთის მოტყუებით დაუფლების მიზნით, შეუთანხმდა ბ-ს, რომ მას აუშენებდა საცხოვრებელ სახლს და რამდენიმე ეტაპად ფულადი თანხა გამოართვა, ჯამში 4900 ლარის ოდენობით, თუმცა, ა-ს ბ-სთვის საცხოვრებელი სახლი არ აუშენებია და არც გადაცემული თანხა დაუბრუნებია უკან.¹⁶⁰

ა-ს ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა, ვინაიდან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. თუმცა, მსგავსი კაზუსები ყოველთვის არ შეფასდება დანაშაულად. შესაძლებელია, რომ ობიექტურად მოტყუებას არც კი ქონია ადგილი და მშენებელი მართლაც აპირებდა სახლის აშენებას, თუმცა, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, ფულის გამორთმევის შემდეგ ვერ მოახერხა ეს. ასეთ შემთხვევაში გვექნება სამოქალაქოსამართლებრივი დავა და მას

278

¹⁵⁶ *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 175.

¹⁵⁷ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი 1, ნან. 2, 64.

¹⁵⁸ შეად. *დვალაძე/თუმანიშვილი*, კომენტარში: *დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 122, აბზ. 6.

¹⁵⁹ *Fischer, Strafgesetzbuch*, § 263 Rn. 41; დაწვრ. სხვადასხვა მოსაზრებასთან დაკავშ. იხ. *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 164 და შემდეგი.

¹⁶⁰ სუსგ №445აპ-23.

მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოუწევს.

279 სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტების გამიჯვნის მაგალითია შემდეგი საქმე:¹⁶¹

პროკურატურამ ა-ს წაუყენა ბრალდება შემდეგი შინაარსით: ა-მ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებოდა ბ-ს დიდი ოდენობით ფულად თანხას. ამ მიზნით, ნდობის მოპოვების შემდეგ, მან დაარწმუნა ბ, რომ თითქოს ქალაქის ბაზრობის ადმინისტრაციაში ჰყავდა ნაცნობები და 10000 აშშ დოლარი ჩაედო სასურსათო ბიზნესში, საიდანაც მიიღებდა სოლიდურ მოგებას. 2016 წლის მაისში, ბ-მ 10000 აშშ დოლარი (მოქმედი კურსით 21 146 ლარი) ხსენებული მიზნით გადასცა ა-ს, რაც მან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

280 საბოლოოდ, ა მაინც გამართლდა წაყენებულ ბრალდებაში, იმ დასაბუთებით, რომ არ იკვეთებოდა მისი მხრიდან მოტყუების ფაქტი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა მოტყუების ნიშნები და ბ-ს კუთვნილი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. ეს დასკვნა თუნდაც საქმეში მტკიცებულების სახით არსებული წერილიდან და თანდართული ცხრილიდან გამომდინარე გაკეთდა, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ 2017-2018 წლებში, ა-ს ბ-ს საბანკო ანგარიშზე გადარიცხული ქონდა სხვადასხვა ოდენობის თანხა (ანუ ა რამდენიმე თვის განმავლობაში მოგებას ურიცხავდა). საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ის ფაქტი, რომ ა-ს ქმედებაში არ არსებობდა მოტყუებისა და დაზარალებულის კუთვნილი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, ცხადყოფს, რომ სახეზეა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა და არა დანაშაული.¹⁶² აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ა და ბ გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობდნენ. ასევე, ერთ-ერთ მტკიცებულებაში, კერძოდ აუდიოჩანაწერში ა ბ-ს პირდებოდა თანხის დაბრუნებას, მაგრამ, სასამართლოს აზრით, ეს ადასტურებდა მხოლოდ მის მიმართ ვალის არსებობას და ირიბადაც კი არ მიანიშნებდა ბ-ს კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებაზე, რაც სსკ-ის 180-ე მუხლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.¹⁶³

281 თაღლითობის განხორციელება ხდება არა მხოლოდ სიტყვიერი ფორმით, არამედ, ხშირად, სხვადასხვა გაყალბებული დოკუმენტის გამოყენებითაც, რათა დამნაშავეებმა უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინონ ტყუილს და

¹⁶¹ სუსგ №225აპ-23.

¹⁶² სუსგ №225აპ-23 აბზ. 10. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინების ამ მონაკვეთში ნახსენებია „სისხლის სამართლის დანაშაული“, რაც ტერმინოლოგიურად არ არის მართებული. დანაშაული ისედაც ყოველთვის სისხლისსამართლებრივ დარღვევას გულისხმობს და დამატებითი მითითების გაკეთება ზედმეტია.

¹⁶³ სუსგ №225აპ-23 აბზ. 7, 8.

მარტივად დაათმობინონ მსხვერპლს საკუთარი ქონება ან ქონებრივი უფლება. ასეთ შემთხვევებში დანაშაულის ერთობლიობის საკითხი წამოიჭრება 362-ე მუხლთან (ყალბი დოკუმენტის დამზადება ან გამოყენება). დანაშაულის ერთობლიობა სსკ-ის 180-ე და 362-ე მუხლებს შორის გვექნება როგორც თაღლითის მიერ ყალბი დოკუმენტის დამზადების, ასევე სხვის მიერ დამზადებული დოკუმენტის გამოყენების დროსაც.¹⁶⁴ მართალია, ერთი შეხედვით, მოტყუება ისედაც თაღლითობის კონსტრუქციული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყალბი დოკუმენტის დამზადებით ან გამოყენებით, რაც რეალურად მის მიმოქცევაში ჩაშვებას გულისხმობს, დამნაშავე დამატებით საფრთხეებს ქმნის მმართველობის წესის ნორმალური ფუნქციონირების თვალსაზრისით.¹⁶⁵ თაღლითობის აუცილებელი ნიშანი კი არის მოტყუება, მაგრამ აუცილებელი ნიშანი არ არის მაინცდამაინც ყალბი დოკუმენტების გამოყენება ან დამზადება. შესაბამისად, მსგავსი ქმედებები თავისთავად არ მოიაზრება სსკ-ის 180-ე მუხლის შიგნით და დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს ყოველ ჯერზე.

მოტყუება, ანუ მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა, შესაძლოა განხორციელდეს არაინდივიდუალიზებული ფორმითაც, მაგალითად ტელევიზიაში ან ინტერნეტში რეკლამის გაშვებით ან მეილების გაგზავნის სახით, რომლებიც პირთა განუსაზღვრელი წრისათვის არის განკუთვნილი.¹⁶⁶ რა თქმა უნდა, შემდეგ ეტაპზე ხდება დაზარალებულების დაკონკრეტება და მხოლოდ ასეთი ინფორმაციის გავრცელება არ არის საკმარისი დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის.

282

თაღლითობის საინტერესო მაგალითია ერთ-ერთი საქმე¹⁶⁷ გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან, რომლის არსიც მდგომარეობდა შემდეგში:

283

რამდენიმე ექიმმა, წინასწარი შეთანხმებით დაარწმუნა პაციენტები, რომ მათი ავადმყოფობა დედამიწის გამოსხივების ბრალი იყო და მათი განკურნება შესაძლებელი იყო დამცავი აპარატებით. ამის გამო, მათ პაციენტებს რამდენიმე სრულიად უსარგებლო აპარატი მიყიდეს, რომლის არაეფექტურობის შესახებ ექიმები ინფორმაციას ფლობდნენ.

ქართული სისხლის სამართლის გადმოსახედიდან ეს კაზუსი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობად შეფასდება (მუხ. 180 ნაწ. 2, ქვეპ. ა, ნაწ. 3, ქვეპ. ა), ვინაიდან ექიმებმა ისარგებლეს პაციენტების ნდობით და მოტყუების გზით მიიღეს შემოსავალი. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად

284

¹⁶⁴ განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებენ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 65.

¹⁶⁵ იხ. მაგ. სუსგ №94აპ-23. ამ საქმეში ორმა პირმა, სხვის მიერ დამზადებული ყალბი ცნობა შეიძინა და გამოიყენა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული თაღლითობის ჩადენისას.

¹⁶⁶ *Gaede*, კომენტარებში: *Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB*, § 263 Rn. 12.

¹⁶⁷ BGHSt 13, 233.

დაუჯერებელ ინფორმაციას იყენებენ ისინი ქმედების განხორციელებისას. სულ რომ არავის დაეჯერებინა იმ რამდენიმე პაციენტის გარდა ამ აპარატების ეფექტურობის შესახებ, ვინაიდან ობიექტური გადმოსახედიდან ეს აშკარად სისულელე იყო, ისინი და მათი საკუთრება მაინც დაცულეები არიან სისხლისსამართლებრივად.

285 სამართლებრივი შეფასება იცვლება რადიკალურად, როდესაც თვითონ ექიმებსაც ექნებოდათ აღნიშნული აპარატების ეფექტურობის იმედი. მაშინ გამოდის, რომ მათ არ ამოძრავებდათ სხვების მოტყუების მიზანი. შესაბამისად, ისინი საერთოდ არ დაისჯებოდნენ.

286 თაღლითობის შემადგენლობას არ მოგვცემს ე.წ. გაბერილი ან თუნდაც იმნუთიერად შეცვლილი ფასებიც. მაგალითად, ავიაბილეთის ყიდვის დროს, სრულიად ნორმალური მოვლენაა, რომ ზუსტად ერთსა და იმავე რეისზე ბილეთები რადიკალურად განსხვავებულ ფასებში იყიდებოდა. ეს დამოკიდებულია იმ ალგორითმებზე, რომლებიც ონლაინ დაჯავშნის პროცესის დროს ბევრ ფაქტორს ითვალისწინებენ (მყიდველის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მოთხოვნის ოდენობა საიტზე, სეზონი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ავიაკომპანიას/მის წარმომადგენელს ვერ დავებთ ბრალს თაღლითობაში, თუ ერთმა მგზავრმა ბილეთში 1000 ლარი გადაიხდა და მეორეს კი 1500 ლარის გადახდა მოუწია. მსგავსი სხვაობა სრულიად მიღებულია ასეთ სპეციფიურ სფეროებში. იგივეს თქმა შეიძლება სასტუმროების ჯავშანზეც, რომლის ფასებიც სულ მერყეობს.

287 პერიოდულად, საქართველოში აქტუალური ხდება კლუბებსა თუ რესტორნებში უცხოელი ტურისტების მოტყუების ფაქტები, როდესაც ისინი სხვადასხვა ხერხით შეცდომაში შეყავთ და ასტრონომიულად გაზრდილი ფასების გადახდას თხოვენ, მაგალითად, სასმელებში, რისი მოლოდინიც სტუმარს საერთოდ არ ქონია. საუბარია ასეულობით ლარის გადახდაზე ერთ სასმელში, რომელიც სინამდვილეში ბევრად ნაკლები ღირს. რა თქმა უნდა, ნებისმიერ დანესებულებას აქვს უფლება, დაადგინოს ფასები და თუ ეს წინასწარ ცნობილია მომხმარებლისთვის, მაშინ ის რაც არ უნდა ძვირი იყოს, რესტორნის მეპატრონეს ვერ მოვთხოვთ პასუხს. კლიენტს უბრალოდ შეუძლია არ ისარგებლოს კონკრეტული რესტორნის სერვისით.

288 ამისგან განსხვავებით, პრობლემას ქმნის ე.წ. დამალული ფასები, როდესაც მომხმარებელი განზრახ შეცდომაში შეყავთ მენიუში დაბალი ფასის ჩვენებით და შემდეგ კი ბევრად მეტს ახდევინებენ. საავიაციო ან სასტუმროების სფეროსგან განსხვავებით, ასეთი იმნუთიერი ფასის ცვლილებები არ არის დამახასიათებელი სარესტორნო ბიზნესისთვის. ერთი ფასის ჩვენება, ამის საფუძველზე ვინმეს შეცდომაში შეყვანა, მომსახურების განევა და მერე სრულიად განსხვავებული თანხის მოთხოვნა წინასწარ

დაგეგმილი სცენარის მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა.¹⁶⁸

ერთ-ერთ საქმეში დადგინდა, რომ პირებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული სქემის შესაბამისად, კერძოდ: აღნიშნულ პირებთან შეთანხმებულ ე.წ. პრომო გოგონებს უცხოელი ტურისტები მიჰყავდათ ბარში, რა დროსაც კლიენტთან შეუთანხმებლად უკვეთავდნენ დიდი რაოდენობის ძვირადღირებულ სასმელს და საკვებს, რომელიც რეალურად არ მიჰქონდათ მომხმარებელთან. ასევე, ანგარიშსწორებისას სტუმარს მიწოდებულ მომსახურებასთან შეუსაბამო დიდი ოდენობით თანხას უანგარიშებდნენ და მის გადახდას აიძულებდნენ.¹⁶⁹

289

თაღლითობასთან მიმართებით პრაქტიკაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფულის სესხების დროს მოტყუების დადგენის პრობლემა. გამსესხებლისთვის ფულის არდაბრუნების შემთხვევაში ავტომატურად ვერ ვიტყვით, რომ მსესხებელი თაღლითია და ის სისხლისსამართლებრივი წესით უნდა დაისაჯოს. სამწუხაროდ, კონკრეტული რეცეპტის მოფიქრება მოტყუების ფაქტის დასადგენად, შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლო ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს ფულის სესხების წინაპირობებს, რომლებიდანაც აშკარად უნდა იკვეთებოდეს მოტყუების ფაქტი.

290

შესაძლოა, მსესხებელს ფულის აღების შემდეგ შეექმნას პრობლემები და ამიტომ ვერ დააბრუნოს თანხა. ასეთ დროს ის არ არის თაღლითი. რაც არ უნდა უტოპიური ბიზნეს გეგმა და ჩანაფიქრი ქონდეს მსესხებელს და ამის გამო სესხულობდეს ფულს, ობიექტურად ის არ იტყუება და მას სჯერა თავისი გეგმის. მისგან ფულის ამოღება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი წესით მოხდება. ამის საპირისპიროდ, მოტყუების ფაქტის დასადგენად შეიძლება გამოდგეს ის, რომ მსესხებელმა თავიდანვე არამიზნობრივად გახარჯა თანხა, საერთოდ არც კი უცდია ბიზნესის დაწყება და ა.შ. რაც ობიექტური გადმოსახედიდან ქმნის მისი მხრიდან მოტყუების შთაბეჭდილებას.

291

თაღლითობის კიდევ რამდენიმე მაგალითი შეგვიძლია ვახსენოთ: ადვოკატის მიერ კლიენტისთვის დაპირების მიცემა, რომ აუცილებლად მოიგებს საქმეს, მაშინ, როდესაც წინასწარ არავინ იცის, როგორ გადანყვეტილებას მიიღებს მოსამართლე. მაგრამ, თუ ადვოკატი მოსამართლის მოქრთამვას აპირებს და ამის გამო იძლევა დაპირებას, მაშინ ის ვერ დაისჯება თაღლითობისთვის, ვინაიდან ის თავისი გადმოსახედიდან არ იტყუება. აქ

292

¹⁶⁸ <https://bm.ge/news/tbilisis-kafe-barebshi-turistebistvis-tanxis-tagliturad-gamodalvis-faqtebi-gamovlinda---shss/91538> (ნანახია 8.8.2023).

¹⁶⁹ <https://mtavari.tv/news/57585-taghitoba-promo-gogonebis-dakhmarebit> (ნანახია 8.8.2023).

უკვე ქრთამის მიცემის შემადგენლობაზე იქნება სამსჯელო, რაც ცდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წრეს. თაღლითობის კიდევ ერთი მაგალითია ყალბი საბუთების გამოყენებით სოციალური დახმარების მიღება და ა.შ.¹⁷⁰

293 თაღლითობა მატერიალური შემადგენლობაა და შესაბამისად, მოითხოვს **შედეგის** დადგომას საკუთრების ხელყოფის სახით. საუბარია არა მაინც-დამაინც ზიანის დადგომაზე, არამედ, ზოგადად, სხვისი საკუთრების უფლების ხელყოფაზე.¹⁷¹ შედეგის დადგომის გარეშე, დანაშაულის მომზადება ან მცდელობა გვექნება. სსკ-ის 180-ე მუხლზე მსჯელობის დროს უნდა დადგინდეს, რომ პირის ქონებიდან მოხდა სხვის მიერ ნივთის ამოღება ან ამ ნივთზე ქონებრივი უფლების მოპოვება. ეს კი მიზეზობრივად სწორედ ტყუილს უნდა ეფუძნებოდეს. ანუ, აუცილებელია **მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის** დადგენა მოტყუებასა და შედეგს შორის. წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი:

ა-მ გადაწყვიტა ბ-ს მოიტყუება და მისგან 1000 ლარის სესხება, რომლის დაბრუნებას საერთოდ არ აპირებდა. ის მივიდა ბ-სთან და უთხრა, ფული მასესხე და ორ კვირაში უკან დაგიბრუნებო. სინამდვილეში ბ ისედაც აპირებდა მისთვის ამ თანხის სესხებას, ვინაიდან გაგებული ქონდა მისი ფინანსური პრობლემების შესახებ და დახმარების განევა თავისივე ინიციატივით სურდა. ამიტომ მას თანხა მაშინათვე მისცა.

294 ა-ს ქმედება ვერ შეფასდება თაღლითობად, ვინაიდან, სულ მცირე, მიზეზობრივი კავშირის პრობლემა იქმნება მოტყუებასა და ფულის სესხებას შორის. ა-ს რომც არ მოეტყუებინა ბ, ის თანხას მაინც მისცემდა ზუსტად იმავე დროს (შეად. სსკ მუხ. 8 ნაწ. 2). აქედან გამომდინარე, მას მხოლოდ თაღლითობის მცდელობისთვის თუ დავაკისრებთ პასუხისმგებლობას.¹⁷²

295 ა დაპირდა ბ-ს, გ-ს თუ მოკლავ, 10 000 ლარს გადაგიხდით. მან ბ მოატყუა. ის თანხის გადახდას თავიდანვე არ აპირებდა. შეიძლება თუ არა ა-ს დასჯა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის?

296 მკვლელობის დაკვეთის გამო, პირველ რიგში, სსკ-ის 109-ე მუხლზე უნდა ვიმსჯელოთ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ ბ-ს მოტყუების კონტექსტი უფრო გვაინტერესებს და ამიტომ მასზე შევჩერდებით. დასაბუთების მიხედვით, ჰიპოთეტურად სსკ-ის 180-ე მუხლის გარდა, 185-ე მუხლზეც შეიძლება

¹⁷⁰ დამატებით მაგალითები შეგიძლიათ იხ. *თოდუა*, კრებულში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი 60, 19 და შემდეგი.

¹⁷¹ შეად. ასევე *ცქიტისვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 129, 134 და შემდეგი, სადაც თაღლითობაზე, როგორც შედეგზე ორიენტირებულ დანაშაულზეც არის საუბარი.

¹⁷² *დვალაძე/თუმანიშვილი*, კომენტარში: დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 124, აბზ. 10.

მსჯელობა (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით), მაგრამ ორივე შემთხვევაში, ა-ს პასუხისმგებლობა ბ-ს ქონების ხელყოფის ქრილში მინც გამოირიცხება, ვინაიდან ის ქმედება, რომელიც ბ-მ განახორციელა, მართლწესრიგს მიღმა დგას და მას არ აქვს თანხის მოთხოვნის უფლება. ასეთი მიდგომა გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ თავის პრაქტიკაშიც გაამყარა და ამით ზიანის საკითხის შეფასება წმინდა ქონებრივ საკითხს მიღმა მოახდინა.¹⁷³

ა-ს რომ ბ-სთვის ყალბი ფულითაც რომ გაესწორებინა ანგარიში, ბ-ს მინც არ ექნებოდა ზემოთ ნახსენები სამართლებრივი არგუმენტაციიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება. ა-ს სულ სხვა დანაშაულისთვის, ყალბი ფულის გავრცელებისთვის თუ დავსჯივით (სსკ მუხ. 212).¹⁷⁴ იმავე ლოგიკით, ვერ დავსჯით სექს-მუშაკისთვის კლიენტის მიერ ფულის არგადამხდელ კლიენტსაც, ვინაიდან პროსტიტუცია ქართული კანონმდებლობით არალეგალური ქმედებაა.

297

ახლა შევატრილოთ დაკვეთილი მკვლელობის კაზუსი და წარმოვიდგინოთ, რომ ბ-მ ა-ს მოაჩვენა თავი კილერად და მოტყუებით გამოართვა ფული. სინამდვილეში კი საერთოდ არავის მოკვლას აპირებდა. დაისჯება თუ არა ბ თაღლითობისთვის?

298

პრობლემას და განსხვავებულ შეფასებებს ამ კაზუსთან მიმართებით ერთი მხრივ ის ინვეს, რომ საუბარია არალეგალური ქმედების დაკვეთის გამო ფულის დაკარგვაზე და იმაზე, თუ რამდენად იმსახურებს ასეთ დროს სხვისი ქონება სისხლისსამართლებრივ დაცვას, მაგრამ ამავდროულად, არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ ფული ა-ს საკუთრებაა და მისი ხელყოფა მოტყუების გზით მოხდა. მას ქონებრივი ზიანი მიადგა. იმისათვის, რომ ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი ვაკუუმი არ წარმოიშვას და მსგავსი თაღლითები საერთოდ დაუსჯელნი არ დარჩნენ, ბ მინც უნდა დაისაჯოს. სხვა შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ ნებისმიერი პირი, ვინც სხვას, მაგალითად, იარაღის უკანონო მიყიდვას ან ნარკოტიკებს დაპირდებოდა და სანაცვლოდ ფულს გამოართმევდა, მთლიანდ სისხლისსამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩებოდა.¹⁷⁵ ასეთი მიდგომა, ფაქტიურად, წინასწარი ცდუნება იქნებოდა ნებისმიერი ადამიანისთვის, მოეტყუებინა სხვა და ამ გზით გამოემუშავებინა ფული.¹⁷⁶

299

¹⁷³ BGH NStZ 2001, 534.

¹⁷⁴ დანვრ. შეად. Rengier, Strafrecht BT I, § 13 Rn. 152 ff.

¹⁷⁵ გერმანული სასამართლო პრაქტიკით, ასეთ შემთხვევებში, ცრუ დაპირების გამცემი თაღლითობისთვის აგებს პასუხს. იხ. მაგ. BGH NStZ 2002, 33. ამ საქმეში ერთი პირი თანამზრახველთან ერთად დაპირდა სხვა პირს, რომ თანხის სანაცვლოდ ვითომ ნარკოტიკს მიყიდდა. შემდეგ კი ფული გამოართვა და გაიქცა. ეს დაკვალიფიცირდა ჯგუფურად ჩადენილ თაღლითობად.

¹⁷⁶ Rengier, Strafrecht BT I, § 13 Rn. 168.

- 300** ამის საპირისპირო მოსაზრებით,¹⁷⁷ ა-ს ქონება არ იმსახურებს სისხლის-სამართლებრივ დაცვას. მას არც სამოქალაქოსამართლებრივად და არც სისხლისსამართლებრივად არ აქვს ბ-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის უფლება. წარმოვიდგინოთ, ა-ს ადგილას ტერორისტი რომ ყოფილიყო, რომელსაც მოატყუებდნენ და მის დაკვეთას არ შეასრულებდნენ, მისი ფულიც დაცულ სამართლებრივ სიკეთედ უნდა ჩაგვეთვალა, რაც აბსურდი გამოდის, ვინაიდან მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზეა აწყობილი.¹⁷⁸
- 301** კიდევ ერთი მოსაზრებით,¹⁷⁹ ვინაიდან თაღლითობის დროს საერთოდ არ არის საჭირო მოტყუებული პირი მაინცდამაინც ქონების მესაკუთრე რომ იყოს (მაგ. საჯარო რეესტრის თანამშროლი მოატყუეს და ასე დაკარგა სხვა პირმა ქონება), საერთოდ არაა აუცილებელი, რომ საბოლოო დაზარალებული კეთილსინდისიერი პირი იყოს და იგი დაზარალებულად უნდა ვცნოთ.
- 302** მიუხედავად ამ მოსაზრების ძირითადი ასპექტების გაზიარებისა, რთულია დაზარალებულად ცნობის გარეშე თაღლითობის კვალიფიკაციის დასაბუთება, ვინაიდან დანაშაული თავისი არსით, მაინც მატერიალური შემადგენლობაა. მართალია, უშუალოდ დაზარალებულის მოტყუება სულაც არ არის აუცილებელი, თუმცა, საბოლოო ჯამში, თუ შედეგი არ დადგა ვინმეს მიმართ, ისედაც გაგვიჭირდება დამთავრებული თაღლითობის შემადგენლობით კვალიფიკაცია. შესაბამისად, შესაძლოა სხვა გზას მივმართოთ და დანაშაულის დამკვეთი დაზარალებულად ვცნოთ თაღლითობის ნაწილში, მაგრამ ამავდროულად ცალკე თვითონაც ვაგებინოთ პასუხისმის მიერ ჩადენილი უმართლობისთვის (მაგ. ორგანიზატორობისთვის ან მცდელობისთვის). ამით, საბოლოო ჯამში, ორივე პირი, თაღლითიც და შემკვეთიც, აგებს პასუხს.
- 303** ა-მ ზამთარში, გადანყვიცა გათბობისა და საკვების ხარჯების დასაზოგად შეცდომაში შეეყვანა სამართალდამცავი ორგანოები, რათა ის დაეკავებინათ და რაღაც პერიოდის განმავლობაში საკანში მოეთავსებინათ. ამ მიზნით ის მივიდა პოლიციაში და განაცხადა, რომ რამდენიმე დღის მანძილზე სხვის მანქანებს აზიანებდა. ის დააკავეს და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობაც გამოიყენა. გარკვეული დროის შემდეგ, მან პოლიციას განუცხადა, რომ იტყუებოდა. აგებს თუ არა ის პასუხს სისხლისსამართლებრივად?¹⁸⁰
- 304** აქ ჩვენ არ ვისაუბრებთ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ და-

¹⁷⁷ Schramm, Strafrecht BT II, § 7 Rn. 107 ff.

¹⁷⁸ Schramm, Strafrecht BT II, § 7 Rn. 108.

¹⁷⁹ თოდუა, კრებულში: ქეთევან მჭედლიძევილი-ჭედრიხი 60, 36.

¹⁸⁰ ეს შემთხვევა მართლაც მოხდა გერმანიაში - BGHSt 14, 170.

ნაშაულებზე (მაგ. სსკ მუხ. 370 - ცრუ ჩვენების მიცემა), რისთვისაც შეიძლება ა-მ პასუხი აგოს. ეს გაცდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თემატიკას. ამიტომ, უშუალოდ სსკ-ის 180-ე მუხლზე ვიმსჯელებთ.

საკანში ყოფნის პერიოდის განმავლობაში ა უფასოდ იღებდა საკვებს და სხვა იმ სერვისებს, რაც პატიმართან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ამით სახელმწიფოს მიადგა ქონებრივი ზიანი. ზიანის ოდენობის დადგენა რთული არ არის, ვინაიდან ამის გამოთვლა შესაძლებელია თუნდაც საერთო ბიუჯეტიდან, რაც ყველა პატიმარზე ერთიანად იხარჯება. ამ თანხიდან დაანგარიშდება ერთი პატიმრის შენახვის ყოველდღიური ხარჯი და გადამრავლდება ა-ს მიერ ციხეში გატარებული დღეების ოდენობაზე. მაშასადამე, ა-მ სწორედ მოტყუების საფუძველზე მიაყენა სახელმწიფოს ქონებრივი ზიანი.

305

ა-მ სახელმწიფოს ქონებით სარგებლობის უფლება მოიპოვა მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადანყვეტილების მიღების მომენტიდან, ვინაიდან სწორედ ამ ხერხით მიიღო მან „საკნით“ სარგებლობის შესაძლებლობა. თუ ის მანამდეც იყო დაკავებული საპოლიციო წესით, მაშინ დაკავების მომენტიდან ჩაითვლება სარგებლობის უფლების მიღებად.¹⁸¹ როგორც უკვე ადრე აღვნიშნეთ, სსკ-ის 180-ე მუხლში ჩადებული ქონებრივი უფლების მიღება გულისხმობს არა მაინცდამაინც მსხვერპლის ქონებით რეალურად სარგებლობის დაწყებას (მაგ. სხვისი ბინის გადაფორმება მოტყუებით, როდესაც დამნაშავე არც კი შესულა ამ ბინაში, მაინც დამთავრებული თაღლითობა), არამედ მისით სარგებლობის უფლების მიღებას. სწორედ ამის ანალოგიით უნდა ჩავთვალოთ სასამართლო გადანყვეტილების გამოცხადება ქონებრივი უფლების მიღებად. თუმცა, რა თქმა უნდა, ზიანის ოდენობის დასადგენად, მერე საკანში გარკვეული დროის, თუნდაც ერთი ღამის, გატარება იქნება საჭირო.

306

საინტერესოა მოწყალეების თხოვნისა და თაღლითობის ურთიერთმიმართებაც. ავიღოთ საქართველოში გავრცელებული შემთხვევები მოწყალეებას ქუჩაში თხოვნისა ვითომ ბავშვის მკურნალობის დასაფინანსებლად, მაგრამ სინამდვილეში კი ამ თანხის გამოყენება შემდეგ ხშირად სულ სხვა მიზნებით ხდება. მიუხედავად მოწყალეების გამცემის მოტყუებისა, მსგავსი მოქმედება მოწყალეების მიმღების მხრიდან მაინც არ დაისჯება სსკ-ის 180-ე მუხლით. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, მოწყალეების გამცემს ისედაც დიდად არ აინტერესებს თანხის კონკრეტული დანიშნულება და მისთვის სულ ერთია მისი შემდგომი ბედი.¹⁸²

307

¹⁸¹ BGHSt 14, 171.

¹⁸² Fischer, Strafgesetzbuch, § 263 Rn. 63.

308 სამართლებრივი შეფასება იცვლება მიზნობრივი შეწირულობების არა-მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც პირი მოჩვენებითად აფუძნებს ჰუმანიტარულ ორგანიზაციას სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად და ხალხიც ორგანიზაციის ანგარიშზე რიცხავს თანხებს. ეს უკვე თაღლითობად შეფასდება და სიტუაციურად რადიკალურად განსხვავდება ქუჩაში გამვლელის მიერ შემთხვევითი მონყალების მთხოვნელისთვის „ხურდის“ მიცემისგან. დაზარალებული ამ დროს კონკრეტული სოციალური მიზნიდან გამომდინარე მოქმედებს და მისი საკუთრება ქველმოქმედების დროს ისეთივე დაცვას იმსახურებს, როგორც ეს სხვა, თუნდაც ბიზნეს ურთიერთობის ფარგლებში ხდება.¹⁸³ ანუ, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქველმოქმედება და ინდივიდუალურად მონყალების თხოვნის შემთხვევები.¹⁸⁴

309 ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში მოხდება თაღლითობის **დამამძიმებელი გარემოებების** შემონიშნა. უფრო დეტალური შედარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სსკ-ის 177-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებების კომენტარები. თუმცა, სსკ-ის 180-ე მუხლში ვხვდებით ერთ განსხვავებულ დამამძიმებელ გარემოებას - თაღლითობა, ჩადენილი **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** (ნან. 3 ქვეპ. ა). ვინაიდან აქ საუბარია ზოგადად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე, არ არის აუცილებელი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სტატუსი. პასუხისმგებლობის დამძიმებისთვის საკმარისია კერძო სექტორში სამსახურებრივი სტატუსის ქონა. რა თქმა უნდა, თაღლითობა უშუალო კავშირში უნდა იყოს სამსახურებრივ სტატუსთან. უბრალოდ სამსახურის ქონა, ცალკე აღებული, ვერ გამოიწვევს მკაცრ დასჯადობას. მაგალითად, პირი რომც იყოს რომელიმე კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომელი ან საჯარო მოხელე და ამის პარალელურად თაღლითური საიტები ქონდეს ანყოზილი, სადაც სხვები ფულს რიცხავენ, ეს არანაირ კავშირში არ იქნება მის სამსახურთან. ხოლო, თუ სწორედ სამსახურის მეშვეობით მოახერხა მან ამ საიტის ანყოზა და გაშვება, მაშინ ის დაისჯება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების გამო.

¹⁸³ Schramm, Strafrecht BT II, § 7 Rn. 155.

¹⁸⁴ თუმცა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, არსებობს მოსაზრებაც, რომ პირი, რომელიც ფულს საჭმლისთვის ითხოვს და სინამდვილეში ალკოჰოლის ყიდვას აპირებს, თაღლითობის შემადგენლობას ახორციელებს - იხ. Rengier, Strafrecht BT I, § 13 Rn. 173, 178.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა **განზრახვისა და მიზნის** 310 ელემენტისგან შედგება. განზრახვა, ანუ ცოდნა და ნებელობა, უნდა მოიცავდეს ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, მათ შორის დამამძიმებელი გარემოებების ჩათვლით. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების დროს, დამნაშავე იმ ფაქტს უნდა აცნობიერებდეს, რომ სწორედ ამ სტატუსის გამოყენებით მოქმედებს. თუმცა, ამავდროულად დეტალებში ცოდნა არ არის აუცილებელი. ის შეიძლება ვერც კი არჩევდეს ერთმანეთისგან მოხელის ან კერძო სექტორში დასაქმებულის სტატუსს, მაგრამ ეს კვალიფიკაციისთვის არარელევანტურია. იგივეს თქმა შეიძლება სხვა ასპექტებთან მიმართებითაც. თანამედროვე ფინანსური ტრანზაქციების კომპლექსურობის პირობებში, დამნაშავე შესაძლოა არც ერკვეოდეს დეტალურად ყველა პროცესის მიმდინარეობაში, თუმცა, მთავარია მან იცოდეს, რომ იტყუება. ანუ, მის ადგილას პასუხისმგებლობის დადგენის მასშტაბად უნდა წარმოვიდგინოთ სხვა საშუალოსტატისტიკური ადამიანი.¹⁸⁵

თაღლითობა ხორციელდება **პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის** 311 ფორმით.¹⁸⁶ პირდაპირი განზრახვის შემთხვევა გვექნება მაშინ, თუ ამსრულებელმა იცის, რომ დაზარალებული თავის ქონებას მოტყუების საფუძველზე თმობს, ხოლო არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი შეიძლება ის ზუსტად არ იყოს დარწმუნებული ამაში (რომ დაზარალებული მოტყუვდა), მაგრამ მაინც სურდეს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღება.¹⁸⁷

შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ერთი პირი მეორე პირის შეცდომაში 312 შეყვანას ცდილობდეს და მას, თავის აზრით, მცდარ ინფორმაციას აწვდიდეს შეცდომაში შესაყვანად, სინამდვილეში კი ეს ეს ინფორმაცია სულაც არ იყოს მცდარი. უბრალოდ დამნაშავეს ეგონოს, რომ ვინმეს ატყუებს. ეს იქნებოდა უვარგისი მცდელობის შემთხვევა და დამნაშავე დაუმთავრებელი თაღლითობისთვის აგებს პასუხს (სსკ მუხ. 19, 180).¹⁸⁸

ცოდნისა და სურვილის ელემენტის მიღმა ვამონშებთ **მისაკუთრების მიზანს**. 313 ამის გარეშე საერთოდ არ გვექნება თაღლითობის შემადგენლობა. მისაკუთრების მიზანი არ გულისხმობს მაინცდამაინც თავისთვის მი-

¹⁸⁵ დაწვრ. იხ. *Gaede*, კომენტარებში: *Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB*, § 263 Rn. 162.

¹⁸⁶ შეად. *Heger*, კომენტარებში: *Lackner/Kühl/Heger, StGB*, § 263 Rn. 57. გასხვავებულ მოსაზრებას ავითარებს *ცქიტისვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 235 და შემდეგი.

¹⁸⁷ შეად. *დვალიძე/თუმანიშვილი*, კომენტარში: *დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 130, აბზ. 25.

¹⁸⁸ *Perron*, კომენტარებში: *Schönke/Schröder, Strafgesetzbuch*, § 263 Rn. 165.

საკუთრების სურვილს. სუბიექტური ელემენტისთვის საკმარისია მესამე პირისთვის მისაკუთრების მიზანი.¹⁸⁹

- 314** პირმა თავისი ნათესავის სახელზე, თაღლითური სქემის გამოყენებით, გადააფორმა სხვისი ქონება, ვინაიდან ნათესავი უბინაოდ იყო დარჩენილი და მისი დახმარება სურდა.
- 315** ამსრულებელი, მოცემულ კაზუსში, საერთოდ არ მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მის ქონებას არაფერ შემატებია. მიუხედავად ამისა, ის სსკ-ის 180-ე მუხლით აგებს პასუხს, როგორც თაღლითი. მან იცის, რომ მოტყუების საფუძველზე დაათმობინა დაზარალებულს ქონება. ხოლო, ნორმაში ჩადებული მისაკუთრების მიზანი სულაც არ გულისხმობს მაინცდამაინც საკუთარი თავის მიმართ მისაკუთრების მიზანს.
- 316** თაღლითობის გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს ცალკეული სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლების მიერ ერთი და იგივე ბინის სხვადასხვა პირზე გაყიდვა, რის შედეგადაც, სულ მცირე, მეორე ან შემდეგი მყიდველი ფინანსასურად მნიშვნელოვნად ზარალდება. ქვემოთ განსახილველი კაზუსიდან¹⁹⁰ კარგად იკვეთება თაღლითობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტები.
- 317** ა-მ თანამზრახველებთან ერთად დააფუძნა სამშენებლო კომპანია შპს-ის სახით და ასაშენებელი ბინა მთლიანად დატვირთა იპოთეკით, შემდეგ კი მოქალაქეებთან გააფორმა უძრავი ნივთის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება; მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებთან ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების დროს უძრავი ქონება დატვირთული იყო პირველი რიგის იპოთეკით, ა-მ თანამზრახველებთან ერთად ისინი დაარწმუნა, რომ ქონება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო იყო, რაც წერილობით ხელშეკრულებაშიც მიუთითა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს საცხოვრებელი ბინა დამნაშავეებმა მეორე რიგის იპოთეკითაც დატვირთეს და ბანკისგან ისევ აიღეს სესხი. ასევე, მათ განათავსეს ინტერნეტში განცხადება ბინების გაყიდვის თაობაზე. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, შპს-ის დირექტორის მინდობილ პირს დაუკავშირდნენ ბინის შექენით დაინტერესებული პირები, რომლებიც ა-მ დაარწმუნა, რომ მშენებარე კორპუსში არსებული ბინები უფლებრივად უნაკლო იყო და ბინის შექენის შემთხვევაში, თანხის სრულად გადახდის შემდეგ, უძრავი ნივთის შემძენს დაურეგისტრირებოდა საკუთრების უფლება. მან თავის თანამზრახველებთან ერთად, უძრავი ქონების ყველა შემძენს დაუმალა, რომ ყველა ბინა დატვირთული იყო როგორც პირველი რიგის, ასევე - მეორე რიგის იპოთეკით და იპოთეკარებთან გააფორმებული ხელშეკრულებ-

¹⁸⁹ *Tofahrn*, Strafrecht BT II, § 263 Rn. 581.

¹⁹⁰ სუსგ №1040აპ-22.

ბების ვადები იყო გასული. გარდა ამისა, მათ მოქალაქეებზე გაასხვისეს ჯამურად - 2114.65 კვ.მ. მაშინ, როდესაც შპს-ის საკუთრებას წარმოადგენდა 1493.02 კვ.მ. უძრავი ქონება. ანუ, რამდენიმე შემთხვევაში, ერთი და იგივე ბინა გაასხვისეს სხვადასხვა შემძენზე. საბოლოო ჯამში, ამ გზით, დიდი ოდენობით თანხების დაუფლება მოხდა.

ა და მისი თანამზრახველები პასუხისგებაში მისცეს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით - თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. სამწუხაროდ, სასამართლოს მსჯელობიდან არ იკითხება, თუ რატომ არ არის განხილული ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და კვალიფიკაციაში მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფია ასახული. ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ საქმის აღწერილობიდან გამომდინარე, ორგანიზებული ჯგუფის ნიშნები იკვეთება. რამდენიმე პირი თვეების განმავლობაში ატყუებდა მოქალაქეებს და საკუთარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მთელი სისტემა ქონდა შემუშავებული, რაც აშკარად ცდება უბრალოდ წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფის ცნებას.

318

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები მონმდება სტანდარტულად. მთავარია, ერთმანეთში არ აგვერიოს მართლწინააღმდეგობის შეგნება და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები. მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვასთან კავშირში მონმდება.

319

მაგალითად, პირი იღებს სოციალურ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებული შემოსავალი მას ამის უფლებას არ აძლევდა. ეს პირი ამას ვერ ხვდებოდა და ამის გამო არც კი განუცხადებია შესაბამისი სოციალური სამსახურისთვის. თავისი გადმოსახედიდან, ის სწორად იღებდა ამ დახმარებას და არც კი უფიქრია მისი შემოსავლის რელევანტურობაზე მოცემული თვალსაზრისით.¹⁹¹

320

ის არ დაისჯება თაღლითობისთვის. მას არ ქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, რაც განზრახვას გამომრიცხავს (სსკ მუხ. 36). გაუფრთხილებლობით ჩადენილი თაღლითობა კი არ ისჯება. მაგრამ, ა-ს დასჯა შესაძლებელია უმოქმედობით ჩადენილი თაღლითობისთვის იმ მომენტიდან, როდესაც ის მიხვდებოდა (მაგ. სამი თვის მერე მიხვდა) თავის შეცდომას და მაინც გააგრძელებდა დახმარების მიღებას. თავისივე შეცდომიდან გამომდინარე, რაც მის მიერ შემოსავლის თაობაზე მონაცემების არმინო-

321

¹⁹¹ BGHSt 42, 268.

დებაში გამოიხატა, ის სამართლებრივ გარანტიად გადაიქცა და წარმოეშვა ვალდებულებები საციალური სამსახურის მიმართ.¹⁹²

322 ყველა ეს საკითხი მონმდება ქმედების შემადგენლობის ან ბრალის ეტაპზე და არა მართლწინააღმდეგობის ფარგლებში.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

323 თაღლითობის შემადგენლობის განხორციელება ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ყველა ფორმით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, სსკ-ის 180-ე მუხლი რამე განსაკუთრებული სპეციფიკით არ გამოირჩევა. შესაბამისად, მასზე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ფარგლებში განხილული წესები გავრცელებდა და მხოლოდ მოკლე მსჯელობით შემოვიფარგლებით. გარდა ამისა, ჯგუფურ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას უკვე გავარჩიეთ.

324 თანამსრულებლობისთვის არ არის აუცილებელი მაინცდამაინც დანაშაულის განხორციელების ყველა ეტაპზე უშუალო ჩართულობა. მაგალითად, ერთი პირი ამზადებს ყალბ საბუთებს, შეიმუშავებს სხვების მოტყუების დეტალურ გეგმას და შემდეგ მეორე პირი ამ გეგმის საფუძველზე იმოქმედებს, ანუ პირადად მოატყუებს დაზარალებულებს. მიუხედავად მხოლოდ მომზადების ეტაპზე ჩართულობისა, პირველი პირიც, როგორც თანამსრულებელი, ისე აგებს პასუხს.¹⁹³ თანამსრულებლობა არ ნიშნავს მაინცდამაინც დანაშაულის ყველა ობიექტური ნიშნის პირადად განხორციელებას.¹⁹⁴

325 რაც შეეხება თანამონაწილეობას, ობიექტურ ელემენტებთან ერთად სუბიექტურ მხარესაც უნდა დავუთმოდ სათანადო ყურადღება. შესაძლოა პირმა საერთოდ არც კი იცოდა, რომ, დავუშვათ, მის მიერ გაცემულ საბუთს მეორე პირი თაღლითობის ჩასადენად გამოიყენებდა. ამ დროს, საბუთის გამცემი, ობიექტურად თაღლითობის დამხმარე გამოდის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის მაინც არ დაისჯება განზრახვის არქონის გამო.¹⁹⁵

6. მიმართება სხვა მუხლებთან

326 აღსანიშნავია ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში, 180-ე მუხლის გარდა, თაღლითობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალურ შე-

¹⁹² Rengier, Strafrecht BT I, § 13 Rn. 30.

¹⁹³ Rengier, Strafrecht BT I, § 13 Rn. 345.

¹⁹⁴ დანვრ. იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ზოგადი ნაწილი II, 160 და შემდეგი.

¹⁹⁵ შეად. Schuhr, ნიგნში: Spickhoff, Medizinrecht, § 263 Rn. 69 ff.

მადგენლობასაც შეეხვედებით. ისინი კანონის სხვადასხვა თავში არის მოთავსებული. ერთ-ერთი ასეთი ნორმაა სსკ-ის მუხ. 219 - მომხმარებლის მოტყუება. სხვა საკითხია, თუ რამდენად კარგად და გასაგებად არის ეს ნორმა კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული, მაგრამ არსებული სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, სპეციფიურად მომხმარებლის მოტყუების შემთხვევაში უფრო ამ ნორმის გამოყენება ხდება.¹⁹⁶ თუმცა, არც ერთდროულად ორივე მუხლის გამოყენება არის დაუშვებელი, ვინაიდან თალლითობის შემადგენლობა სხვის საკუთრებას იცავს, ხოლო 219-ე მუხლი კი უფრო მონესრიგებულ საფინანსო საქმიანობაზე, როგორც სამართლებრივ სიკეთეზე, არის ორიენტირებული. გარდა ამისა, სრულიად უსამართლობა გამოდის, მომხმარებლის მომტყუებელი დამნაშავე 219-ე მუხლით გათვალისწინებული უფრო დაბალი სანქციის ფარგლებში მიეცეს პასუხისგებაში, ვიდრე ეს სხვა ფორმით ჩადენილი თალლითობის დროს მოხდებოდა და რომელთან მიმართებითაც 180-ე მუხლს გამოვიყენებდით.

თავისი არსით, ორივე ქმედება მსგავსია და სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას გულისხმობს. შესაბამისად, ასეთი დიფერენცირება არ არის მაინცდამაინც გამართლებული. სრულიად გაუგებარია, ერთ შემთხვევაში, მაგ. არამომხმარებლისთვის ფინანსური ზიანის მიმყენებლის დასჯა მოხდეს 180-ე მუხლით, ხოლო ზუსტად იგივე ზიანის მომხმარებლისთვის მიმყენებლის დასჯა განხორციელდეს 219-ე მუხლით. არსობრივად ორივე დანაშაული ტყუილს ეფუძნება და არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ, სასურველია, სასამართლო პრაქტიკა წავიდეს დანაშაულის ერთობლიობის მიმართულებით, მაშინ როდესაც მოხდება მომხმარებლის მოტყუება (მაგ. ნონაში, ხარისხში) და გამოიყენოს დანაშაულის ერთობლიობის მოდელი. მომხმარებლის მომტყუებელი აზიანებს როგორც სხვის საკუთრებას, ასევე ხელყოფს ფინანსური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. შესაბამისად, დანაშაულის ერთობლიობის დროს ეს ორი მუხლი არ მოვა ერთმანეთთან აზრობრივად წინააღმდეგობაში.¹⁹⁷

327

ა-მ ე.წ. ზარის გასაშვებად ტელეფონი ათხოვა ბ-ს. ბ ტელეფონიანად გაიქცა და მიიმალა, მერე კი ის გაყიდა. მას თავიდანვე განზრახული ქონდა ა-ს მოტყუება. იქნება ეს თალლითობა, ქურდობა თუ ძარცვა?

328

ერთი შეხედვით, შესაძლოა გვეფიქრა თალლითობაზე, მაგრამ ეს კვალიფიკაცია არ იქნებოდა სწორი. თალლითობის დროს დაზარალებული სხვა

329

¹⁹⁶ ლეკვეიშვილი/თოდუა, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 71.

¹⁹⁷ შედარებით განსხვავებულად აფასებენ აღნიშნულ საკითხს დვალაძე/თუმანიშვილი, კომენტარში: დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 136, აბზ. 50 და ნორმათა კონკურენციის ხერხს იყენებენ, რაც ერთობლიობას არ გულისხმობს.

პირს თავის ქონებას სრულად გადასცემს და არა დროებითი სარგებლობისთვის. ა-მ ბ-ს ტელეფონი მხოლოდ ზარის გასაშვებად დაუთმო. შესაბამისად, სსკ-ის 180-ე მუხლი გამოირიცხება. საბოლოო ჯამში, ბ ძარცვისთვის აგებდა პასუხს. ის აშკარად არ მოერიდა სხვისი ქონების დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.¹⁹⁸

- 330** სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ დაზარალებული, მაგ. ნივთის გადაცემის პროცესში, უნდა აცნობიერებდეს სწორედ თავისი ნივთის სხვისთვის გადაცემის ფაქტს. ის შეცდომით თუ ფიქრობს, რომ გადაცემული ნივთი საერთოდ არ იყო მისი, ისედაც დამნაშავეს ეკუთვნოდა და ამით სარგებლობს მეორე პირი, ეს უკვე ქურდობად დაკვალიფიცირდება (შეიძლება ძარცვის დასაბუთებაც).¹⁹⁹
- 331** ა-მ ვერ გაარჩია ღამის კლუბში საკუთარი და სხვისი ტელეფონი და საკუთარი გაატანა მეორე პირს, ბ-ს. ბ-მ ა-ს შეცდომით ისარგებლა და ეს ტელეფონი სიამოვნებით წაიღო, ვინაიდან ის უფრო ახალი იყო.
- 332** ბ-ს ქმედება ვერ შეფასდება თაღლითობად. ა-ს თავისი ნივთი გაცნობიერებულად არ დაუთმია.

198 მსგავს მოსაზრებას ავითარებს ასევე თოდუა, კრებულში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი 60, 19.

199 თოდუა, კრებულში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი 60, 23.

5. გამოქალაქვა (სსკ მუხ. 181)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

333

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი
- ობიექტი
- სხვისი საკუთრება
- ქმედება
- მოთხოვნის წაყენება

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა
- დამამძიმებელი გარემოება

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის ამსრულებელი ზოგადია, ხოლო დაცული სამართლებრივი სიკეთეა სხვისი საკუთრება. სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმედების განხორციელების სხვადასხვა ხერხზე საუბრობს. პირველ რიგში, დამნაშავის მხრიდან უნდა მოხდეს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნის წამოყენება. ამას კი თან უნდა ერთვოდეს უშუალოდ დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის განმეორების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც არსებითად შეიძლება დააზიანოს მათი უფლებები.

334

მსხვერპლისადმი მოთხოვნა შესაძლოა თუნდაც მისი ნივთით დროებით სარგებლობასაც ეხებოდეს.²⁰⁰ ნორმის დისპოზიცია არ არის ვინაშით ჩა-

335

²⁰⁰ თუმანიშვილი/დვალაძე, კომენტარში: დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 141, აბზ. 4.

მოყალიბებული და ასეთი განმარტების საშუალება ც უპრობლემოდ იძლევა. პირის საკუთრების ხელყოფა ასეთ დროსაც ხდება და ის უნდა იყოს სამართლებრივად დაცული.

336 გამოძალვის ობიექტური შემადგენლობა, ერთი შეხედვით, ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის მსგავსია, ვინაიდან მისი განხორციელების ერთ-ერთი ხერხია ძალადობის გამოყენების მუქარა მსხვერპლის მიმართ, თუმცა, განსხვავება მდგომარეობს დროის ფაქტორში. ყაჩაღობის დროს მსხვერპლს მუქარის იმნუთიერად რეალიზების შიში უჩნდება, ხოლო გამოძალვისას *მუქარის რეალიზება მომავლისკენაა* მიმართული. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დროის საკითხი (მომავლისკენ მიმართვა) ეხება მხოლოდ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას და არა სხვა ხერხებს. ნივთის დაზიანების ან გარკვეული ცნობების გავრცელების მუქარა იმნუთიერიც შეიძლება იყოს.²⁰¹

337 მუქარასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი კაზუსი:²⁰²

ა-ს ბრალად დაედო გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის და მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2020 წლის დეკემბერში ა თავის დას, ბ-ს, ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის (მოვალისკენ მიმართული) მუქარით სთხოვდა თანხას, 1500 ლარის ოდენობით. მას ბრალდება წარედგინა სსკ-ის 181-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტით - გამოძალვა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ან გამოძალვისთვის.

338 საბოლოო ჯამში, ა გამართლდა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო. სასამართლოზე უშუალოდ დაზარალებულმაც კი არ მისცა ჩვენება. სხვა მოწმეების ჩვენება კი არ ჩაითვალა საკმარისად. განსაკუთრებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობის ერთ-ერთი მონაკვეთი ერთ-ერთ მოწმესთან დაკავშირებით - საქმეში წარმოდგენილი, დაზარალებულის მეზობლად მცხოვრები მოწმის მონათხრობის მიხედვით, რომელიც შემთხვევის დღეს შეესწრო, თუ როგორ იგინებოდა ა და სთხოვდა ფულს თავის დას, თუმცა საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული მოწმის ჩვენებაში არაფერია ნათქვამი მის მიერ ფულის მოთხოვნის დროს ძალადობის გამოყენების მუქარაზე, რაც ბრალად წარედგენილი დანაშაულის - გამოძალვის - შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.²⁰³

²⁰¹ *ლექვეიშვილი*, წიგნში: *ლექვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნან. 2, 84.

²⁰² სუსგ №986აპ-22.

²⁰³ სუსგ №986აპ-22, აბზ. 10.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთისგან არის გამიჯნული მუქარა და გინება, რაც მართებულია. ვინმესთვის შეგინება თავისთავად არ ნიშნავს მის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარას. მაგრამ, რა თქმა უნდა, საერთო კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარე, არც ის არის გამორიცხული, რომ გინება მუქარას გაუთანაბრდეს. ამის შეფასება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს.

339

გამოძალვის შემთხვევები ხშირად არის დაკავშირებული კრიმინალური, ე.წ. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობასთანაც, რა დროსაც შესაძლებელია, მაგალითად, ბიზნესმენს ემუქრებოდნენ მისი ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით და სთხოვდნენ თანხების გადახდას ამ სამყაროს საქმიანობის მხარდასაჭერად.²⁰⁴ ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა დანაშაულის ერთობლიობა სსკ-ის 181-ე და 223¹ („ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“) მუხლებს შორის.

340

ახლო ნათესავის ცნების განსამარტავად ამავე კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნა უნდა გავითვალისწინოთ. ჩამონათვალს მიღმა არსებული პირებისადმი მუქარა, რაც არ უნდა მტკივნეული უნდა იყოს ეს მეორე პირისთვის, არ მოგვცემს აღნიშნულ შემადგენლობას. მაგალითად, პირისადმი დამუქრება, რომ მის საუკეთესო მეგობარს მოკლავენ თანხის არგადახდის შემთხვევაში, ვერ მოექცევა სსკ-ის 181-ე მუხლის შემადგენლობაში. მეგობარი არ ითვლება ოჯახის წევრად. მსგავსი ქმედებები უფრო მძევლად ხელში ჩაგდების კვალიფიკაციას მოგვცემს (სსკ მუხ. 144).

341

ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგადად, მძევლად ხელში ჩაგდება ისედაც მოიცავს თავის თავში (თანხის მოთხოვნის შემთხვევაში) გამოძალვასა და იძულებას,²⁰⁵ ამიტომ, სსკ-ის 144-ე მუხლით კვალიფიკაცია საკმარისია. ბუნებრივია, მძევლად ხელში ჩამგდები თავისი მიზნის მისაღწევად მუქარას მიმართავს.²⁰⁶ შესაბამისად, 181-ე მუხლის გამოყენება ხელოვნურ ერთობლიობას მოგვცემდა და ის ზედმეტია.

342

კვალიფიკაციის დროს შეიძლება დადგეს გამოძალვისა და იძულების (სსკ მუხ. 150) ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხიც. ორივე შემადგენლობის განხორციელების ხერხი ხშირად ძალადობის მუქარაა. ეს კარგად ჩანს შემდეგ საქმეში:²⁰⁷

343

2017 წლის 8 ოქტომბერს, ერთ-ერთ კლუბში იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს განეული მომსახურების საფასურად - 2160 ლარის

²⁰⁴ იხ. მაგ. სუსგ №806აპ-22.

²⁰⁵ სუსგ №311აპ-22, სამოტივაციო ნაწილი, აბზ. 3.

²⁰⁶ დანვრ. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშ. იხ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, აბზ. 810 და შემდეგი.

²⁰⁷ სუსგ №852აპ-19.

გადახდა. სტუმრებმა მიიჩნიეს, რომ მოთხოვნილი თანხა რეალურად შეკვეთილ მომსახურებაზე ბევრად მეტი იყო და მის გადახდაზე განაცხადეს უარი, რის შემდეგაც კლუბის ადმინისტრაციის თანამშრომლები გადავიდნენ მუქარაზე.

- 344** ყველა ინსტანციის სასამართლომ ეს კაზუსი ჯგუფურად ჩადენილ იძულებად დააკვალიფიცირა, ვინაიდან მაიძულებელი ქმედებები მიმართული იყო კლუბის მიერ განუხლები დანახარჯის ამოღებისკენ.²⁰⁸ მაშასადამე, გამოძალვის შემადგენლობა გვექნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც საერთოდ არ იარსებებდა თანხის მოთხოვნის კანონიერი საფუძველი, ხოლო კანონიერი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში თანხის მისაღებად ასეთი მეთოდების გამოყენებისას ვიღებთ სსკ-ის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ იძულების შემადგენლობას.²⁰⁹
- 345** ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს მიდგომა სხვა შემთხვევასთან²¹⁰ მიმართებით, რომელშიც ასევე გამოძალვასა და იძულების შემადგენლობაზე იყო სამსჯელი, კერძოდ, უცხოეთის მოქალაქემ საქართველოს მოქალაქეს ფულის სანაცვლოდ შესთავაზა სექსობრივი კავშირის დამყარება, რაზეც ის თითქოს დათანხმდა, შემდეგ კი სასტუმროში დაზარალებულს დახვდნენ სხვა პირები, მას ამორალური ადამიანი უწოდეს და მუქარით თანხა მოსთხოვეს, თან საბანკო ბარათების პინ-კოდებიც კი გამოართვეს, მერე თანხა მოხსნეს ბანკომატიდან და ბარათები ისევ დაუბრუნეს.
- 346** უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაზარალებულის ჩვენება, მსჯავრდებულების მხრიდან სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარის თაობაზე, რაც ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც არ დასტურდებოდა საქმეში არსებული სხვა არცერთი სამხილით, შესაბამისად საქმის გადაკვალიფიცირება სსკ-სი 181-ე მუხლიდან (გამოძალვა) 150-ე მუხლზე (იძულება) მართებულად ჩათვალა.²¹¹
- 347** ეს გადანყვეტილება, გარკვეულწილად, კითხვის ნიშნებს აჩენს კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ვინაიდან სასამართლო თვითონვე საუბრობს თავდამსხმელების მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე. ისინი დაზარალებულს ურტყამდნენ, აგინებდნენ და ემუქრებოდნენ, ითხოვდნენ პასუხს, თუ რატომ შესთავაზა მეგობრის ცოლს ფულის სანაცვლოდ სექსუალური ურთიერთობა.²¹² გაუგებარია, რატომ ჩათვალა

²⁰⁸ სუსგ №852აპ-19, აბზ. 9.

²⁰⁹ შეად. ასევე *ლეკვიშვილი*, ნიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 83, რომელიც უფრო მუქარით (სსკ მუხ. 151) ან თვითნებობით (სსკ მუხ. 360) დასჯადობაზე საუბრობს.

²¹⁰ სუსგ №732აპ-20.

²¹¹ სუსგ №732აპ-20, აბზ. 10.

²¹² სუსგ №732აპ-20, აბზ. 5.

უზენაესმა სასამართლომ მაინცდამაინც სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების მუქარა კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტ ფაქტორად?

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის სხვა ხერხებს, ხშირად გამოიყენება მსხვერპლის დაშანტაჟების მეთოდი, რომ მას სახელს გამტეხ ცნობას ან სხვა ნებისმიერ ისეთ ცნობას გაუვრცელებენ, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლება. კანონში არსად არის მითითებული აღნიშნული ცნობების ნამდვილობაზე. დამნაშავეს შეუძლია მოიგონოს სახელის გამტეხი ინფორმაციები და მერე სწორედ მათი გავრცელების მუქარით სძალავდეს სხვას ფულს. მთავარია, ის აცნობიერებდეს მსხვერპლზე ზემოქმედებას და მსხვერპლსაც რეალურად გაუჩნდეს მისთვის სახელის გატეხვის შიში.²¹³

348

სოციალური ქსელების გავრცელების პირობებში, სიმართლესა და სიცრუეს შორის მიჯნის გავლება სულ უფრო რთული ხდება. ინტერნეტით გავრცელებული თუნდაც არასწორი ინფორმაციები მაშინათვე უამრავი ადამიანის ყურადღებას იპყრობს და სანამ მისი უარყოფა ან სოციალური ქსელებიდან აღება მოხდება, მნიშვნელოვანი შედეგები ცალკეული პირების უარყოფითი შეფასების სახით უკვე დამდგარია.

349

ნარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი:

350

ა დაემუქრა ბ-ს, რომ ფოტოშოპის პროგრამით შექმნიდა სურათს, რომელშიც ბ თითქოს თავისივე სქესის ადამიანთან ამყარებდა სქესობრივ კავშირს და თუ ის 1000 ლარს არ მიიღებდა მისგან, ამ სურათს სოციალურ ქსელებში გაავრცელებდა. ბ-ს სერიოზული შიში გაუჩნდა, ვინაიდან მან იცოდა, რომ სამსახურში ამის გამო პრობლემები შეექმნებოდა.

ა ახორციელებს სსკ-ის 181-ე მუხლის შემადგენლობას. მისი ქმედება საფრთხის შემქმნელია დაზარალებულის სახელისთვის. მართალია, ზოგადად, კანონით აკრძალული არ არის ერთნაირსქესიანი კავშირები, მაგრამ საზოგადოებრივი აქტებიდან გამომდინარე, ბ-ს შესაძლოა მართლაც არსებითი პრობლემები შექმნოდა.²¹⁴ ამასთანავე, გამოძალვის შემადგენლობისთვის, ისედაც არ აქვს მნიშვნელობა იმას, აპირებდა თუ არა პირი რეალურად მუქარის განხორციელებას. მთავარია, რომ დაზარალებული ამას სერიოზულად აღიქვამდეს.²¹⁵

351

საინტერესოა შემდეგი საქმეც²¹⁶:

352

რამდენიმე პირმა უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება სხვა პირს, მერე

²¹³ თუმანიშვილი/დვალიძე, კომენტარში: დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 145, აბზ. 16.

²¹⁴ შეად. სუსგ №829აპ-19.

²¹⁵ მამულაშვილი, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 148.

²¹⁶ სუსგ №951აპ-19.

კი ის დააჯერეს, რომ მათ სხვა ადამიანი მოკლეს (რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს), ხოლო ამას ხელში დააკავეს ვითომ მკვლელობის იარაღი - დანა, რათა მისი თითების ანაბეჭდები გადასულიყო მასზე. გარდა ამისა, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილ მსხვერპლს გადაუღო მაკომპრომეტირებული ვიდეო (მათ შორის - სახელგამტები და ღირსების შემლახველი) ერთ-ერთი თავდამსხმელის სასქესო ორგანოსთან. ბოლოს კი ამ მსხვერპლს ემუქრებოდნენ, დანას და ვიდეოს პოლიციას მივანვდიოთ და აღნიშნული მუქარის გზით მას დიდი ოდენობით თანხა გამოსძალეს.

- 353** ეს საქმე სსკ-ის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) და 181-ე მუხლების ერთობლიობით დაკვალიფიცირდა. დანაშაულის ერთობლიობა 143-ე მუხლთან იმიტომ წარმოიშვა, რომ დაზარალებული მთელი დღის განმავლობაში იყო გამოკეტილი ბინაში, რაც აშკარად ცდება მხოლოდ გამოძალვის ფარგლებს და ამან დამატებითი კვალიფიკაცია მოითხოვა. მსხვერპლის მხოლოდ რამდენიმეწუთიანი გამოკეტვა ოთახში და მისთვის დამუქრება 181-ე მუხლის შემადგენლობაშივე ჩაჯდება. მსგავსი მცირე ხანგრძლივობა ისედაც გამოძალვის ერთ-ერთი ხერხის, ძალადობის მუქარის შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია მოვიაზროთ და შესაბამისად, 143-ე მუხლის გამოყენება ზედმეტი იქნებოდა.
- 354** სადისკუსიოა ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ერთი პირი მეორე პირს ემუქრება, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე სასამართლოს ჩვენებას მისცემს მონმის სახით, თუ ის ფულს არ გადაუხდის. არის ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი დაცვის „ღირსი“ იმ პირის ქონება ხელყოფისგან, რომელსაც მართლაც აქვს დანაშაული ჩადენილი და არ უნდა ახალი მონმის გამოჩენა თავის საქმეში?
- 355** ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრების განვითარება შეიძლება. როგორც გამოძალვის შემადგენლობა მოითხოვს, ცნობის/ინფორმაციის გავრცელების მუქარა გარკვეული არსებითი საფრთხის შემცველი უნდა იყოს მეორე პირის უფლებებისთვის. თუ დამნაშავეს მართლაც დასჯიან მონმის ჩვენებიდან გამომდინარე, რამდენად იქნება ეს მისი უფლებების არსებითი დაზიანება? არის დამნაშავეს დასჯა მისი უფლებების დაზიანება? ამის თქმა რთულია, ვინაიდან გამოდის, რომ თურმე დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა მათი უფლებების არსებითი დაზიანება ყოფილა. ანუ, რომ დავასკვნათ, მონმის მუქარა ვერ შეფასდება გამოძალვად. მისი ქმედება არ ნიშნავს სხვისი უფლებებისთვის არსებითი ხელყოფის საფრთხის შექმნას. მართალია, მონმე ამორალურად იქცევა, მაგრამ ეს არ არის სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი.
- 356** თუ საპირისპირო მოსაზრებას განვავითარებთ, მონმის დასჯადობის სასარგებლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მუქარის მეშვეობით სხვის ქონებას ხელყოფს და ფართო გაგებით, ეს მუქარა მეორე პირის თავისუფლე-

ბის უფლებას უქმნის საფრთხეს.

შედეგის თვალსაზრისით, როგორც ნორმის შინაარსიდანვე ჩანს, გამოძალვა **ფორმალური** დანაშაულია. მასში ყურადღება არის გამახვილებული მოთხოვნის წამოყენებაზე და არა მაინცდამაინც რეალურად ზიანის დადგომაზე. შესაბამისად, შედეგის დადგომის შემთხვევაშიც, ანუ როდესაც მსხვერპლი მართლაც გადაიხდის მოთხოვნილ თანხას, კვალიფიკაცია არ შეიცვლება.

357

სსკ-ის 181-ე მუხლში საინტერესოა სასჯელის საკითხიც ყაჩაღობასთან შედარების თვალსაზრისით. ყაჩაღობაც, როგორც ვიცით, ფორმალური დანაშაულია და მისი ჩადენის დროს თავდამსხმელი მიმართავს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ მუქარას, თუმცა, ამავდროულად, სასჯელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე გამოძალვის ჩადენის შემთხვევაში. რით შეიძლება გავამართლოთ ასეთი განსხვავება? დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ ყაჩაღობის დროს მსხვერპლს თავისი გადმოსახედიდან სხვა გამოსავალი არ რჩება (თავდამსხმელიც უფრო საშიშია). მას იმნუთიერი საფრთხით ემუქრებიან, გამოძალვის დროს კი მუქარის რეალიზება მომავლისკენაა მიმართული. გარდა ამისა, სულაც არ არის აუცილებელი მაინცდამაინც სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენება. საკმარისია, ზოგადად, დაშანტაჟებაც, რაც შედარებით ნაკლები საფრთხის შემცველია და მსხვერპლს თავის დაცვის გარკვეული საშუალებები რჩება დროის ფაქტორიდან გამომდინარე. შესაბამისად, სსკ-ის 181-ე მუხლში გათვალისწინებული შედარებით დაბალი სანქციები შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

358

დანაშაულის ფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, სსკ-ის 181-ე მუხლთან მიმართებით, მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა არ მონმდება. ობიექტურ შემადგენლობაში, ქმედების შემონმების შემდეგ, კაზუსის მიხედვით, ყურადღება უნდა გამახვილდეს დამამძიმებელ გარემოებებზე. ისინი, არსობრივად, უკვე განხილული სხვა დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებების იდენტიურია და მათ აღარ შეეხება.

359

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

გამოძალვა **განზრახი** დანაშაულია. როგორც წესი, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით, მაგრამ, თეორიულად არაპირდაპირი განზრახვაც არ არის გამორიცხული. მაგალითად, როდესაც ამსრულებელმა ზუსტად არ იცის, მის მიერ გამოთქმული მუქარის გამო გადასცემენ თუ არა მას თანხას, მაგრამ ის ამის შესაძლებლობას უშვებს და ეს მისთვის სულ ერთია. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები მაინც ნაკლებად მოსალოდნელია.

360

- 361** ა გაეხუმრა ბ-ს, ვიცი, რომ შენი კოლეგის მეუღლესთან გაქვს სასიყვარულო ურთიერთობა და ამის თაობაზე სხვებს უნდა მოვუყვეო. ამის გამო ბ შეშფოთდა, ეს ინფორმაცია მართლა არ გაავრცელოსო და ა-ს საჩუქარად ახალი ტელეფონი უყიდა გაჩუმების სანაცვლოდ. ა სახტად დარჩა.
- 362** ა არ აგებს პასუხს სსკ-ის 181-ე მუხლით. მას სერიოზულად არც კი უგულისხმია თავისი ნათქვამი და არ ქონია არანაირი განზრახვა, მსგავსი მუქარის გზით მიეღო ვინმესგან ქონებრივი სარგებელი.
- 363** ა დაემუქრა ბ-ს რამდენიმე დღეში მისი მეუღლის მოკვლით, თუ ის გარკვეულ თანხას არ გადაუხდიდა. ბ-მ მუქარა სერიოზულად აღიქვა. ა, მართალია, იტყუებოდა, მაგრამ მან იცოდა, რომ ამ გზით ბ-ს შეაშინებდა.
- 364** ა პასუხს აგებს გამოძალვისთვის. მან დანაშაულის როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ელემენტები სრულად განახორციელა. არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ა მუქარის რეალიზებას არ აპირებდა. განზრახვის კომპონენტის დადგენისთვის მთავარია საკუთარი ქმედების შეგნება (სხვას ემუქრები) და ამ ქმედების მეშვეობით მიზნის მიღწევის სურვილი (გსურს განახორციელო გამოძალვა).
- 365** ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში, ცალკე შემონმდება სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის გ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება - დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზანი. მარტივად რომ ვთქვათ, 10 000 ლარამდე ოდენობით გამოძალვის შემთხვევაში გამოიყენება მუხლის პირველი ნაწილი (თუ რომელიმე სხვა დამამძიმებელი გარემოება არ იკვეთება), ხოლო 10 000 ლარს ზევით მოთხოვნის შემთხვევაში მეორე ნაწილის გ ქვეპუნქტი.
- 366** ა-მ ბ-ს გამოსძალა დაშანტაჟების გზით 15 000 ლარი. მან არ იცოდა, რომ ეს დიდ ოდენობად ითვლება.
- 367** ა მაინც აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით აგებს პასუხს. სუბიექტურ ელემენტში არ იგულისხმება მაინცდამაინც სამართლებრივი დეტალების ცოდნა. მთავარია, რომ მას სურდა ამ ოდენობით თანხის მიღება.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

- 368** მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები მოწმდება სტანდარტულად.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

- 369** ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხები რამე განსაკუთრებული სპეციფიკით არ გამოირჩევა. გამოძალვის ჩადენა ჯგუფურობის ნებისმიერი ფორმით (წინასწარი შეთანხმებით, წინასწარი შეთანხმების გარეშე ან ორგანიზებული) მაკვალიფიცირებული გარემოებაა.

6. მიმართება სხვა მუხლებთან

სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის ზოგიერთ საკითხზე ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხილვისას უკვე ვისაუბრეთ. შესაბამისად, მათ ისევ არ მივუბრუნდებით. **370**

გამოძალვა უნდა გავმიჯნოთ მუქარისგან. მუქარა ისედაც გამოძალვის ჩადენის ხერხია და ცალკე კვალიფიკაციას არ საჭიროებს. იგივეს თქმა შეიძლება იძულებასთან მიმართებითაც. რაც შეეხება მუქარის რეალიზებას, ეს უკვე ცდება სსკ-ის 181-ე მუხლის ფარგლებს და ცალკე შეფასებას მოითხოვს.²¹⁷ მაგალითად, ვინმეს ჯანმრთელობის ხელყოფა დამუქრების შემდეგ ან მსხვერპლის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელება 181-ე მუხლთან ერთად დანაშაულის ერთობლიობით სხვა, შესაბამისი მუხლებით პასუხისმგებლობასაც გამოიწვევს. უბრალოდ სახელის გამტეხი ცნობების გახმაურება კი არ გამოიწვევს დამატებით სხვა ნორმით დასჯადობას, ვინაიდან ასეთი დანაშაულის შემადგენლობა ქართული სისხლის სამართლის კოდექსისთვის უცხოა. ეს კარგად გამოჩნდება შემდეგ მაგალითში:

ა დამუქრა თავის ნაცნობ ბ-ს, შენზე გავავრცელებ ინფორმაციას, რომ სამსახურში თანხები გაფლანგეო. სინამდვილეში კი ასეთ გაფლანგვას ადგილი არ ქონია და ა-ს მხოლოდ თანხის გამოძალვა სურდა. ბ არ დაყვა ამ შანტაჟს. გაბრაზებულმა ა-მ კი თავისი დანაპირები შეასრულა და ცრუ ინფორმაცია გაავრცელა.

ა პასუხს აგებს მხოლოდ გამოძალვისთვის, სსკ-ის 181-ე მუხლით. ცრუ ინფორმაციის გავრცელება კი სისხლისსამართლებრივი შეფასების მიღება დარჩება, ვინაიდან ცილისწამება არ ითვლება დანაშაულად.²¹⁸ ბ-ს შეუძლია თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენოს. **372**

გამოძალვის კვალიფიკაცია გამოირიცხება იმ შემთხვევებში, თუკი სხვა დანაშაულის შემადგენლობა ისედაც მოიცავს მას.²¹⁹ ამის ერთ-ერთი მაგალითია სსკ-ის 144-ე მუხლი - მძევლად ხელში ჩაგდება, რომელიც ხშირად ანგარების მოტივით ხორციელდება. შესაბამისად, სსკ-ის 181-ე მუხლის გამოყენება ზედმეტი იქნებოდა, ვინაიდან მძევლად ხელში ჩაგდება სწორედაც პირის ან ორგანიზაციის იძულებას გულისხმობს, რათა მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ შესრულდეს ესა თუ ის ქმედება, მათ შორის თანხის გადახდის სახითაც. **373**

217 *მამულაშვილი*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 163.

218 *ლეკვიძე*, წიგნში: *ლეკვიძე/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 86.

219 *თუმანიშვილი/დვალაძე*, კომენტარში: *დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 156, აბზ. 48.

6. მითვისება ან გაფლანგვა (სსკ მუხ. 182)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

374

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი

- ობიექტი

სხვისი საკუთრება

- ქმედება

ნებისმიერი ქმედება, რისი მეშვეობითაც პირი

ითვისებს ან ფლანგავს სხვის ქონებას

- შედეგი

- მიზეზობრივი კავშირი

- ობიექტური შერაცხვა

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

375 დანაშაულის ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ნიშანში, ქმედებაში ნახსენები მითვისება ან გაფლანგვა არ უნდა აგვერიოს დანაშაულის მთლიან კვალიფიკაციაში. საბოლოო კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ სამივე ელემენტის შემონმების შედეგად და არა ქმედების საფეხურზე. შესაბამისად, კაზუსზე მსჯელობის დროს, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და ქმედების ეტაპზე კი არ უნდა გავაკეთოთ წინასწარი დასკვნა, რომ ჩადენილია მითვისება ან გაფლანგვა, არამედ მოგვიანებით, ყველა წინაპირობის გადამონმების შემდეგ.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

376 დანაშაულის ამსრულებელი ერთი შეხედვით ზოგადია, ანუ ნებისმიერი პირი, რომელსაც ნივთი ან ქონებრივი უფლება გადაცემული ქონდა

მართლზომიერ მფლობელობაში, თუმცა, ნორმაში მაინც საუბარია ისეთ კონკრეტულ პირზე, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში აქვს გადაცემული აღნიშნული ქონება ან ქონებრივი უფლება.²²⁰ საინტერესოა ამავე მუხლის მეორე ნაწილის დ ქვეპუნქტი, რომლის ამსრულებელიც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა მოქმედებდეს. ამაში იგულისხმება ისეთ პირები, რომლებსაც ნივთის მიმართ არა მხოლოდ ფიზიკური წვდომა აქვთ, არამედ, თავიანთი სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მათზე სამართლებრივი წვდომაც გააჩნიათ და მისი ბედის განკარგვა შეუძლიათ (სხვასთან ხელშეკრულების დადება, ტენდერის გამოცხადება და ა.შ.).²²¹ ამის მაგალითია შემდეგი კაზუსი სასამართლო პრაქტიკიდან:

შპს-ს ბუღალტერმა და დირექტორის მინდობილმა პირმა, რომელიც უშუალოდ განაგებდა შპს-ს საქმიანობას და მიუწვდებოდა ხელი კომპანიის შემოსავლებზე, ასევე უშუალოდ განკარგავდა კომპანიის საბანკო ანგარიშებს, 2010 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 23 თებერვლამდე პერიოდში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კომპანიის ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე გადარიცხვის, ასევე ხელზე გატანის და კომპანიის თანამშრომლების მიერ ნავაჭრი თანხის, მისი და სხვა პირების ანგარიშებზე შეტანის გზით, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა შპს-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა, საერთო ჯამში 3.724 833 ლარი.²²²

ზოგადად, მითვისების ან გაფლანგვისას მეორე ნაწილის დ ქვეპუნქტების გამიჯვნა კარგ დასაბუთებას მოითხოვს. მაგალითად, თუნდაც იგივე დისტრიბუტორი, რომელიც კომპანიის პროდუქციას აწვდის სხვადასხვა მაღაზიას, ერთ შემთხვევაში შეიძლება სხვა მუხლით დაისაჯოს, მეორეში კი 182-ე მუხლის მეორე ნაწილის დ ქვეპუნქტით. საკითხის გადასაწყვეტად უშუალოდ მისი უფლებამოსილებები უნდა იქნას დადგენილი მისივე დამსაქმებელი კომპანიის სტრუქტურის მიხედვით. ხშირ შემთხვევაში, დისტრიბუტორი თვითონ, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ მაღაზიებს უნდა მიაწოდოს პროდუქცია. ანუ, გამოდის რომ, მას თავისი დამსაქმებელი კომპანიისგან წარმოებული პროდუქციის იურიდიული ბედის გადანყვეტაც შეუძლია. ასეთ შემთხვევაში, კვალიფიკაციისას უფრო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან გვექნება საქმე. თუმცა, თეორიულად შეიძლება იყოს შემთხვევაც, როდესაც დისტრიბუტორს ასეთ უფლებამოსილებები შეზღუდული აქვს და მისი

²²⁰ თოდუა, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 164; დვალაძე, კომენტარში: დვალაძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 158, აბზ. 1.

²²¹ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნან. 2, 93.

²²² სუსგ №48აპ-23.

ქმედებები უფრო ტექნიკური ხასიათისაა. მაშინ, მის მიერ პროდუქციის უნებართვოდ დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქურდობად დაკვალიფიცირდება.²²³ პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან დისტრიბუტორის არსი მხოლოდ ტექნიკური საქმიანობაში არ მდგომარეობს, მაგრამ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყველა კომპანია თვითონ წყვეტს, ვის სამსახურს რა სახელწოდებას დაარქმევს და რა ფუნქციებით დატვირთავს მას.

- 378** დისტრიბუტორის შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ მაღაზიაში მომუშავე კონსულტანტისგან. მართალია, მას ფიზიკური წვდომა აქვს პროდუქტზე, თუმცა, ის მაინც უფრო ტექნიკურ საქმიანობას ახორციელებს, კერძოდ, პროდუქციასთან მიდის მყიდველი და კონსულტანტი მას უბრალოდ გარკვეულ ინფორმაციას აწვდის. ის დამოუკიდებლად ვერ წყვეტს პროდუქციის იურიდიულ ბედს. ეს ისედაც უკვე დადგენილია. შესაბამისად, კონსულტანტი პასუხს ქურდობისთვის აგებს. მითვისების მაგალითი იქნებოდა გამყიდველის მიერ, უნებართვოდ, პროდუქციის სახლში წაღება თანხის გადაუხდელად, ვინაიდან კონსულტანტისგან განსხვავებით, ის გაყიდვის პროცესსაც ახორციელებს და თანხის მიმოქცევის პროცესშიც არის ჩართული.
- 379** იგივე ითქმის მოლარესთან მიმართებითაც. მას თანხების განკარგვის უფლებამოსილება გააჩნია და პასუხსაც დამამძიმებელი გარემოებით აგებს. თუნდაც მაღაზიის მოლარის მიერ თანხის ნაწილის უნებართვოდ გამოყენება დამამძიმებელი გარემოებით დაისჯება.²²⁴
- 380** მითვისების გავრცელებული მაგალითებია ლიზინგის ხელშეკრულებით ცალკეული კომპანიებისგან ავტომანქანების გამოყვანა და შემდეგ მათი ნაწილებად დაშლა.²²⁵ ამ დროს კომპანია ფიზიკურ პირებს მართლზომიერად, ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს მოძრავ ნივთებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციისას თაღლითობისგან გამიჯვნაც უნდა მოხდეს. კერძოდ, როდესაც ამსრულებელი ხელშეკრულების გაფორმებისას, თავიდანვე მოტყუების განზრახვით მოქმედებს და მანქანას მაშინათვე დაშლის ან გაყიდის, ეს სსკ-ის 180-ე მუხლის ფარგლებში უნდა შეფასდეს და არა 182-ის. მითვისება გვექნება მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი განზრახვის არსებობის შემთხვევაში.²²⁶
- 381** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების კიდევ ერთი მაგალითია ფინანსურ დაწესებულებაში მომუშავე მენეჯერის

²²³ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 89.

²²⁴ სუსგ №85აპ-23.

²²⁵ სუსგ №995აპ-22; №985აპ-22.

²²⁶ აღნიშნულ გამიჯვნაზე მსჯელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოც ერთ-ერთ საქმეში - სუსგ №903აპ-22.

ან მოლარე-ოპერატორის მიერ ყალბი ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან ყალბი დოკუმენტების შექმნის საფუძველზე (ვითომ კლიენტმა გაიტანა თანხა) კომპანიის თანხების მითვისება. მსგავსი ქმედებები, 182-ე მუხლთან ერთად, სხვა, სპეციალური ნორმებითაც დაკვალიფიცირდება (მაგ. მუხ. 210 ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადებისას).²²⁷

დანაშაულის სუბიექტის საკითხი კიდევ ერთხელ რომ შევაჯამოთ, მითვისების ან გაფლანგვის დროს მას უნდა ქონდეს წვდომა სხვის ქონებაზე სხვადასხვა გზით, იქნება ეს მისი მართვა, რემონტი თუ სხვა. თუმცა, აღნიშნული ქონების იურიდიული ბედის გადანყვევის უფლებამოსილების ქონის გარეშე, მხოლოდ ფაქტობრივი ფლობა არ არის საკმარისი კვალიფიკაციისთვის. მაგალითად, დაცვის თანამშრომელი ან ფოსტის კურიერი გადასატანი ამანათის ან სხვა ნივთის დაუფლებისას ქურდობისთვის უნდა მიეცეს პასუხისგებაში. არც დაცვის თანამშრომელს და არც ფოსტის კურიერს არ აქვს უფლება, გადანყვიტოს ნივთების, ქონების ბედი. მართალია, სსკ-ის 182-ე მუხლის დისპოზიციისაში (ნან. 1) საუბარია მართლზომიერ მფლობელობაზე ან გამგებლობაზე, ანუ თითქოს სხვისი ნივთის მხოლოდ მფლობელობაც საკმარისია, მაგრამ ეს საკითხი ასე ვინროდ არ განიმარტება. უბრალოდ ნივთის ფაქტობრივი/ტექნიკური ფლობა არ არის საკმარისი მითვისებით ან გაფლანგვით კვალიფიკაციისთვის და ამაზე ჩვენს მიერ უკვე ზემოთ განხილული მაგალითებიც გვიჩვენებს. დროებით ამანათის მფლობელი ფოსტის კურიერიც არის, მაგრამ ის მაინც ქურდობისთვის აგებს პასუხს.

382

დანაშაულის **ობიექტი** არის სხვისი საკუთრება. კანონში დაკონკრეტებულია ეს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების სახით. არ აქვს მნიშვნელობა, ნივთი მოძრავია თუ უძრავი.

383

ქმედების ცალკეული მაგალითები უკვე განვიხილეთ, თუმცა, უნდა მოვახდინოთ გამიჯვნა მითვისებასა და გაფლანგვას შორის. წარმოვიდგინოთ შემდეგი კაზუსი:

384

მალაზიის გამყიდველმა თავისთვის უნებართვოდ სახლში წაიღო სამკაული. რამდენიმე დღის შემდეგ, მას მობეზრდა მისი ტარება და ის თავის მეგობარს აჩუქა.

პირველი ეპიზოდი გვაძლევს მითვისების შემადგენლობას, მაგრამ მეორე ეპიზოდს რაც შეეხება, გაჩუქება ვერ გადაიქცევა სხვისი ქონების გაფლანგვად, ვინაიდან უკვე მითვისებული ნივთის განკარგვა თუ როგორ მოხდება მოგვიანებით, კვალიფიკაციისთვის არარელევანტურია. მაშასადამე, გაფლანგვა არ არის მითვისების გაგრძელება ან მისი მეორე ეპიზო-

385

²²⁷ სუსგ №784აპ-22.

დი.²²⁸ ის დამოუკიდებელი ქმედებაა და თუ ამსრულებელმა გაფლანგვის სახით თავიდანვე არ განახორციელა ქმედება სხვისი ქონების მიმართ, მაშინ ის კვალიფიკაციიდან საერთოდ ამოვარდება. სასჯელის თვალსაზრისით ეს ისედაც არაფერს ცვლის, ვინაიდან დანაშაულის განხორციელების ორივე ფორმა მაინც მუხლის ერთ ნაწილშია მოქცეული.

386 მითვისებასა და გაფლანგვას შორის გამიჯვნის არსი მდგომარეობს შემდეგში: ამსრულებლის მიერ თავის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების საკუთარ ქონებასთან გაერთიანება (მაგ. ხელოსნისთვის მიბარებული მანქანის ნაწილებად დაშლა და გამყიდველის მიერ მაღაზიიდან თავისთვის სახლში ნივთის წაღება) მითვისებაა, ხოლო იმავე ნივთების საკუთარ ქონებასთან მიერთების გარეშე, მაგ. გაჩუქება ან პირდაპირ გახარჯვა, ჩათვლება გაფლანგვად.²²⁹ ვერც მითვისება გადაიქცევა მოგვიანებით გაფლანგვად და ვერც პირიქით, გაფლანგვა მითვისებად. ქმედება ან ერთით დაკვალიფიცირდება, ან მეორეთი. რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გვაქვს დანაშაულის ერთობლიობა სხვადასხვა ეპიზოდებიდან გამომდინარე.

387 მითვისებასა და გაფლანგვას შორის გამიჯვნის შესახებ მსჯელობა, ბუნებრივია, სასამართლო პრაქტიკაშიც გვხვდება. საქართველოს უზენაესი უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში შემდეგ მსჯელობას ავითარებს: ქმედების მითვისებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია, დადგინდეს უშუალოდ მიმთვისებლის მიერ სხვისი ქონების თავის ქონებასთან მიერთებისა და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობის ფაქტი. მითვისების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მიმთვისებელი სწორედ თავის სასარგებლო ქმედებას ახორციელებს. რაც შეეხება სხვა პირთათვის სარგებელს, შესაძლებელია, მითვისების შემდგომ ქონების სხვების სასარგებლოდ გამოყენება ან თუნდაც, მითვისების მომენტში სხვა პირთათვის სარგებლის მოტანის მიზნის არსებობა, თუმცა, ეს არ ცვლის იმ სამართლებრივ მოცემულობას, რომ მითვისებული ქონება უშუალოდ მიმთვისებლის ხელში უნდა მოხვდეს.²³⁰

388 სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ამსრულებლები ერთდროულად ახორციელებენ მითვისებისა და გაფლანგვის შემადგენლობას. ეს ორი ერთმანეთს არ გამორიცხავს.

389 ერთ ერთ-ერთ საქმეში²³¹ საბავშვო ბაღის დირექტორი და ბუღალტერი

²²⁸ თოდუა, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 165.

²²⁹ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნი I, ნაწ. 2, 89. დანვრ. ამ ორი ცნების გამიჯვნასთან დაკავშირებულ დავასთან მიმართებით იხ. დვალიძე, კომენტარში: დვალიძე/ხარანაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 163, აბზ. 21 და შემდეგი.

²³⁰ სუსგ №206აპ.-21.

²³¹ სუსგ №577აპ.-22.

თვითონაც იღებდნენ იმაზე მეტ ხელფასს, ვიდრე ეკუთვნოდათ და ასევე სხვა რამდენიმე პირზეც გაიცა ხელფასები მსგავსი ნამატით, მაშინ, როდესაც მათ მიერ შესრულებული დამატებითი სამუშაოების მტკიცებულება არ მოიპოვებოდა, რაც გაამართლებდა ასეთ გაზრდილ ჩარიცხვებს. მითვისების კვალიფიკაცია ეხება უშუალოდ საკუთარი თავისთვის თანხების ჩარიცხვას, ხოლო გაფლანგვა სხვა თანამშრომლებისთვის თანხის გადარიცხვას. საბავშვო ბაღის დირექტორი შებოჭილი იყო ფინანსური (სახელფასო) სახსრების მიზნობრივი ხარჯვისა და განკარგვის ვალდებულებით. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულებმა არ შეასრულეს წესდებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება საფინანსო სახსრების სახელფასო ნაწილის სამტატო განრიგის მიზნობრიობის შესაბამისად გაცემისა და დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის შესახებ.

გარდა ამისა, მითვისებასა და გაფლანგვასთან დაკავშირებულია სხვადასხვა, სახელმწიფოს მიერ ტენდერით გამოცხადებული პროექტების მხოლოდ ნაწილობრივ ან უხარისხოდ შესრულება, რაც სახელმწიფოს მხრიდან ჩარიცხულ თანხებს არ შეესაბამება.²³² ასეთ დროს, ძირითადად, შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან ხდება თანხობრივი სხვაობის მითვისება ან გაფლანგვა. მაგალითად, ათი მილიონის ნაცვლად შესრულდა რვა მილიონის სამუშაო, ორი კი მითვისებული ან გაფლანგული იქნა.

390

მითვისების ან გაფლანგვის სხვა მაგალითებია ე.წ. „მკვდარი სულები“ გაფორმება სამსახურებში და მათი ხელფასების მიღება, რეალურად ვარგისი საქონლის ჩამონერა და საკუთარი ქონებისთვის მიერთება, ფიქტიური ოპერაციების განხორციელება და მის სანაცვლოდ თანხების მიღება და ა.შ.²³³

391

სსკ-ის 182-ე მუხლი მატერიალური შემადგენლობაა, შესაბამისად, შედეგის სახით საჭიროა დამდგარი ზიანის შემოწმება. ეს იქნება სხვისი ქონების შემცირება. ამის გარეშე ვერ მოხდება დამთავრებული დანაშაულის კვალიფიკაცია. ასევე, დანაშაულის მატერიალური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირისა და ობიექტური შერაცხვის გათვალისწინებაც. ობიექტურ შემადგენლობაში, გარდა ამისა, შემოწმდება დამამძიმებელი გარემოებები.

392

²³² იხ. მაგ. სუსგ №324აპ-21.

²³³ დანვრ. იხ. *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 94 და შემდეგი.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- 393** მითვისება ან გაფლანგვა **განზრახი დანაშაულია (პირდაპირი განზრახვა)**. პირმა იცის და სურს კიდევ, რომ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას ითვისებს ან ფლანგავს.²³⁴ გარდა ამისა, არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ სპეციფიკური შემონმება ჭირდება სუბიექტურ ელემენტს დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებით. მაგალითად, სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტით კვალიფიკაცია - დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - მოითხოვს ერთიანი განზრახვის არსებობას თანაამსრულებლებს შორის. სხვა შემთხვევაში გამოირიცხება ჯგუფური დანაშაული.
- 394** დანაშაულის ჩადენის დროს არ აქვს მნიშვნელობა, სხვის ქონების მითვისება ან გაფლანგვა თუ რამდენი ხნით ხდება. მთავარია, მოხდეს სხვისი ქონების განკარგვა. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მაღაზიის გამყიდველის მიერ მისთვის მინდობილი ნავაჭრი თანხის უნებართვოდ სახლში წაღება რამდენიმე დღით და შემდეგ, ხელფასის აღებისას მისი უკანვე დაბრუნება არ გვაძლევს სსკ-ის 182-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობას.²³⁵ ეს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გაგებასთან. როდესაც ნივთის დაუფლება და შესაბამისად, მისი განკარგვა (ფულის დახარჯვა ხელფასის მიღებამდე) მოხდება, დანაშაული უკვე დამთავრებულია. ზემოთ მოყვანილ პოზიციას თუ გავიზიარებდით, მაშინ ქურდობაზეც, ძარცვაზეც და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებზეც იგივე მიდგომა უნდა გავგვერცელებინა და ლეგალური გაგებადა სხვისთვის ფულის მოპარვა/წართმევა იმის დათქმით, რომ რამდენიმე ხანში ის უკან იქნებოდა დაბრუნებული. ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, სამართლებრივად გაუმართლებელია და შესაბამისად, მსგავსი ქმედებები, პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებით, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

- 395** მართლწინააღმდეგობა და ბრალი მოწმდება სტანდარტულად. მაგალითად, თუ მაღაზიაში მომუშავე გამყიდველს შეიარაღებული თავდამხმელი მუქარით სალაროს გაახსნევენებს და ფულს მიაცემინებს, ეს ვერ შეფასდება გამყიდველის მიერ ჩადენილ გაფლანგვად. ის უკიდურესი

²³⁴ *ლეკვეიშვილი/თოდუა*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 91.

²³⁵ ასეთ მიდგომას ავითარებს *ლეკვეიშვილი/თოდუა*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 88.

აუცილებლობის ფარგლებში მოქმედებდა (სსკ მუხ. 30) და ვინაიდან მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთებია, ვიდრე მალაზიის მეპატრონის ფული, ვისთვისაც გამყიდველი მუშაობდა, ის არ დაისჯება. ამავდროულად, რა თქმა უნდა, უკიდურესი აუცილებლობის სხვა წინაპირობებიც უნდა იყოს დაცული.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხებთან მიმართებით ყურადღება უნდა მივაქციოთ სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ა (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა) და მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტებს (ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა). წინასწარი შეთანხმების გარეშე მითვისების ან გაფლანგვის ჩადენისას ამსრულებლები ჯგუფურობისთვის არ აგებენ პასუხს, ვინაიდან კანონმდებელი წინასწარ შეთანხმებაზე ამახვილებს ყურადღებას. ასეთ შემთხვევებში, თითოეული ამსრულებელი, ცალ-ცალკე, ნორმის პირველი ნაწილით მიეცემა პასუხისგებაში (სხვა დამამძიმებელი გარემოებების არარსებობისას).

396

6. მიმართება სხვა მუხლებთან

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის ძირითად საკითხებს ქმედების შემადგენლობის ფარგლებში უკვე შევეხეთ.

397

საიტერესოა ერთი საკითხი, რომელიც ეხება, ბინის შემადგენელი ნაწილების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს. კერძოდ, როდესაც პირი, დავუშვათ, ნაქირავები ბინიდან მოძრავ ნივთებს გაყიდის (ტელევიზორს, ავეჯს და ა.შ) და გარდა ამისა, ფანჯრებსაც ჩამოხსნის. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ფანჯრების, როგორც ბინის შემადგენელი ნაწილების მიმართ, ვერ გავრცელდება მითვისების ან გაფლანგვის შემადგენლობა, ვინაიდან დამქირავებელს ისედაც არ ქონდა მათი თავისუფალი გადაადგილების უფლება სივრცეში; შესაბამისად, ფანჯრების მიმართ ჩადენილი ქმედება ქურდობათ და სხვისი ნივთის დაზიანებად უნდა შეფასდეს.²³⁶

398

თუმცა, ეს მიდგომა საკმაოდ სადავოა იმ გადმოსახედიდან, რომ დამქირავებელმა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბინა მთლიანადაც კი შეიძლება გაყიდოს. დავუშვათ, მას თავიდან არ ქონია ამის განზრახვა, მაგრამ

399

²³⁶ თოდუა, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 171.

ფული გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაჭირდა და მერე გაუჩნდა აღნიშნული იდეა. ასეთ შემთხვევაში, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება თაღლითობად, ვინაიდან ბინა უკვე ისედაც მის მართლზომიერ მფლობელობაშია და შესაბამისად, კვალიფიკაცია სსკ-ის 182-ე მუხლით უნდა მოხდეს. თუ მთლიანი ბინის გაყიდვა შეიძლება შეფასდეს 182-ე მუხლის ფარგლებში, არც მისი შემადგენელი ნაწილების გაყიდვა მოდის 182-ე მუხლით კვალიფიკაციასთან წინააღმდეგობაში.

400 ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, სავარაუდოდ, გამომდინარეობს 182-ე მუხლის ძველი რედაქციიდან, რომელშიც საუბარია სხვის მოძრავ ნივთზე. მოქმედ რედაქციაში კი სიტყვა „მოძრავი“ ამოღებულია. მიუხედავად ამისა, ძველი რედაქციითაც შეიძლებოდა 182-ე მუხლით კვალიფიკაცია, ვინაიდან ფანჯრები მოხსნის შემდეგ გადაიქცეოდა მოძრავ ნივთებად და მათ ცალკე ღირებულება ექნებოდათ.

7. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (სსკ მუხ. 185)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

401

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი

- ობიექტი

სხვისი საკუთრება

- ქმედება

მოტყუება

- შედეგი

ქონებრივი დაზიანება

- მიზეზობრივი კავშირი

- ობიექტური შერაცხვა

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების ძირითადი შემადგენლობის **ამსრულებელი** შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. დაცული **სამართლებრივი სიკეთეა** სხვისი საკუთრება. 402

მთლიანობაში, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ფართო გაგებით, 403
თაღლითობის ერთ-ერთ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის ხერხი არის **მოტყუება**. მთავარი განსხვავება სსკ-ის 180-ე და 185-ე მუხლებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობის დროს ხდება დაზარალებულის ქონების შემცირება (ის გადასცემს სხვას თავის ქონებას ან ქონებრივ უფლებას), ხოლო 185-ე მუხლის შემთხვევაში არ ხდება მესაკუთრისგან ან მფლობელისგან ნივთის ამოღება. პირიქით, დაზარალებული არ იღებს იმ სარგებელს,

რაც მას იქით უნდა მიეღო დამნაშავესგან.²³⁷ ამის მარტივი მაგალითებია რესტორანში შესვლა, საჭმლის მიღება და იქიდან გაპარვა თანხის გადახდის გარეშე ან სასტუმროში ღამის გათევა და ფულის არგადახდა.²³⁸ სასტუმროს ან რესტორნის ქონებრივი ფონდი, ვინრო გაგებით, ამით არ მცირდება. უბრალოდ მიღებული მომსახურების ანაზღაურება არ ხდება.

404 ფართო გაგებით, რა თქმა უნდა, ქონებრივი ფონდის შემცირება მაინც ხდება. მაგალითად, თუ რესტორანი სტუმარს გაუმასპინძლდა ერთი ბოთლი ძვირფასი ღვინით და შესაბამისი თანხა ვერ მიიღო, მას ერთი ბოთლით ნაკლები ძვირფასი ღვინო რჩება მარაგში (ქონებრივი ფონდი შემცირდა). შესაბამისად, განზოგადებულად იმის თქმა, რომ დაზარალებულის ქონებრივი ფონდი საერთოდ არ მცირდება 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, სულ მცირე, დაკონკრეტებას საჭიროებს.²³⁹

405 ქონებრივი დაზიანება მოტყუებით არ გვექნება, მაგალითად, სექსმომსახურების განვეისთვის შეთანხმებული თანხის გადაუხდელობისას, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით, პროსტიტუცია, მართალია, სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, თუმცა, მაინც არალეგალურ საქმიანობას წარმოადგენს.²⁴⁰

406 საინტერესოა სასჯელების მონესრიგების საკითხი სსკ-ის 180-ე და 185-ე მუხლების შედარების ქრილში. რატომღაც, კანონმდებელმა მოტყუებით ჩადენილი ქონებრივი დაზიანებისთვის უფრო მსუბუქი სასჯელები დაადგინა, ვიდრე თაღლითობასთან მიმართებით, რაც, სულ მცირე, კითხვის ნიშნებს აჩენს. ორივე შემთხვევაში, დაზარალებულს მოტყუების შედეგად ადგება ქონებრივი ზიანი და ვერც იმას ვიტყვით, რომ სსკ-ის 185-ე მუხლის ამსრულებელი უფრო ნაკლები კრიმინალური ენერჯის მატარებელია 180-ე მუხლის ამსრულებელთან შედარებით.

407 ქონებრივი დაზიანება მოტყუებით **მატერიალური** შემადგენლობაა. ზიანი შეიძლება მიადგეს უშუალოდ როგორც ქონების მესაკუთრეს ან მფლობელს, ასევე იმ პირს, რომელსაც სახელშეკრულებო ან კანონიერი ურთიერთობის საფუძველზე უნდა მიეღო ეს ქონება.²⁴¹ ნებისმიერი ოდენობით ქონებრივი ზიანის მიყენება დაზარალებულისთვის, ზოგადად, საკმარისია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. თუმცა, არც ამ შემთხვევაში უნდა დაგვავინწყდეს სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი (მცირე მნიშვნელობის ზიანი). მაგალითად, თუ პირმა ტაქსისტი

²³⁷ *ლეკვიეშვილი/თოდუა*, წიგნი: *ლეკვიეშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 108.

²³⁸ სუსგ №410აპ-16.

²³⁹ იმავე მოსაზრებას ავითარებს *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 325.

²⁴⁰ შეად. *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 323.

²⁴¹ *ცქიტიშვილი*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, 327.

მოატყუა, მიაყვანინა თავი მისამართზე და მერე ფულის გადაუხდელად გაიქცა, ფორმალურად ეს ქცევა გვაძლევს სსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობას, მაგრამ, ამავდროულად, გადასახდელი თანხის ოდენობასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ორი-სამი ლარის არგადახდა ძალიან მცირე მნიშვნელობის ზიანია და ამისთვის არ არის აუცილებელი მაინცდამაინც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.²⁴² იგივეს თქმა შეიძლება საქალაქო ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობაზე. მართალია, ესეც ქონებრივ ზიანს აყენებს სატრანსპორტო კომპანიას, მაგრამ ზიანი ძალიან მცირეა და შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არის დადგენილი ჯარიმის სახით.

ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში **მიზეზობრივი კავშირი** და **ობიექტური შერაცხვა** შემონმდება სტანდარტულად. გარდა ამისა, იქვე განიხილება **დამამძიმებელი გარემოებებიც**. მაგალითად, 150 ლარზე მეტი ოდენობით ზიანის მიყენება ერთ-ერთი ასეთი გარემოებაა (ნან. 2, ქვეპ. გ).

სსკ-ის 185-ე მუხლით კვალიფიკაციები (სხვა მუხლებთან ერთობლიობაში) **409** ხშირია სამენარმეო საქმიანობის სფეროში, კერძოდ, როდესაც საწარმოების ხელმძღვანელი პირების მიერ ხდება ყალბი საგადასახადო აქტივების შექმნა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის გადასახადები. გავრცელებული სქემაა სხვადასხვა საწარმოს შორის ფიქტიურად ერთმანეთისთვის საქონლის მიწოდება-დაბრუნება, რის შედეგადაც იქმნება ყალბი აქტივი და მათი გამოყენება გადასახადების გადახდისას, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიუღებელ შემოსავალს გულისხმობს.²⁴³

პირმა ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელს ჩაასხმევინა 20 ლარის ბენზინი და დაპირდა, რომ ვინაიდან, იმ წუთას თანხა არ ქონდა, ვალს მეორე დღეს გაისტუმრებდა, რაც მან არ გააკეთა და ის მოატყუა.²⁴⁴ **410**

ეს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით. მართალია, რეალურად, დამნაშავემ მოტყუებით მიიღო სხვისგან პროდუქტი საწვავის სახით, რაც თაღლითობის შემადგენლობასაც შეესაბამება, მაგრამ, ვინაიდან სსკ-ის 185-ე მუხლი თაღლითობის სპეციფიური შემთხვევაა და დაზარალებულის მხრიდან მიუღებელ შემოსავალს გულისხმობს, კვალიფიკაციისას სწორედ ამ მუხლის გამოყენება მოხდება. **411**

²⁴² შეად. სუსგ №1105აპ-22, რომელშიც ტაქსის მძღოლს მგზავრმა არ გადაუხადა მომსახურების საფასური 50 ლარის ოდენობით, რაც, რა თქმა უნდა, დანაშაულია.

²⁴³ იხ. მაგ. სუსგ №363აპ-23, №912აპ-22.

²⁴⁴ შეად. სუსგ №964აპ-21, რომელშიც ბრალდებული მტკიცებულებების არარსებობის გამო გამართლდა, ხოლო №565აპ-18 საქმეში კი გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- 412** დანაშაულის ჩადენა ხდება **განზრახ**. პირი თავიდანვე უნდა მოქმედებდეს დაზარალებულის მოტყუების სურვილით. ეს კარგად ჩანს შემდეგ საქმეში:

საქმეში წარმოდგენილი, მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ ა-სა და ბ-ს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ა-მ გააქირავა, ხოლო ბ-მ დაიქირავა უძრავი ქონება, რის სანაცვლოდ, ყოველი თვის დასაწყისში ბ-ს უნდა გადაეხადა 75 ლარი და ასევე მის მიერ გახარჯული კომუნალური გადასახადების თანხა. დადგენილი იყო ისიც, რომ ბ-მ ბინით სარგებლობის სანაცვლო თანხა ა-ს ვერ გადაუხადა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რაც განპირობებული იყო მისთვის ხელფასის არასრულად გადახდითა და შვილის ავადმყოფობის გამო განეული ხარჯებით. თავის მხრივ, დაზარალებულმაც დაადასტურა მოცემული ფაქტი და განმარტა, რომ ბ-სგან იცოდა, რომ მან ხელფასი ვერ აიღო, ამასთან, შვილი ჰყავდა ცუდად და ამ მიზეზების გამო, ვერ უხდიდა ბინის ქირის თანხას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ს ქმედებაში გამოკვეთილი იყო არა საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით დათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, არამედ - მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების დარღვევით გამონეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო დავა, რაც, შესაბამისად, უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო და არა - სისხლის სამართალწარმოების წესით.²⁴⁵

- 413** მართალია, ამის დადგენა პრაქტიკაში რთული იქნება, მაგრამ მაინც საინტერესოა კვალიფიკაციის საკითხი, როდესაც, თავდაპირველად, ქირავნობის შესახებ გარიგების დადების დროს, პირს არ ამოძრავებდა სახლის გამქირავებლის მოტყუების განზრახვა, მაგრამ ბინაში შესვლიდან ერთ კვირაში, წარმოეშვა ეს განზრახვა და მთელი სამი კვირა, ანუ სანამ მოვიდოდა თვის ბოლო (თანხის გადახდის დრო), დარჩა იქ საცხოვრებლად.
- 414** აღნიშნულ საკითხს დიფერენცირებული მიდგომა დაჭირდება. პირველი ერთი კვირის პერიოდი ვერ შეფასდება დანაშაულად განზრახვის არარსებობის გამო, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო სამ კვირაზე. ზიანის გამოთვლაც სამი კვირის ქირის ოდენობით უნდა მოხდეს (სრული ქირიდან პროპორციულად).²⁴⁶
- 415** შესაძლებელია მსგავსი პრობლემატური შემთხვევების მიმართ სხვა მიდ-

²⁴⁵ სუსგ №224აპ-20, აბზ. 9.

²⁴⁶ შეად. *ლეკვეიშვილი/თოდუა*, ნიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, 109. ვერ გავიზიარებთ იმ განზოგადებულ მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმის გარკვევას, პირს ბინის დაქირავებამდე ჰქონდა გადაწყვეტილი ბინის პატრონის მოტყუება, თუ ეს განზრახვა მისი დაქირავების შემდეგ აღმოუცენდა.

გომების განვითარებაც, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ განზრახვის არსებობის/წარმოშობის მომენტს მიექცეს სათანადო ყურადღება, ვინაიდან, როგორც ვიცით, განზრახვა უნდა არსებობდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის მომენტში. მოგვიანებით წარმოშობილი განზრახვის გავრცელება უკვე განხორციელებულ ქმედებებზე არ ხდება.²⁴⁷

ობიექტური და სუბიექტური ელემენტის შემოწმება მნიშვნელოვანია სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის თვალსაზრისითაც. სწორედ ამაზე გამახვილდა ყურადღება უზენაესი სასამართლოს ქვემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში:²⁴⁸

ორმა პირმა, ა-მ და ბ-მ, იმგზავრა ტაქსით, შემდეგ კი, ვინაიდან თან ფული არ ქონდათ, მძღოლს ერთ-ერთმა მათგანმა თავისი საკრედიტო ბარათი დაუტოვა და ფულის შემდეგ დღეებში მიცემას დაპირდა. საუბარი იყო 55 ლარზე.

416

საპატიმრო სასამართლომ მათი ქმედება ჯგუფურად ჩადენილ თაღლითობად დააკვალიფიცირა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ შეცვალა, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის მოსაზრებით, თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს დამნაშავეს ან თავისი ნებით უთმობს უფლებას ნივთზე. მოცემულ შემთხვევაში კი არც ა და არც ბ არ დაუფლებია დაზარალებულის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს. მათ არ გადაიხადეს ტაქსით მგზავრობის ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც მძღოლს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო, რაც იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედების შემადგენლობას, როგორცაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. ხოლო მოტყუებას რომ ჰქონდა ადგილი, დადასტურდა შემდეგი გარემოებით: ა-მ და ბ-მ, როდესაც ტაქსი გამოიძახეს, წინდანინვე იცოდნენ, რომ მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა არ ჰქონდათ და ამის შესახებ ტაქსის მესაკუთრე არ გააფრთხილეს.

417

მართალია, შემდგომში ა-მ მას მიუტანა თანხის ნაწილი, მაგრამ ეს უკანასკნელი უზენაესმა სასამართლომ განიხილა როგორც ჩადენილი დანაშაულის ქმედითი მონაწილეობა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ასეთივე მნიშვნელობა მისცა მან იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთმა პირმა დაზარალებულს დაუტოვა თავისი საკრედიტო ბარათი.

418

²⁴⁷ ტურავა, ზოგადი ნაწილი, 134.

²⁴⁸ სუსგ 2104აპ.

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

419 მართლწინააღმდეგობა და ბრალი მოწმდება სტანდარტულად.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

420 ამსრულებლობასთან მიმართებით ყურადღება უნდა მივაქციოთ 185-ე მუხლის მეორე ნაწილის ა და მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტებს. დამამძიმებელ გარემოებას ვერ შექმნის წინასწარი შეთანხმების გარეშე ამ დანაშაულის ჩადენა. ჯგუფის წევრები, ანუ თანაამსრულებლები, ნებისმიერ შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით უნდა მოქმედებდნენ. თუ მეორე პირი, ასე ვთქვათ, უკვე დაწყებულ ქმედების შემადგენლობას მიუერთდება, ის მხოლოდ დამოუკიდებლად აგებს პასუხს ამსრულებლობისთვის ან თანამონაწილეობისთვის.

6. მიმართება სხვა მუხლებთან

421 თაღლითობისგან გამიჯვნაზე უკვე ვისაუბრეთ და აღნიშნულ საკითხს არ მივუბრუნდებით, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში სხვა შემადგენლობებიც გვხვდება, რომლისგანაც უნდა გაიმიჯნოს 185-ე მუხლი. იურიდიულ ლიტერატურაში ნაწილობრივ განხილულია სამოხელეო დანაშაულებისგან გამიჯვნის საკითხი, მაშინ, როდესაც ამსრულებელი საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ჩადის ქმედებას.²⁴⁹ თუმცა, როგორც ყოველთვის, საკითხი დიფერენცირებულ ანალიზს საჭიროებს. მაგალითად, საჯარო მოხელემ თუ აიღო ქრთამი და ამის შედეგად ვინმეს ქონებრივი დაზიანება მოხდა მოტყუებით, არ არის გამორიცხული სსკ-ის 185-ე და 338-ე მუხლების ერთობლიობით კვალიფიკაცია, ვინაიდან 338-ე მუხლი (ქრთამის აღება) თავის თავში არ მოიცავს მაინცდამაინც სხვის ქონებრივ დაზიანებას. ის, ზოგადად, საჯარო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ხოლო ვინმეს კერძო საკუთრების ხელყოფა ცალკე შეფასებას იმსახურებს.

422 რაც შეეხება სსკ-ის 332-ე მუხლს, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ანუ, როდესაც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ქრთამის გარეშე მოქმედებს, ნორმა ერთ-ერთი შედეგის სახით ფიზიკური პირის უფლების არსებით დარღვევას ადგენს. მაშასადამე, 338-ე მუხლისგან განსხვავებით, 332-ე მუხლში ფიზიკური პირებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანიც შედის და ამიტომ სსკ-ის 185-ე მუხლის

²⁴⁹ ლეკვეიშვილი/თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 108.

გამოყენება ზედმეტი იქნებოდა. თუმცა, ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ესეც საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და კვალიფიკაციის დროს, სხვისი საკუთრების ხელყოფისას, სისხლის სამართლის კოდექსის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან შესაბამისი მუხლიც უნდა იქნას გამოყენებული.

აღნიშნული საკითხები სამოხელეო და სხვა დანაშაულების ურთიერთმიმართების ქრილში საკმაოდ კომპლექსურია და ცდება მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან გამიჯვნის თემატიკას, ამიტომ აქ მეტ სიღრმეებში არ შევალთ. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიც, უბრალოდ უფრო საკითხისადმი მიდგომის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს.

423

სსკ-ის 185-ე მუხლის გამიჯვნა უნდა მოხდეს მითვისებისა და გაფლანგვისგანაც. მაგალითად, კერძო სატრანსპორტო კომპანიის ავტობუსის მძღოლს უფასოდ თუ დაყავს ცალკეული მგზავრები ნაცნობობის გამო და ამის შედეგად კომპანია მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანს განიცდის, ეს იქნება ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ხოლო თუ იგივე მძღოლი ბილეთებს გაყიდის, მაგრამ ფულს კომპანიას არ მიანვდის და თვითონვე დახარჯავს, გვექნება მითვისება.

424

8. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება (სსკ მუხ. 186)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა

425

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სხვა პირის მიერ ჩადენილი წინარე ქმედება

- სუბიექტი

- ობიექტი

სხვისი საკუთრება

- ქმედება

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით

სარგებლობა, ქონების შექენა, ფლობა ან გასაღება

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

426

აღნიშნული დანაშაულის დასჯადობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით მოსარგებლე, შემძენი, მფლობელი ან გამსაღებელი ხელს უწყობს პირველი დანაშაულით (წინარე ქმედებით) დაფუძნებული უმართლობის შენარჩუნებას და ამყარებს მას.²⁵⁰ მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ერთი პირი ჩადის ყაჩაღობას და ეუფლება სხვის ნივთს, მოგვიანებით კი მეორე პირი, სსკ-ის 186-ე მუხლის ამსრულებელი, ამ ნივთს მისგან ყიდულობს. ამით ეს მეორე პირი კიდევ უფრო ართულებს დაზარალებულის, ანუ დაყაჩაღებული პირის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.²⁵¹ აქედან გამომდინარე, ეს დანაშაული, უფრო აბსტრაქტული საფრხის შემქმნელი დელიქტია, ვინაიდან მეორე პირის მიერ განხორციელებულ ქმედებამდე სხვისი საკუთრება

²⁵⁰ Rengier, Strafrecht BT I, § 22 Rn. 2.

²⁵¹ Maier, კომენტარებში: Münchener Kommentar zum StGB, § 259 Rn. 2.

უკვე ისედაც ხელყოფილია. ახალი დანაშაული ამ საფრთხეებს პოტენციურად ზრდის. გარდა ამისა, დამნაშავე საზოგადოებრივ ინტერესებსაც უქმნის საფრთხეს, კერძოდ, თავისი ქმედებებით ის ქმნის დამატებით ცდუნებას, რომ ისევე მოხდეს სხვების ქონების უკანონოდ დაუფლება და მაგალითად ქურდს, მომავალშიც დანაშაულის გამეორების მეტი მოტივაცია ექნება.²⁵²

ქმედების შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ე.წ. **წინარე დანაშაულის** ჩადენის ფაქტი. ჯერ ერთი პირი ახდენს სხვისი ქონების დანაშაულებრივი გზით ხელში ჩაგდებას და მერე გადავდივართ სსკ-ის 186-ე მუხლის ამსრულებლის ქმედებაზე, რომელიც ასეთ ქონებას, მაგალითად, შეიძენს.²⁵³

წინარე ქმედებასთან მიმართებით, ნორმის დისპოზიცია გარკვეულ პრობლემას გვიქმნის, ვინაიდან მასში საუბარია დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებაზე. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ბრალუხნარო ა-მ, ტელეფონი მოპარა ბ-ს, შემდეგ კი ის მიყიდა გ-ს. გ-მ იცოდა, რომ ეს მოპარული ნივთი იყო.

იმისათვის, რომ გ დაისაჯოს 186-ე მუხლის პირელი ნაწილით, ჯერ ა-ს უნდა ქონდეს ჩადენილი დანაშაული და ამ გზით ტელეფონი მოპოვებული. დანაშაული კი ბრალის გარეშე არ არსებობს. მაშინ ერთი შეხედვით გამოდის, რომ გ-ს საერთოდ ვერ დავსჯით სისხლისსამართლებრივად. ამის თავიდან ასაცილებლად, ფართოდ უნდა განიმარტოს ნორმის დისპოზიცია და მასში უნდა მოვიპოვოთ არა ვინრო გაგებით დანაშაულის ჩადენის გზით ტელეფონის მოპარვა, არამედ უფრო განზოგადებულად, „დანაშაულებრივი გზით“ მისი დაუფლება. საკანონმდებლო სიცხადის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნებოდა, ნორმაში საუბარი იყოს მართლსაწინააღმდეგო გზით მოპოვებულ ქონებაზე და პრობლემა ბრალის არარსებობასთან დაკავშირებით საერთოდ მოიხსნებოდა. ახლა კი ნორმის განმარტების მეშვეობით გვინევს პრობლემის გადაჭრა.

წინარე დანაშაული უნდა იყოს მატერიალურად დასრულებული. მაგალითად, ქურდობის მცდელობის ეტაპზე თუ იქვე დაპირდება ქურდს მეორე პირი, შენგან ნაქურდალ ნივთებს შევიძენო, ეს იქნებოდა ქურდობაში თანამონაწილეობა დახმარების სახით.²⁵⁴ იგივეს თქმა შეიძლება, ზოგადად ნებისმიერ ეტაპზე, ამსრულებლისთვის წინასწარ დაპირების მიცემასთან

²⁵² Rengier, Strafrecht BT I, § 22 Rn. 3; Matthies K./Scheffler, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB, § 259 Rn. 2 ff.

²⁵³ სსკ-ის 186-ე მუხლი ე.წ. დანაშაულთან შემხებლობის ერთ-ერთ ფორმად ითვლება. იხ. *ბაქანიძე*, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 228.

²⁵⁴ შეად. Matthies K./Scheffler, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB, § 259 Rn. 14.

მიმართებით, მისგან მომავალში მოსაპარი ნივთების შექენასთან დაკავშირებით.²⁵⁵

- 431** ა-მ გამვლელს ჯიბიდან ამოაცალა 50 ლარი, შემდეგ კი ყვავილების მაღაზიაში ამ ფულით შეიძინა თაიგული და თავის შეყვარებულ ბ-ს აჩუქა, თან ფულის მოპარვის ამბავიც არ დაუმალა. დაისჯება თუ არა შეყვარებული ბ სსკ-ის 186-ე მუხლით?²⁵⁶
- 432** ბ არ დაისჯება 186-ე მუხლით. ფული და თაიგული განსხვავებული ნივთებია. ყვავილების შექენა ა-ს მიერ ლეგალურად მოხდა, ანუ მან ის არადანაშაულებრივი გზით მოიპოვა. კერძოდ, გამყიდველს ფული გადაუხადა. ბ-მ კი, თავის მხრივ, ლეგალურად შექენილი ნივთით ისარგებლა და მიიღო ის საჩუქარად. მგავს სიტუაციებში ნივთის მიმღების პასუხისგებაში მიცემა შეიძლება სსკ-ის 376-ე მუხლით, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, თუ სახეზეა ნორმის ყველა წინაპირობა.
- 433** მსგავსი მიდგომა გვჭირდება მოპარული ნივთის კეთილსინდისიერ შემქენთან მიმართებითაც.
- 434** ა-მ მოპარა ბ-ს მანქანა, შემდეგ კი ის მიყიდა კეთილსინდისიერ შემქენ გ-ს. ცოტა ხანში გ-მ ეს მანქანა გაყიდა ვინმე დ-ზე. დ-მ იცოდა, რომ ეს მანქანა თავის დროზე მოპარული იყო. დაისჯება თუ არა ის 186-ე მუხლით?
- 435** გ-ს მანქანა არ ქონდა დანაშაულებრივი გზით შექენილი. ის კეთილსინდისიერი შემქენია (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხ. 187). შესაბამისად, მისგან მანქანის ყიდვა არ არის დანაშაული. ეს მიდგომა თანაბრად უნდა გავრცელდეს მოძრავ და უძრავ ნივთებზე. ის, რომ შესაძლოა თავდაპირველ დაზარალებულს მანქანის დაბრუნების მოთხოვნის უფლება ქონდეს თუნდაც გ-სგან, სისხლისსამართლებრივ სურათს არ ცვლის. ნივთის დაბრუნების უფლება სხვა საკითხია და ქმედების დანაშაულად შეფასება სხვა.²⁵⁷
- 436** დანაშაულის **ამსრულებელი** შეიძლება იყოს ზოგადად ნებისმიერი პირი. თუმცა, სსკ-ის 186-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვეპუნქტთან მიმართებით საჭიროა სამსახურებრივი სტატუსი, იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორში. წინარე დანაშაულის ჩამდენ პირს, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, 186-ე მუხლით ვერ დავსჯით. მაგალითად, ქურდი როდესაც ყიდის მის მიერვე მოპარულ ავტომანქანას, ამით არავითარი დამატებითი საფრხე არ იქმნება და ის მხოლოდ 177-ე მუხლის ფარგლებში აგებს პასუხს.
- 437** განსხვავებულია სიტუაცია ისეთ საფრთხის შემცველ ნივთებთან მიმართებით, როგორცაა ნარკოტიკი ან იარაღი. მოპარვის შემდეგ მათი გავრ-

²⁵⁵ ბაქანიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 229.

²⁵⁶ კაზუსი მოყვანილია წიგნიდან *Tofahrn, Strafrecht* BT II, Rn. 799.

²⁵⁷ შეად. *Tofahrn, Strafrecht* BT II, Rn. 800.

ცვლებით ქურდი ახალ საფრთხეებს ქმნის და სსკ-ის 264-ე (ნარკოტიკის უკანონო დაუფლება) ან 237-ე მუხლთან ერთად (იარაღის უკანონო დაუფლება) პასუხს აგებს მათი გასაღებისთვისაც შესაბამისი სპეციალური მუხლებით (მუხ. 260 ან 236).

დაცული სამართლებრივი სიკეთეა სხვისი საკუთრება მოძრავი ან უძრავი ქონების სახით. **438**

ქმედება გამოიხატება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობაში, შექენაში, ფლობაში ან გასაღებაში. **439**

სარგებლობა გულისხმობს, მაგალითად, მოპარული ტელეფონის ან სხვა ნებისმიერი ნივთის თუნდაც დროებით გამოყენებას (წინასწარი შეცნობით. თუმცა ეს სუბიექტურ მხარეში მონმდება). ამით განსხვავდება შექენა და სარგებლობა ერთმანეთისგან. შექენის დროს ერთი პირი მეორე პირს თავისი ნებით გადასცემს ნივთზე ბატონობის უფლებას არადროებით. შესაბამისად, წინარე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის ნივთის მოპარვა ვერ დაკვალიფიცირდება 186-ე მუხლით. ეს იქნება ქურდობა, ვინაიდან წინა მფლობელის თანხმობის გარეშე ხდება ნივთის დაუფლება. არც სარგებლობის შემადგენლობა გვექნება, თუ მეორე პირი წინარე დანაშაულის ჩამდენ პირის ნივთს გამოართმევს გასანადგურებლად ან უბრალოდ დროებით შესანახად.²⁵⁸ **440**

ა-მ მალაზიიდან მოიპარა დიდი ოდენობით ტკბილეული. შემდეგ კი თავის მეგობარი ბ მიიპატიჟა სახლში, მოუყვა ქურდობის შესახებ და ტკბილეულის ნაწილი მასთან ერთად მიირთვა. აგებს თუ არა ბ პასუხს სსკ-ის 186-ე მუხლით? **441**

ეს საკითხი გარკვეულწილად სადისკუსიოა. სარგებლობას ფართოთ თუ განემარტავთ, მაშინ ბ უნდა დაისაჯოს 186-ე მუხლით. ვინრო განმარტების შემთხვევაში კი ნივთზე ბატონობას ისევ ა ინარჩუნებს და ბ-ს დამოუკიდებლად არ შეუძლია მოპარული ტკბილეულის ბედის გადაწყვეტა. შესაბამისად, ის ამ მუხლით არ უნდა დაისაჯოს.²⁵⁹ საბოლოო ჯამში, მაინც სარგებლობისთვის მოგვიწევს ბ-ს პასუხისგებაში მიცემა, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი, განზოგადებულად საუბრობს ყოველგვარ სარგებლობაზე, რათა ამის არდასჯით ხელი არ შეეწყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ნებისმიერი ფორმით გამოყენებას და გავრცელებას. ქართული სისხლის სამართალი იმდენად შორს

²⁵⁸ შეად. BGH NStZ 1995, 544.

²⁵⁹ ასეთი მიდგომა არის გაბატონებული გერმანულ სისხლის სამართალში. თუმცა, იქ ტერმინი „სარგებლობა“ უფრო მფლობელობის ჭრილში არის დანახული (sich verschaffen) და შესაბამისად, მეორე პირი (ანუ, 186-ე მუხლის ამსრულებელი ქართული სამართალი), ნივთზე ახალ ბატონობას უნდა აფუძნებდეს. ნივთით დროებით მოსარგებლე ან საკვების მიღები, ზემოთ მოყვანილი კაზუსის სიტუაციაში, არ ისჯება. იხ. მაგ. BGH 9, 137; BGH 33, 47.

მიდის, რომ ნებისმიერი ფორმით **ფლობასაც** კი დანაშაულად აცხადებს. სხვის მიერ მოპარული ნივთის თუნდაც დროებით შენახვა მფლობელობის ქვეშ მოექცევა.²⁶⁰ ამის ფონზე, სარგებლობა, მით უმეტეს დასჯადია. თუმცა, არდასჯადობა მაინც შეიძლება დაგვეფუძნებინა იმ არგუმენტზე, რომ ტკბილეულის მირთმევა მცირე ოდენობით არ ქმნის დამატებით რამე განსაკუთრებულ საფრთხეს.

- 443** გარდა ფლობისა და სარგებლობისა, დასჯადია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების **შეძენაც**. შეძენა სარგებლობისგან ან ფლობისგან იმით განსხვავდება, რომ ამსრულებელი სრულად ამყარებს ბატონობას ქონებაზე. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა მან ამაში ფული გადაიხადა თუ ის უბრალოდ საჩუქრად მიიღო. შეძენა ფართო გაგებით განიმარტება. იგივე ითქმის **გასაღებაზეც** (იგულისხმება გაჩუქებაც).
- 444** შეძენა და გასაღება, როგორც წესი, ვაჭრობის ფორმით ხდება. პირი იძენს სხვებისგან მოპარულ ნივთებს შედარებით დაბალ ფასში და შემდეგ კი ამ ნივთებს სხვებზე ასაღებს. ქურდობის ჩამდენი პირი მხოლოდ 177-ე მუხლით დაისჯება, ხოლო მეორე პირი კი 186-ით.²⁶¹
- 445** დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი ქმედების განხორციელების მომენტიდან. რამე კონკრეტული ზიანის დადგომა არ არის აუცილებელი. ანუ, 186-ე მუხლი **ფორმალური** შემადგენლობისაა.²⁶² მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს მისი მცდელობის კვალიფიკაციას. სრულიად უპრობლემოდ შეიძლება პირის დასჯა 19, 186-ე მუხლით, როდესაც ის, მაგალითად, ცდილობდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენას და სწორედ ამ დროის დააკავეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა.²⁶³
- 446** დანაშაულის დასრულების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი კაზუსი:

ა-მ მოიპარა კომპიუტერი და ის ლომბარდში ჩააბარა. შემდეგ კი ლომბარდის ქვითარი ბ-ს გადასცა - ნებისმიერ დროს შეგიძლია ის კომპიუტერი გამოიტანო, შენი იყოსო. ბ-მ იცოდა, რომ ნივთი მოპარული იყო.

²⁶⁰ *ლეკვეიშვილი*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 112.

²⁶¹ სუსგ №17აპ-18. იხ. ასევე სუსგ №950აპ-21, რომელშიც თავდაპირველად ყაჩაღობის გზით მოხდა სხვისი ნივთების დაუფლება.

²⁶² *ლეკვეიშვილი*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 112.

²⁶³ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მსგავსი კვალიფიკაციები. იხ. მაგ. სუსგ №283აპ-21, აბზ. 3, რომელშიც საუბარია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე 19, 186-ე მუხლით. მართალია, საბოლოოდ გამამართლებელი განაჩენი დადგა, თუმცა, ეს მოხდა მტკიცებულებების არარსებობის გამო.

ლომბარდიდან ნივთის გატანის შემთხვევაში, ბ დაისჯება დამთავრებული დანაშაულისთვის. ის იძენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას. მაგრამ, პრობლემატურია ნივთის გატანამდე პერიოდის შეფასება. ანუ, როდესაც მან აიღო ქვითარი, გვაძლევს კი ეს უკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას?

447

ამ საკითხთან დაკავშირებით ორი მოსაზრების განვითარება არის შესაძლებელი. პირველი - კვალიფიკაცია 18, 186-ე მუხლით, დანაშაულის მომზადება. ბ პირობებს ქმნის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული კომპიუტერის შესაძენად. მეორე - ქმედების დასრულებულ დანაშაულად კვალიფიკაცია, ვინაიდან, დოკუმენტის მიღება ბ-ს ნებისმიერ დროს აძლევს საშუალებას, ლომბარდიდან გაიტანოს კომპიუტერი.²⁶⁴ ქვითრის გადაცემის შედეგად ა-მ სრულად დაკარგა ბატონობა ნივთზე და ის მთლიანად ბ-ს ხელში აღმოჩნდა და ამ დროს გადამწყვეტი არ არის მაინცდამაინც მისი ფიზიკურად დაუფლება; ნივთზე მფლობელობა, შეიძლება ითქვას, „შუალობითი“ ფორმით ხორციელდება (ლომბარდში შენახვის გზით).²⁶⁵

448

ა-მ მუზეუმიდან მოიპარა ფიროსმანის ნახატი და მიყიდა ვინმე ბ-ს. რამდენიმე დღეში, ა-მ გადანწყვიტა, ხელოვნებაზე შეყვარებული მეგობარ გ-სთვის, დაბადების დღის აღსანიშნავად, გაეკეთებინა ძვირფასი საჩუქარი და ვინაიდან მეტი ნახატი არ ქონდა, ბ-სგან ისევ უკან გამოისყიდა ფიროსმანის ნამუშევარი.

449

ამ კაზუსში შესაფასებელია პირის ქმედება ორივე ეპიზოდში. პირველ ეპიზოდში, ა 177-ე მუხლის, ხოლო ბ კი 186-ე მუხლის ფარგლებში მიეცემა პასუხისგებაში. მეტ განხილვას საჭიროებს მეორე ეპიზოდი. დაისჯება თუ არა ა თვითონაც 186-ე მუხლით, ვინაიდან ბ-სგან ნახატი შეიძინა? ბ წინარე დანაშაულის ჩამდენი პირი გამოდის მეორე ეპიზოდში. მას თავის მხრივ დანაშაულებრივი გზით აქვს ნახატი შეძენილი და სწორედ ასეთი სტატუსის მქონე ნივთს იძენს ა. მიუხედავად ამისა, თავის მიერვე გაყიდული ნახატის უკან შეძენისთვის ა არ დაისჯება სსკ-ის 186-ე მუხლით.

450

ჩვენ, ჯერ კიდევ დასაწყისში აღვნიშნეთ შემდეგი - 186-ე მუხლით დასჯადობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით მოსარგებლე, შემძენი, მფლობელი ან გამსაღებელი, ხელს უწყობს პირველი დანაშაულით (წინარე ქმედებით) დაფუძნებული უმართლობის შენარჩუნებას და ამყარებს მას. ა-ს მიერ თავის მიერვე მოპარული ნახატის უკან შეძენის შემთხვევაში კი ასეთი რამ არ ხდება. მისი 186-ე მუხლით დასჯის შემთხვევაში უნდა დაგვესაბუთებინა, რომ მან საკუთარი, პირველი ქმედების გამყარებას შეუწყო ხელი, რაც არადამა-

451

²⁶⁴ შედარებისთვის, სწორედ ეს მოსაზრება არის გაბატონებული გერმანიაში. იხ. მაგ. BGHSt 27, 160.

²⁶⁵ BGHSt 27, 163.

ჯერებელი იქნებოდა.²⁶⁶

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- 452** ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, გავრცელებული მოსაზრებით, **პირდაპირ განზრახვაში** გამოიხატება, ვინაიდან კანონმდებელი წინასწარ შეცნობაზე საუბრობს. ამსრულებელმა, ზოგადად, უნდა იცოდეს, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.²⁶⁷ თუმცა, ასეთი მიდგომა ძალიან ზღუდავს ისეთი პირების დასჯადობის შესაძლებლობას, რომლებმაც იცოდნენ, რომ შესაძლოა, მათ მიერ შეძენილი ნივთი უკანონო გზით იყო მოპოვებული, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ გულგრილი იყვნენ (არაპირდაპირი განზრახვა) და პირიქით, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ იაფი შენაძენით (მაგ. მოპარული ტელეფონების შეძენა). აქედან გამომდინარე, „წინასწარი შეცნობა“ ზუსტ ცოდნად არ უნდა განიმარტოს. წინასწარ შეცნობაში იგულისხმება ისიც, რომ დამნაშავე, თუნდაც, უშვებს ქონების უკანონო წარმომავლობას და ამ საფრთხეს შეიცნობს.
- 453** სუბიექტური ელემენტის რომელ მოდელსაც არ უნდა მივემხროთ, კონკრეტული დანაშაულის ფორმის ცოდნა და იურიდიულ დეტალებში გარკვევა ამსრულებელს მაინც არ მოეთხოვება. მთავარია, ის ქონების წარმომავლობის ფაქტობრივ გარემოებებს იცნობდეს და იცოდეს, რომ ქონება სარგებლობის, შეძენის, ფლობის ან გასაღების მომენტში წინარე დანაშაულის ჩამდენი პირის ხელში უკანონოდ იმყოფებოდა (ან სავარაუდოდ იმყოფებოდა) და მერე გადადის მის ხელში.²⁶⁸
- 454** სსკ-ის 186-ე მუხლით დასჯადობისთვის არც ის არის აუცილებელი, რომ ამსრულებელი წინარე დანაშაულის ჩამდენ პირს მაინცდამაინც იცნობდეს.²⁶⁹ ქონების გამყიდველი შეიძლება სულაც არ იყოს პირადად წინარე დანაშაულის ჩამდენი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის 186-ე მუხლის ამსრულებლისთვის. მთავარია, რომ მას ქონდეს ცოდნა ქონების დანაშაულებრივი გზით მოპოვების თაობაზე.
- 455** გაუფრთხილებლობით აღნიშნული დანაშაულის ჩადენა გამორიცხულია, ვინაიდან წინასწარი შეცნობა ერთმნიშვნელოვნად განზრახვას გულისხმობს. თუმცა, არ არის გამორიცხული პირის დასჯა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების, მაგალითად, გაუფრთხილებლობით შეძენის შემდეგ მაინც დაისაჯოს, ოღონდ, სულ სხვა დანაშაულისთვის. კერძოდ,

²⁶⁶ შეად. Rengier, Strafrecht BT I, § 22 Rn. 73; Fischer, Strafgesetzbuch, § 259 Rn. 16a.

²⁶⁷ ლეკვეიშვილი, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 113.

²⁶⁸ Schramm, Strafrecht BT II, § 12 Ran. 64; Fischer, Strafgesetzbuch, § 259 Rn. 19 ff.

²⁶⁹ შეად. BGH NSTz 1983, 264.

თუ ის მერე გაიგებს ნივთის სტატუსის შესახებ და ამის თაობაზე სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინებს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება სსკ-ის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები მონმდება სტანდარტულად. **456**

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

წინარე დანაშაულის ჩამდენი პირი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ იქნება ამავდროულად 186-ე მუხლის ამსრულებელი. მაგალითად, ტელეფონის მოპარვა და შემდეგ მოპარული ნივთით სარგებლობა სსკ-ის 177-ე მუხლის ამსრულებელს (ქურდს) ვერ გადააქცევს 186-ე მუხლის ამსრულებლად. პირი მხოლოდ პირველი დანაშაულის ჩადენისთვის აგებს პასუხს.²⁷⁰ **457**

სსკ-ის 186-ე მუხლის ამსრულებელი იქნება თუნდაც მესამე პირი, რომელიც, თავის მხრივ, წინასწარი შეცნობით, დავუშვათ, ისარგებლებს სხვა პირის, ასევე 186-ე მუხლის ამსრულებლის ქონებით. ეს მარტივად ჩანს შემდეგ მაგალითში: **458**

ა-მ შეიძინა, წინასწარი შეცნობით, ნაქურდალი მობილური ტელეფონი, მერე კი ეს ტელეფონი, თავის მხრივ, მიყიდა ბ-ს. ბ-მ იცოდა, რომ ეს მოპარული ტელეფონი იყო.

ა-ც და ბ-ც, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, პასუხს აგებს სსკ-ის 186-ე მუხლით. თანაამსრულებლებად მათ ვერ ჩავთვლით, ვინაიდან ისინი პირველ და მეორე ეპიზოდებში ერთიანი განზრახვით არ მოქმედებდნენ. ორივემ ცალ-ცალკე განახორციელა უმართლობა. **459**

თანამონაწილეობის საკითხიც სტანდარტულად მონმდება. სსკ-ის 186-ე მუხლთან მიმართებით მისი სამივე ფორმის განხორციელება და სამართლებრივი შეფასება უპრობლემოდ არის შესაძლებელი. მაგალითად, ერთი პირი მეორე პირს აქეზებს ნაქურდალი ნივთის შეძენაში ან ეხმარება მას ამ პროცესში. **460**

6. მიმართება სხვა მუხლებთან

დანაშაულში თანამონაწილეობისგან გამიჯვნაზე უკვე ზემოთ ვი- **461**

²⁷⁰ ბაქანიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 235.

საუბრეთ. ამიტომ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით. თუმცა, საინტერესოა რამდენიმე წინარე დანაშაულის ჩამდენი პირისგან რამდენიმე ნივთის შეძენის შეფასება.

462

ა-მ მალაზიის საწყობიდან მოიპარა მობილური ტელეფონი და კომპიუტერი. მოგვიანებით მან ორივე ნივთი ბ-ს მიყიდა. ბ-მ იცოდა ამ ნივთების უკანონო წარმომავლობის შესახებ.

463

ბ-ს ქმედება მხოლოდ ერთი დანაშაულის ფარგლებში, სსკ-ის 186-ე მუხლით დაკვალიფიცირდება. ორი სხვადასხვა ნივთის შეძენა ერთი პირისგან მის ქმედებას ვერ გადააქცევს დანაშაულის ერთობლიობად (ორჯერ 186-ე მუხლით კვალიფიკაციად). ბ ამ შემთხვევაში ერთიანი განზრახვით მოქმედებდა ორივე ნივთის მიმართ. მისი ქმედება ერთ დანაშაულად შეფასდება მაშინაც, როდესაც ის ა-სგან სხვადასხვა წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებულ ნივთებს ერთჯერადად შეიძენდა.²⁷¹ მაგრამ, თუ ის დროის მნიშვნელოვანი ინტერვალით განახორციელებს სხვადასხვა ნივთების შეძენას, მაშინ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ თითოეული ეპიზოდის ცალ-ცალკე, 186-ე მუხლით კვალიფიკაციაზე (ახლად წარმოშობილი განზრახვა).

464

სსკ-ის 186-ე მუხლის შემადგენლობა უნდა გავმიჯნოთ ამავე კოდექსის 194-ე მუხლის შემადგენლობისგან (ფულის გათეთრება). მათ შორის მსგავსება მდგომარეობს არალეგალური გზით მოპოვებული ქონების, შემოსავლის დამატებით მიმოქცევაში. ორივე შემთხვევაში გვჭირდება წინარე დანაშაულის არსებობა. მათ გასამიჯნად ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სუბიექტურ შემადგენლობაზე. კერძოდ, ფულის გათეთრების დროს, დანაშაულის მიზანია ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვა ან/და სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარება. სსკ-ის 186-ე მუხლის ამსრულებელი კი მსგავსი მიზნებით არ მოქმედებს.²⁷²

²⁷¹ შეად. Fischer, Strafgesetzbuch, § 259 Rn. 32.

²⁷² დანვრ. იხ. ლეკვეიშვილი, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 114.

9. ნივთის დაზიანება ან განადგურება (სსკ მუხ. 187, 188)

1. კაზუსის ამოხსნის სქემა (სსკ მუხ. 187)

465

1. ქმედების შემადგენლობა

ა) ობიექტური შემადგენლობა

- სუბიექტი

- ობიექტი

სხვისი საკუთრება

- ქმედება

- შედეგი

ნივთის დაზიანება ან განადგურება მნიშვნელოვანი

ზიანის ოდენობით

- მიზეზობრივი კავშირი

- ობიექტური შერაცხვა

- დამამძიმებელი გარემოება

ბ) სუბიექტური შემადგენლობა

- განზრახვა

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

აღნიშნული სქემა ეხება მხოლოდ განზრახ ჩადენილ ნივთის დაზიანებას ან განადგურებას. სსკ-ის 188-ე მუხლთან მიმართებით კი ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, მიზეზობრივ კავშირსა და ობიექტურ შერაცხვას შორის, ცალკე შემონმდება წინდახედულობის ნორმის დარღვევის საკითხი.²⁷³

466

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის **ამსრულებელი** ორივე მუხლის შემთხვევაში ზოგადია. **ობიექტი** კი სხვისი საკუთრებაა, კერძოდ ნივთი. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ნივთი მოძრავია თუ უძრავი. საკუთარი ქონების ხელყოფა სისხლისსამართლებრივად საერთოდ არ ისჯება. მაგალითად, ვინმემ გაბრაზებულზე

467

²⁷³ დანვრ. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულების აგებულებასთან დაკავშ. იხ. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 245 და შემდეგი; ასევე, ჯიშკარიანი, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 87 და შემდეგი.

რომც ჩალენოს საკუთარი სახლის კარ-ფანჯარა ან ძვირფასი ტელეფონი კედელს მიანარცხოს, არ დადგება დასჯადობის საკითხი. თუმცა, სხვა სიტუაციაში, კერძოდ საკუთარი ტელეფონის საჯარო სივრცეში გადაგდების შემთხვევაში, რაც იქვე გაჩერებული სხვისი მანქანის საქარე მინის დაზიანებას გამოიწვევს, სამართლებრივი სურათი იცვლება. საკუთარი ტელეფონის მიმართ პასუხისმგებლობა არ დაგვეკისრება, მაგრამ მანქანა სხვისი საკუთრებაა და სსკ-ის 188-ე მუხლით მოგვინვეს პასუხისგება.

- 468 ქმედების** განხორციელების ფორმები კანონში, ყოველ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობებში, დაკონკრეტებული არ არის. ის ხორციელდება როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით (მაგ. სამართლებრივი გარანტიის უმოქმედობის გამო განადგურდა სხვისი ქონება). ერთადერთი, რასაც ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის ორივე მუხლში ჩადებული დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ 187-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტი - ქმედების განხორციელება ცეცხლის ნაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით და 188-ე მუხლის მეორე ნაწილი - ქმედება, ჩადენილი ცეცხლთან ან მომეტებულ საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. პასუხისმგებლობის დამძიმებისას კანონმდებელი, როგორც ვხედავთ, სპეციფიკურ მოთხოვნებს ადგენს და აქ უკვე ზოგადი მიდგომით ვერ შემოვიფარგლებით.
- 469** სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება მატერიალური დანაშაულია და **შედეგის** სახით, სულ მცირე, *მნიშვნელოვანი ზიანი* (ნივთის ღირებულება 150 ლარს ზევით) უნდა დადგეს. კანონმდებელი ერთნაირად უდგება ამ დანაშაულის ჩადენას როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმით და ორივე შემთხვევაში 150 ლარზე ავლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვარს, რაც შეიძლება დისკუსიის საგანი იყო და გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად სამართლიანია მსგავსი გათანაბრება.²⁷⁴
- 470** სასჯელების თვალსაზრისით, შედეგის კონტექსტში, საინტერესოა ქურდობისა და სხვისი ნივთის განზრახ განადგურების შედარებაც. მაგალითად, პირი სხვისი, 1 000 ლარის ღირებულების ნივთის განზრახ განადგურებისას პასუხს აგებს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, მაქსიმუმ ერთიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით. ხოლო, ზუსტად იმავე პირის მიერ 151 ლარის ღირებულების ნივთის მოპარვისას, რომელიც შეიძლება იყოს ავტომანქანის დეტალი, მას ემუქრება ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა (მუხ. 177, ნაწ. 3 ქვეპ. დ). ასეთი რადიკალური სხვაობა ორ სხვადასხვა დანაშაულს შორის, როდესაც შე-

²⁷⁴ მაგ. გერმანული ან ავსტრიული სისხლის სამართალი განზოგადებულად არ იცნობს გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანების დასჯადობას, მაგრამ ცალკეული ფორმები მაინც დასჯადია. მაგ. გერმანიის სსკ-ის 306d პარაგრაფი ეხება გაუფრთხილებლობით ცეცხლის ნაკიდებას.

დეგი, პრინციპში, იდენტურია (მსხვერპლი ორივე შემთხვევაში კარგავს საკუთრებას), სულ მცირე, საკანონმდებლო თვალსაზრისით გადახედვას საჭიროებს.

შედეგის შემონიშნების ფარგლებში ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ზიანის ოდენობას, არამედ იმასაც, მოხდა სხვისი ნივთის მხოლოდ დაზიანება თუ ის განადგურდა. **471**

ნივთის განადგურების ფაქტის დადგენა შედარებით მარტივია. ასეთ შემთხვევებში ნივთი საერთოდ არ ექვემდებარება აღდგენას, რესტავრაციას. ის წყვეტს ფიზიკურად არსებობას ან მისი სუბსტანცია იმდენად ხელყოფილია, რომ საერთოდ გამოუსადეგარია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.²⁷⁵ ნივთის მხოლოდ ნაწილობრივი განადგურება, უფრო დაზიანებად შეფასდება, თუ მისი საგნობრივი სუბსტანცია ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია.²⁷⁶ ნივთის განადგურება, ბუნებრივია, თავის თავში ნივთის დაზიანების სტადიასაც მოიცავს. შესაბამისად, კაზუსზე მსჯელობისას დაზიანებაზე მსჯელობა ზედმეტია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი გამიჯვნის აუცილებლობიდან გამომდინარე არის ეს საჭირო. მაგალითად, ერთი პირის მიერ მეორე პირის სახლის მთლიანად დაწვის შემთხვევაში დაზიანებაზე ცალკე მსჯელობა ზედმეტია. **472**

რაც შეეხება უშუალოდ დაზიანებას, ამაში იგულისხმება ნივთზე ისეთი გარე ზემოქმედება, რის შედეგადაც მისი თვისობრივი გაუარესება ხდება (მაგ. ღირებულების შემცირება, ფუნქციონირების შეზღუდვა²⁷⁷ და ა.შ.).²⁷⁸ ნივთის დაზიანება შესაძლებელია მისი სუბსტანციის ხელყოფის გარეშეც. ამის კარგი მაგალითია შემდეგი კაზუსი გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან:²⁷⁹ **473**

გარემოს დამცველთა გარკვეულმა ჯგუფმა გადაწყვიტა ხელი შეეშალა სატვირთო მატარებლის გადაადგილებისთვის, ვინაიდან მას, მათი აზრით, გარემოსთვის სახიფათო ნარჩენები უნდა გადაეტანა. ამ მიზნით, ამ პირებმა, ზედ რკინიგზის დეპოს გამოსასვლელთან, რელსებს შორის სპეციალურად დამზადებული, ყუთისმაგვარი, 1.5 მეტრი სიგრძის რკინის კონსტრუქცია ჩადგეს, რათა მატარებელი საერთოდ ვერ გამოსულიყო დეპოდან. მოგვიანებით, ამ „ჩანამატის“ მოხსნა მხოლოდ ელექტროშემდუღებელი აპარატის გამოყენებითა და რელსების იმ მონაკვეთის დაშლით მოხერხდა. ამ ყველაფერმა კი 25 000 გერმანული მარკის ოდენობით ზიანი გამოიწვია.

²⁷⁵ *ლეკვეიშვილი*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 116.

²⁷⁶ *Fischer, Strafgesetzbuch*, § 303 Rn. 14.

²⁷⁷ RG 66, 205.

²⁷⁸ *ლეკვეიშვილი*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნან. 2, 116.

²⁷⁹ BGHSt 44, 34 ff.

- 474** აღნიშნულ კაზუსში საინტერესო ის არის, რომ ამსრულებლებს უშუალოდ რელსებისთვის ე.წ. სუბსტანციური ზიანი არ მიუყენებიათ (არ „დაუზიანებიათ“). მათ არც რელსებზე მიუდებიათ რამე და არც მოუხსნიათ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მათი ქმედება მაინც სხვისი ნივთს დაზიანებად შეაფასა, ვინაიდან რელსების გამოყენება გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იყო და დაბრკოლების მოხსნა მხოლოდ მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა. მაშასადამე, ნივთის დაზიანებისთვის არ არის უშუალოდ მისი ხელყოფა აუცილებელი, არამედ საკმარისია გარე ზემოქმედების შედეგად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის არსებითად ხელის შეშლა.²⁸⁰
- 475** აღნიშნულ საქმეში საინტერესო იყო მეორე საკითხიც. კერძოდ, საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ იმ დღეებში სატრანსპორტო კომპანია ისედაც არ აპირებდა დეპოდან მატარებლის გაყვანას და ბლოკირებული ლიანდაგის გამოყენებას. ეს საკითხი სასამართლომ კვალიფიკაციისთვის არარელევანტურად მიიჩნია.²⁸¹ ეს მიდგომა სწორიცაა, ვინაიდან გადამწყვეტი ის კი არ არის, იმნუთას აპირებს თუ არა ნივთის გამოყენებას მისი მეპატრონე, არამედ ზოგადად მისი ხელყოფის ფაქტი.
- 476** სხვისი ნივთის დაზიანება, ზემოთ განხილული მაგალითების გარდა, უამრავი სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვის მთავარი ფაქტორი ობიექტურ მხარეში ზიანის ოდენობაა (150 ლარს ზევით), დანარჩენი კი უკვე ადამიანების ფანტაზიაზე დამოკიდებული, თუ რა ფორმით ხელყოფენ სხვის საკუთრებას. თუნდაც სხვისი ტანსაცმლის დაზიანება უპრობლემოდ ჩაჯდება სსკ-ის 187-188-ე მუხლების შემადგენლობაში.
- 477** არცთუ იშვიათად, საპროტესტო გამოსვლების დროს, ხდება გარკვეული პოლიტიკოსების მიმართ კვერცხების ან სხვადასხვა ნივთების სროლა, რაც, ბუნებრივია, მათი ტანსაცმლის დაზიანებას იწვევს და შეიძლება ის გამოუსადეგარიც კი გახდეს. მართალია, ესეც მოგვცემს სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ქმედების შემადგენლობას, მაგრამ, ასეთ სპეციფიურ შემთხვევებში, არ უნდა დაგვავინყდეს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებიც და სასამართლომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს, ხომ არ გადანონის კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება უბრალოდ ტანსაცმლის დაზიანებას. ე.წ. სტანდარტულ შემთხვევებში (მაგ. ერთიორი კვერცხის სროლა), უმჯობესია, უფრო მაღლა დავაყენოთ გამოხატვის თავისუფლება და მაქსიმუმ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით შემოვიფარგლოთ, ვინაიდან ასეთი სიმბოლური ხასიათის თავდასხმები პოლიტიკოსებზე მთელ მსოფლიოში საკმაოდ

²⁸⁰ BGHSt 44, 38.

²⁸¹ BGHSt 44, 38.

გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს და ცალკეული საკითხისადმი ყურადღების მიქცევის ეფექტური საშუალებაა. მაგრამ, რა თქმა უნდა, იგივეს ვერ ვიტყვით ბევრად უფრო ხისტი და საშიში საშუალებების გამოყენებაზე დემონსტრანტების მხრიდან. მათ თუ პოლიტიკოსის სახლი გადაწვეს, ეს ვერანაირად ვერ გამართლდება გამოხატვის თავისუფლებით და საზოგადოებრივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად სისხლის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული.

ნივთის დაზიანებად უნდა ჩაითვალოს მისი დაშლაც, თუ მისი ისევე აწყობა მარტივად შეუძლებელია. მაგალითად, ვინმემ ველოსიპედს უბრალოდ საბურავი რომ მოხსნას და იქვე დადოს, ეს ვერ ჩაითვლება ნივთის დაზიანებად. საბურავის ისევე მორგება მარტივად არის შესაძლებელი. სურათი იცვლება ველოსიპედის სრულად დაშლის შემთხვევაში, რომლის აწყობაც გარკვეული სპეციფიკიდან გამომდინარე რთულია და ამას ხელოსნის ჩარევა დაჭირდება.²⁸²

478

ასეთ შემთხვევებში განსხვავებული შეხედულებები შეიძლება წარმოიშვას ზიანის ოდენობის დათვლასთან მიმართებით, ვინაიდან ეს ექსპერტიზასთან არის დაკავშირებული. დავითვალოთ ხელობის ხარჯები თუ მასშტაბად ველოსიპედის ღირებულება უნდა ავილოთ? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საერთო მიდგომა ჩამოყალიბდება. ზიანის ოდენობის დასადგენად ველოსიპედის მთლიანი ღირებულების დათვლის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ სწორედ ეს ნივთი არის ხელყოფილი მთლიანობაში (დაზიანება მიანცდამაინც რალაცის გატეხვას არ გულისხმობს) და თავისი დანიშნულებით, შეკეთების გარეშე, ის სრულიად გამოუსადეგარია მისი მფლობელისთვის. ხოლო ძალიან ვიწრო მიდგომით, დაშლა დაზიანებას არ ნიშნავს და შესაბამისად, ხელობის ხარჯები უნდა გახდეს ათვლის წერტილი.

479

ზოგადად, სხვა შემთხვევებშიც, სასურველია, რომ უშუალოდ დაზიანებული ნივთის ღირებულების გარდა, მისი შეკეთების ხარჯებიც იქნას გათვალისწინებული, ვინაიდან, მაგალითად, სხვისი გაჩერებული ავტომანქანის საქარე მინის დაზიანების შემთხვევაში, შეიძლება ეს მინა 140 ლარი ღირდეს, მისი ჩასმა კი 50 ლარი და მხოლოდ მინის ფასის დათვლის შემთხვევაში საერთოდ ვერ დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც არ არის სამართლიანი. საქარე მინის ჩასმის გარეშე, ავტომანქანის წესების შესაბამისი გამოყენება მაინც ვერ მოხდება,

480

²⁸² შეად. *Fischer, Strafgesetzbuch, § 303 Rn. 10*. გერმანულ სამართალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ზოგიერთი მოსაზრებით ნივთის დაზიანებად საბურავის მოხსნაც ან მისგან ჰაერის გამოშვებაც კი ითვლება, ვინაიდან, განსხვავებით ქართული სამართლისგან, შედეგში თანხობრივად არ ხდება ზიანის დათვლა და ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სხვისი ნივთის ხელყოფა ზოგადად.

ეს კი სწორედ ხელოსნის ხარჯებზეა მიბმული.²⁸³ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა ქართულ პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად არ არის ფეხმოკიდებული და აქცენტი უშუალოდ ნივთისთვის მიყენებულ ზიანზე კეთდება. ამ ფონზე აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილება, რომელშიც უშუალოდ მანქანის დაზიანებული დეტალების ღირებულებასთან ერთად ნახსენებია აღდგენითი სამუშაოების ღირებულებაც.²⁸⁴

481 პრაქტიკაში არ არის გამორიცხული, იშვიათად, მაგრამ მაინც მოხდეს სხვადასხვა ვარიაციით შემდეგის სახის შემთხვევა:

ა-მ დაინახა, რომ მისი მეზობლის, ბ-ს მანქანის საქარე მინები იყო დაზიანებული და ვინაიდან თვითონ ხელოსანი იყო, ადგა და საქარე მინები პატრონის თანხმობის გარეშე გამოცვალა. სინამდვილეში ბ-ს სულაც არ სურდა ეს გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე. ა-მ იცოდა ამის თაობაზე.

482 ერთი შეხედვით, ა-ს ნივთის დაზიანება ან განადგურება ან განუხორციელებია. პირიქით, მან შეაკეთა სხვისი დაზიანებული მანქანა. მაგრამ, საკითხს მანქანის მეპატრონის პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. იმისათვის, რომ მან თავისი მანქანა პირვანდელ მდგომარეობაში მოიყვანოს, მას დაჭირდება მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა. ესე იგი, მან უნებართვო „რემონტის“ შედეგად განიცადა ზიანი. ნივთის მეპატრონე თვითონ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს თავისი საკუთრების ბედი და როგორც უნდა, ისეთ მდგომარეობაში იყოლიებს მანქანას.²⁸⁵ მას შეიძლება ეს დაზიანებული ნივთი სულაც სარეკლამო ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის ჭირდებოდეს (მაგ. ფილმში იღებენ და ნივთს სწორედ ასეთი დაზიანებები უნდა აღენიშნებოდეს). ნივთის დაზიანება მაინცდამაინც „ნეგატიური“ გაგებით არ უნდა იქნას განმარტებული. წარმოვიდგინოთ, რომ მეზობელმა ნებართვის გარეშე სხვისი სახლი მთლიანად ახალ ფერში გადაღებოს. თითქოს ესეც არ ცვლის სახლის სუბსტანციას და ვინრო გაგებით არაფერი ზიანდება, მაგრამ ეს მაინც უხეში ჩარევაა სხვის საკუთრებაში.²⁸⁶

483 ყოველივე აქედან გამომდინარე, ა-მ პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 187-ე მუხ-

²⁸³ ამავე მოსაზრებას ავითარებს *ლეკვიშვილი*, წიგნში: *ლეკვიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწ. 2, 116.

²⁸⁴ სუსგ №762აპ-19, აბზ. 3.

²⁸⁵ *Rengier, Strafrecht BT I*, § 24 Rn. 14.

²⁸⁶ შეად. *Popp*, კომენტარებში: *Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB*, § 303, Rn. 18 ff. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს, გერმანიის სსკ-ში განხორციელებულ ცვლილებამდე, რომლითაც ნივთისთვის გარეგნობის შეცვლაც პირდაპირ გაიწერა კანონში, როგორც ნივთის დაზიანება, ეს საკითხი სადავო იყო. სასამართლო პრაქტიკა მსგავს „გარეგნულ ცვლილებასაც“ ნივთის დაზიანებად მიიჩნევდა (მაგ. *BGH 29, 132*), თუმცა, დოქტრინაში ამის საპირისპირო ბევრი მოსაზრება არსებობდა. დღეისათვის კი ეს პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან კანონმდებელმა პრაქტიკის მიდგომა გაიზიარა და ის პირდაპირ კანონში ასახა.

ლით. ექსპერტმა უნდა დაითვალოს თუნდაც იმ დაზიანებული საქარე მიწების ღირებულება. ასევე, ამას უნდა დაემატოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხარჯებიც (თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ პრაქტიკაში ხელობის ხარჯების გათვალისწინება, როგორც წესი, არ ხდება).

ნივთის დაზიანებასთან და განადგურებასთან დაკავშირებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შემდეგი კაზუსებიც გვხვდება: კორპუსის სადარბაზოში ლიფტის ელექტრონული გასაღების წამკითხველის დაზიანება დანის გამოყენებით,²⁸⁷ სხვისი ნაკვეთიდან მიწის ამოთხრა,²⁸⁸ გაბრაზების ნიადაგზე სხვისი მაჯის საათის იატაკზე დახეთქება და დაზიანება,²⁸⁹ სხვისი ტელეფონის დამტვრევა და შეგდება ლუმელში,²⁹⁰ დაკავებული პირის მიერ პოლიციის განყოფილების მიწისა და ფარდა-ჟალუზის დაზიანება ფეხის დარტყმით,²⁹¹ სხვისი გაჩერებული ავტომანქანის რკინის ნივთით დაზიანება პარკინგთან დაკავშირებული დავის გამო,²⁹² ბინისთვის ცეცხლის წაკიდება მტკიცებულებების განადგურების მიზნით,²⁹³ თანხის წაგების გამო გაბრაზებულზე სათამაშო აპარატის ეკრანის დაზიანება ხელის დარტყმით,²⁹⁴ გაქცევის მცდელობისას პოლიციის მანქანის დაზიანება და პოლიციელისთვის უნიფორმის ჩამოხვევა²⁹⁵ და ა.შ.

484

ვინაიდან სსკ-ის 187-188-ე მუხლები მატერიალური შემადგენლობებია, ორივე შემთხვევაში შემონმდება **მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა.**

485

სსკ-ის 187-ე მუხლის ობიექტურ მხარეში ყურადღება უნდა გამახვილდეს დამამძიმებელ გარემოებებზეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტი - **ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.** აღნიშნული ქვეპუნქტი ერთიან კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. კერძოდ, მასში, მთლიანობაში ნაგულისხმევია ისეთი ხერხის გამოყენება, რომელიც უფრო მეტ საფრთხეს ქმნის, ვიდრე უბრალოდ ცალკე აღებული რომელიმე ერთი ნივთის დაზიანება ან განადგურება.²⁹⁶ მაგალითად, პირმა სხვისი პიჯაკი რომ აიღოს და გაბრაზებულზე დანვას, ამით არავითარი დამატებითი საფრთხე არ იქმნება და ზედმეტია აღნიშნული დამამძიმე-

486

²⁸⁷ სუსგ №1264აპ-22.

²⁸⁸ სუსგ №983აპ.-22.

²⁸⁹ სუსგ №863აპ-22.

²⁹⁰ სუსგ №540აპ-22.

²⁹¹ სუსგ №128აპ-20.

²⁹² სუსგ №772აპ-19.

²⁹³ სუსგ №409აპ-19.

²⁹⁴ სუსგ №280აპ-18.

²⁹⁵ სუსგ №258აპ-18.

²⁹⁶ ამავე მოსაზრებას ავითარებს *ლეკვიეშვილი*, ნიგნში: *ლეკვიეშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი 1, ნან. 2, 117.

ბელი გარემოებით კვალიფიკაცია. მაგრამ, იგივე ქმედებას ისე თუ ჩაიდენს, რომ ხანძრის გაჩენისა და მთელი სახლის გადანვის რისკს წარმოქმნის, მაშინ შეიძლება უკვე უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის გამოყენება.

- 487** იგივე ითქმის აფეთქებაზეც. ტრიალ, უკაცრიელ მინდორში სხვისი ნივთისთვის მცირე ოდენობით დინამიტის მიმაგრება და მისი აფეთქება არავითარ დამატებით საფრთხეს არ ქმნის. რაც შეეხება სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებას, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების გარდა (მაგ. წყლით დატბორვა).²⁹⁷
- 488** სსკ-ის 187-ე მუხლის მესამე ნაწილი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებით, ნივთის დაზიანების ან განადგურების შედეგად, გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგის დადგომას ეხება. ანუ, თანამდევნი შედეგის მიმართ ამსრულებელს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა არ უნდა ამოძრავებდეს. სხვა შემთხვევაში მივიღებთ, მაგ. მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციას.
- 489** ა-მ წაუკიდა ცეცხლი ბ-ს სახლს მისი განადგურების მიზნით. ის ამავე დროულად უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ბ სახლში იქნებოდა, თუმცა, მას საერთოდ არ აინტერესებდა მისი გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი. სახლი მთლიანად დაინვა. ბ-მ კი ბოლო წამს მოასწრო თავის დაღწევა და გადარჩენა.
- 490** ა-ს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის აქვეპუნქტით - სახლის დაწვასთან მიმართებით, ხოლო ბ-ს სიცოცხლესთან მიმართებით კი მკვლელობის მცდელობით (მუხ. 19, 108 ან 19, 109, ქვეპ. მ).
- 491** ა-მ წაუკიდა ცეცხლი სხვის სახლს. ამან სამზარეულოში გაზის ბალონის აფეთქება და იქვე გამვლელი პირის გარდაცვალება გამოიწვია.
- 492** მართალია, გამვლელი უშუალოდ ცეცხლის ზემოქმედების შედეგად არ გარდაცვლილა, მაგრამ ა მაინც სსკ-ის 187-ე მუხლის მესამე ნაწილით აგებს პასუხს. გამვლელის გარდაცვალების რისკი სწორედ ა-ს მიერ გაჩენილმა ხანძარმა შექმნა და არავითარი ატიპური გადახვევა მოვლენების განვითარებაში არ მომხდარა.²⁹⁸
- 493** *სხვა მძიმე შედეგში* იგულისხმება, მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, სხვა მნიშვნელოვანი ქონების დაზიანება და ა.შ.
- 494** რაც შეეხება სსკ-ის 188-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებებს, მეორე ნაწილში საუბარია **სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანებაზე**

²⁹⁷ *ლეკვეიშვილი*, ნიგნზი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი 1, ნან. 2, 117.

²⁹⁸ შეად. BGHSt 7, 39.

ან განადგურებაზე ცეცხლთან ან მომეტებულ საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. ანუ, ამსრულებელი რალაც სპეციფიურ საშუალებას ეპყრობა გაუფრთხილებლად და სწორედ ეს ინვეეს სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას.

გარკვეულ განმარტებას მოითხოვს, თუ რას ნიშნავს *მომეტებული საფრთხის წყარო*. ვინაიდან ვსაუბრობთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, განმარტება ვინროდ უნდა მოხდეს, რათა ყოველდღიური გამოყენების საგნებიც კი არ მივიჩნიოთ ასეთ საფრთხის წყაროდ. სანთლის ანთებული დატოვება, რამაც გაუფრთხილებლობით ხანძარი გამოიწვია, არ უნდა შეფასდეს დამამძიმებელ გარემოებად. ეს არც „ცეცხლის“ და არც „მომეტებული საფრთხის წყაროს“ ცნებაში არ ჯდება. ასეთად უფრო სპეციფიური დანადგარები ან ხელსაწყოები შეიძლება მივიჩნიოთ.

495

3. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 187-ე მუხლის სუბიექტური მხარე პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვაში გამოიხატება უშუალოდ ნივთის განადგურების ან დაზიანების მიმართ,²⁹⁹ ხოლო 188-ე მუხლი გაუფრთხილებელი დანაშაულია. განსხვავებული მსჯელობა ჭირდება დამამძიმებელ გარემოებებს.

496

4. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

თავდამსხმელის მოგერიების შემთხვევაში, მისი ნივთის დაზიანებისას, რა თქმა უნდა, როდესაც ყოველივე ეს არ ცდება პროპორციულობის ფარგლებს, სსკ-ის 28-ე მუხლიდან გამომდინარე, ნივთის დაზიანებისთვის ან განადგურებისთვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მართალია, ამ დროს მომგერიებელი დანაშაულის ქმედების შემადგენლობას ახორციელებს, მაგრამ ეს ქმედება მართლზომიერად ჩაითვლება.

497

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა დაზარალებულის თანხმობის საკითხი. შედარებისთვის, გერმანულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ამასთან დაკავშირებით. კერძოდ, თანხმობა უშუალოდ ქმედების შემადგენლობის გამომრიცხავ გარემოებად უნდა ჩაითვალოს თუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად, სადავოა.³⁰⁰ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, ნორმის დისპოზიციაში არსად არის ნახ-

498

²⁹⁹ ბაქანიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 241.

³⁰⁰ Popp, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB, § 303, Rn. 25 ff; Fischer, Strafgesetzbuch, § 303 Rn. 16.

სენები „ნებართვა“, ამიტომ, ნივთის პატრონის მხრიდან თანხმობის მიცემა ხელყოფის თაობაზე უფრო ქმედების შემადგენლობას გამოიწვევს და მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობა ზედმეტია. საბოლოო ჯამში, თუნდაც სხვა მოსაზრება რომ განვაფიქროთ, პასუხისმგებლობა, ყველა შემთხვევაში, მაინც გამოირიცხება.

5. ამსრულებლობა/თანამონაწილეობა

- 499** სსკ-ის 187-188-ე მუხლებში არ არის ჯგუფურად მათი ჩადენა გათვალისწინებული. შესაბამისად, თითოეული ამსრულებელი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აგებს პასუხს.
- 500** ა და ბ-მ, ერთიანი განზრახვით, ანგარების მოტივით, მსხვერპლის სახლში მოახერხეს შესვლა და ის დანის მრავალჯერადი დარტყმით მოკლეს, მერე კი ბინაში თანხის ძებნა დაიწყეს, მაგრამ ვერ იპოვეს. საბოლოოდ, მათ მხოლოდ ჯიბის ფული წაიღეს და კვალის დაფარვის მიზნით, ბინაში ხანძარი გააჩინეს, რამაც 6000 ლარზე მეტი ოდენობით ზიანი გამოიწვია.³⁰¹
- 501** ორივე პირი პასუხისმგებაში მიეცა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე და მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტებით (ძვ. რედ.) - ჯგუფურად და ანგარების მოტივით ჩადენილი მკვლელობისთვის. რაც შეეხება ბინაში ხანძრის გაჩენას, ორივე მათგანი ცალ-ცალკე დაისაჯა - 187-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტით. მართალია, ისინი ერთობლივად მოქმედებდნენ ობიექტურადაც და სუბიექტურადაც, რაც სხვა შემთხვევაში უპრობლემოდ მოგვცემდა ჯგუფურობის კვალიფიკაციას, მაგრამ 187-ე მუხლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც არ იცნობს მსგავს დამამძიმებელ გარემოებას, ასეთი კვალიფიკაცია გამოირიცხულია.
- 502** სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება შუალობითი ამსრულებლობითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ერთმა პირმა მეორე პირი მოატყუა და ცხოველების მონამლული საკვები მიყიდა. ამ შემთხვევაში მეორე პირის გამოყენება ხდება ბრმა იარაღად და მან მართლაც თუ დახოცა თავისდა უნებურად ცხოველები, სსკ-ის 187-ე მუხლით ის არ დაისჯება და სანაცვლოდ საკვების გამყიდველი მიეცემა პასუხისმგებაში.
- 503** თანამსრულებლობისგან განსხვავებით, სსკ-ის 187-ე მუხლთან მიმართებით, უპრობლემოდ არის შესაძლებელი თანამონაწილეობა, იქნება ეს ორგანიზატორის, ნამქმზებლის თუ დამხმარის სახით.
- 504** რაც შეეხება გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას (მუხ. 188), თანამონაწილეობა გამოირიცხულია, ვინაიდან ეს ერ-

³⁰¹ სუსგ №409აპ-19.

თიანი განზრახვის არსებობას მოითხოვს, მაგრამ, არ არის გამორიცხული გვყავდეს ორი დამოუკიდებელი ამსრულებელი. შეიძლება ორმა პირმა დაარღვიოს წინდახედულობის ნორმა, რამაც გამოიწვიოს შედეგად სხვისი ნივთის განადგურება. ორივე როგორც 188-ე მუხლის ამსრულებელი, ისე აგებს პასუხს.

6. მიმართება სხვა მუხლებთან

ბინაში შეღწევით განხორციელებულ ქურდობისას, თუ ამას თან ახლავს, მაგალითად, კარის ან ავეჯის მნიშვნელოვნად დაზიანება, ქმედება 177-ე მუხლის მესამე ნაწილის გ ქვეპუნქტთან ერთად (ქურდობა ბინაში შეღწევით) 187-ე ან 188-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ბინაში შეღწევით ქურდობა, მართალია, ისედაც დამამძიმებელი გარემოებაა, თუმცა, ის თავის თავში არ მოიცავს მაინცდამაინც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას. შესაბამისად, დანაშაულის ერთობლიობით კვალიფიკაცია უფრო მართებულია.³⁰²

505

³⁰² ბაქანიძე, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული, 240.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი:

გამყრელიძე ოთარ (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბილისი 2004 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: გამყრელიძე, ეკონომიკური დანაშაული).

დვალიძე, ირაკლი/ხარნაული, ლევან/თუმანიშვილი, გიორგი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2023 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარში: დვალიძე/ხარნაული/თუმანიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები).

თოდუა, ნონა, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, საიუბილეო კრებულში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი 60, თბილისი, 2021 (ციტირებულია: ავტორი, საიუბილეო კრებულში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი 60).

ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2, თბილისი 2023 (ციტირებულია: ავტორი, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, ნაწ. 2).

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი 2011 (ციტირებულია: მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ზოგადი ნაწილი II).

ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი 2013 (ციტირებულია: ტურავა, ზოგადი ნაწილი).

ცქიტიშვილი, თემურ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბილისი 2023 (ციტირებულია: ცქიტიშვილი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული).

ჭანტურია, ლადო (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, თბილისი 2018 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II).

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011 (ციტირებულია: ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი).

ჯიშკარიანი, ბაჩანა, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015 (ციტირებულია: ჯიშკარიანი, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში).

ჯიშკარიანი, ბაჩანა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, მეორე გამოცემა, თბილისი 2022 (ციტირებულია: ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ).

გერმანულენოვანი:

Arzt, Gunther/Weber, Ulrich/Heinrich, Bernd/Hilgendorf, Eric, Strafrecht, Besonderer Teil, 4. Aufl., Bielefeld 2021 (ციტირებულია: ავტორი, წიგნში: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht BT).

Erb, Volker/Schäfer, Jürgen (Hrsg.), Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, 4. Aufl., München 2021 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Münchener Kommentar zum StGB, Strafgesetzbuch).

Fischer, Thomas, Strafgesetzbuch, 69. Aufl., 2022 (ციტირებულია: Fischer, Strafgesetzbuch).

Kindhäuser, Urs/Neumann, Ulfrid/Paeffgen, Hans-Ulrich/Saliger, Frank (Hrsg.), Strafgesetzbuch, 6. Aufl., Baden-Baden 2023 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger, Strafgesetzbuch).

Leipold, Klaus/Tsambikakis, Michael/Zöller, Mark A., (Hrsg.), AnwaltKommentar StGB, 3. Aufl., Heidelberg u.a. 2020 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Leipold/Tsambikakis/Zöller, AnwaltKommentar StGB).

Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., München 2023 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Lackner/Kühl/Heger, StGB).

Rengier, Rudolph, Strafrecht, Besonderer Teil I, 25. Aufl., München 2023 (ციტირებულია: Rengier, Strafrecht BT I).

Schönke, Adolf/Schröder, Horst (Hrsg.), Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., München 2019 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB).

Schramm, Edward, Strafrecht, Besonderer Teil II, 2. Aufl., Baden-Baden 2021 (ციტირებულია: Schramm, Strafrecht BT II).

Spickhoff, Andreas (Hrsg.), Medizinrecht, 4. Aufl., München 2022 (ციტირებულია: ავტორი, ნიგნში: Spickhoff, Medizinrecht).

Schnabel, Falk, Telefon-, Geld-, Prepaid-Karte und Sparcard, NSTZ 2005, 18 (ციტირებულია: Schnabel, NSTZ 2005).

Tofahrn, Sabine, Strafrecht, Besonderer Teil II, 4. Aufl., Heidelberg u.a. 2016 (ციტირებულია: Tofahrn, Strafrecht BT II).

Von Heintschel-Heinegg, Bernd (Hrsg.), Beck 'scher Online-Kommentar StGB, 57. Edition, 2023 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB).

ავტორის შესახებ

ბაჩანა ჯიშკარიანმა 2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2008-2009 წლებში გაიარა სამაგისტრო კურსი გერმანული სამართლის საფუძვლებში მიუნხენის უნივერსიტეტში, 2012 წელს კი იქვე მოიპოვა სამართლის დოქტორის ხარისხი გერმანული სისხლის სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის კათედრაზე. სხვადასხვა დროს იყო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, რუსთაველის, ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდებისა და მაქს-პლანკის საზოგადოების სტიპენდიანტი. მუშაობდა იურიდიულ ფირმა *Becker Büttner Held*-ში და ასევე ხელმძღვანელობდა სასემინარო ჯგუფებს მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამჟამად არის საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი. ასევე, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. გარდა ამისა, ის თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ თუ გერმანულ უნივერსიტეტთან: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, სეუ, მიუნხენის უნივერსიტეტი, იენის უნივერსიტეტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი და ა.შ. პერიოდულად არის კიოლნის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მონვეული წევრი. ამავე უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დააფუძნა ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის დიალოგი, როგორც ყოველწლიური სამეცნიერო პლატფორმა საკონფერენციო შეხვედრების ფორმატით ქართველ და გერმანულ სპეციალისტებს შორის სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებების აქტუალურ საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობით, სხვადასხვა გრანტის ფარგლებში, პერიოდულად იმართება საზაფხულო და ზამთრის სკოლები ქართველი სტუდენტებისთვის გერმანიასა და საქართველოში. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართულ და გერმანულ ენებზე ქართული, საერთაშორისო და ევროპული მატერიალური თუ საპროცესო სისხლის სამართლის თემატიკაზე.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>